

ბულალტერია

სახელმძღვანელო

ანოტაცია

წიგნში განხილულია ფინანსური და საბუღალტრეო ანგარიშების წარმოების პრინციპები, ასევე მოყვანილია საბუღალტრო გატარებების მაგალითები, რაც დაეხმარებოდაჩვენი აზრით არა მხოლოდ ბუღალტერიის წარმოებით დაინტერესებულ პირებს, არამედ საქმეთა მწარმოებლებს და მმართველებს. ამ წიგნის მიზანი იყო შესაძლებლობა მიცემოდათ სტუდენტებს კურსის დამთავრების შემდეგ ემუშავათ ორგანიზაციებში, გაამზადებინათ საფინანსო ანგარიშები და საგადასახადო ფორმები. წიგნში მოყვანილია ასევე საგადასახადო ფორმების მაგალითები. ცურსის დამთავრებული შეძლებს გააკონტროლოს და გაანალიზოს ფულის მოძრაობა და საფინანსო ოპერაციები ორგანიზაციებში, ასევე აწარმოოს გრძელვადიანი აქტივების და პროდუქციის ანალიზი, შეადგინოს ბიუჯეტი და დაასაბუთოს საბუღალტრო ინფორმაციის აუცილებლობა მფლობელებისათვის. წინში მოყვანილია საგადასახადო თავისებურებები, რომელიც უნდა იყოს გათვალისწინებული საფინანსო ანგარიშების შედგენის დროს.

წიგნის ბოლოს არის მოყვანილი საბუღალტრო აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა და დებულება საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების შესახებ, საგადასახადოდეპარაციების ნიმუშები, ხელშეკრულების მაგალითი და სხვა ფორმები, რაც გამოსადეგი იქნება სტუდენტებისათვის.

რედაქტორი თენგიზ თავზარაშვილი
თბილისი 2008 წელი

შინაარსი

	შესავალი ანგარიშგებაში	4
<i>I</i>	საფინანსო ანგარიშგების ბუნება, პრინციპები და შესაძლებლობები	7
<i>II</i>	ბალანსი და შემოსავლების ანგარიში	14
<i>III</i>	ბულალტერიის პრინციპები	30
<i>IV</i>	საცდელი ბალანსი	42
<i>V</i>	წინასწარ გადახდის ხარჯები, საღარო და გალდებულებების კონცეფცია	52
<i>VI</i>	საგაჭრო ბიზნესის ანგარიშგები	55
<i>VII</i>	დებიტორული დაგაღიანების ანგარიშგება	58
<i>VIII</i>	გრძელვადიანი აქტივები	64
<i>IX</i>	გალდებულებები	76
<i>X</i>	საფინანსო ანგარიშის ანალიზი	89
<i>XI</i>	მმართველობითი ბულალტერია	93
<i>XII</i>	დაგროვება, აღდგენა და ლოკალიზება	96
<i>XIII</i>	მოგების და ლირებულების კონტროლის დაგეგმვა	97
<i>XIV</i>	კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვა სემინარების თემები დაგაღიერები სასემინარო სამუშაოსათვის მივლინების ბარათი	102 111 118
	ბულალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა	119
	დებულება საქართველოში ბულალტრული აღრიცხვისა და ანგარიშების შესახებ	125
	ფინანსებით მართვის პროცესის საინფორმაციო ბაზის სტრუქტურა	135
	მოთხოვნები საბულალტრო ანგარიშების მიმართ	136
	ვადიანი შრომითი ხელშეკრულება	137
	ბრძანების ნიმუში	138
	თვის საგადასახადო დეკლარაციების ნიმუშები	139
	სასაქონლო ზედნადების ნიმუში	146
	სასაწყობო მოთხოვნების საბუთების ნიმუშები	147

შესავალი

შესავალში განვიხილავთ შემდეგ საკითხებს:

რა არის ბუღალტერია
რეგისტრაცია და დაჯამება
საწარმოთა ტიპები
საბუღალტრო ინფორმაციის გამოყენებითობა
საფინანსო ანგარიშგება და საფინანსო ანგარიშგების მომხმარებლები

ბუღალტერიის ფესვებს მივყავართ შორეულ ხანას, როდესაც წარმოიშვა შემოსავლების და გასავლების აღრიცხვის აუცილებლობა და როდესაც დაისვა კითხვა - რამდენი მაქს, რამდენი დამრჩა? თუ კი ვიხელმძღვანელებთ სიტყვის წარმოშობით ტერმინი „ბალანსი“ შედგება 2 ლათინური სიტყვისაგან: *bis* – ორი და *lans* – სასწორის თევზი. მათ საფუძველზე წარმოიშვა სიტყვა *balance*, რაც სიტყვა-სიტყვით წონასწორობას ნიშნავს. ბუჟალტერია არის შემოსავლების და გასავლების აღრიცხვის წიგნი, რომელშიც თანხის მოძრაობა ჩაიწერება თარიღის მიხედვით და შესრულებული ოპერაციის რიგითობის მიხედვით. ყოველი ქმედება დაკავშირებული ფულის მოძრაობასთან იმავდროულად ჩაიწერება ამისათვის გამიზნულ წიგნში ან ჟურნალში.

ამ თავში განიხილება საფინანსო ანგარიშგების ძირითადი პრინციპები და აგრეთვე პასუხი გაეცემა კითხვას თუ რატომ ამზადებენ ბუღალტრულ ანგარიშგებას. ნაჩვენები იქნება აგრეთვე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან დაკავშირებული პროცედურები და ყოველი საფინანსო ანგარიშის მრავალი მომხმარებლის განსხვავებული მოთხოვნები. წიგნის შესწავლის დასრულებისას თქვენ შეძლებთ:

- ❖ ბუღალტერიის ძირითადი მცნებების განმარტვას;
- ❖ ფინანსური საანგარიშგებო ინფორმაციის მომხმარებელთა იდენტიფიცირებას;
- ❖ სხვადასხვა ტიპის ანგარიშგების განმარტვას;
- ❖ საანგარიშგებო ინფორმაციის სასურველი ხარისხის იდენტიფიცირებას;
- ❖ საერთაშორისო მარეგულირებელი სისტემის შესწავლას და კერძოდ, ფინანსური ანგარიშგების ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით ხელმძღვანელობას.

მართალია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო გამოცდილების ცალკეულ საწარმოს უფლება ეძლევა დამოუკიდებლად შეიმუშაოს საჭირო საბუღალტრო აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა, მაგრამ არ არსებობს ტრადიცია, გამოცდილება და საბაზისო ცოდნა იმისა, რომ ყველა ბუღალტერმა შეძლოს ბასეს-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები) შესაბამისად საწარმოსათვის საჭირო ანგარიშთა გეგმის დამოუკიდებლად შედგენა. ამდენად აუცილებელი გახდა ერთიანი ანგარიშთა გეგმის შემუშავება, რომლის სტრუქტურა ერთნაირად მისაღები იქნებოდა სამეწარმეო სფეროს ყველა იურიდიული პირისათვის.

ამრიგად ბუღალტერია მოიცავს ორ ძირითად ელემენტს: ჩანაწერს (ანგარიშგებას) და დაჯამებას.

ჩანაწერი უპირველესს ყოველისა უზრუნველყოფს მენეჯერებს საქმიან ოპერაციებზე ყოველდღიური ინფორმაციით. მაგალითად გაყიდვები, ყოველდღიური შესყიდვები შესაძლებელია წარმოებულ იქნას ფულის მოგვიანებით გადახდით, ამ შემთხვევაში უნდა ვიცოდეთ როდის უნდა წარვედგინოთ მოთხოვნა თანხის დროულად დაფარვასთან დაკავშირებით.

დაჯამება გულისხმობს დაინტერესებული მხარეებისადმი დროდადრო ინფორმაციის მიწოდებას სამეწარმეო საქმიანობის მდგომარეობის შესახებ. აქ შეიძლება იყოს წარმოგენილი ორი ძირითადი ელემენტი: შემოსავლების ანგარიში და ბალანსი.

შემოსავლების ანგარიში გვიჩვენებს მოგებას ან ზარალს წლის განმავლობაში წარმოებული საქმიანობის შედეგად. **მოვება** არის სამეწარმეო საქმიანობის შედეგად მიღებულ შემოსავალს გამოკლებული ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯი.

ბალანსი არის საქმიანობის შედეგის მაჩვენებელი წლის ბოლოსათვის, რომელიც მოიცავს შემოსავლების ანაგარიშს. ბალანსი აჩვენებს საქმიანობის აქტივებს და ვალდებულებებს და მის მომხმარებელს აძლევს საქმის შეფასების საშუალებას, ანუ აქვს თუ არა ორგანიზაციას ვალდებულებების დროულად დაფარვის შესაძლებლობა.

აქტივი არის ორგანიზაციის განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრების, ნახევარფაბრიკატების და ძირითადი ფონდების ჯამი. ყველაფერი რაც ეკუთვნის ან ერგება კომპანიას არის აქტივი: ნაღდი ფული, შენობა-ნაგებობები, მოწყობილობა (ფიქსირებული აქტივები), პატენტები, რომლის შესრულება გარკვეულ ნორმებს ექვემდებარება.

საწარმოთა ტიპები. ბიზნესის ორგანიზაციის სახეები შეიძლება იყოს რამდენიმე სახის. ყველაზე მარტივს წარმოადგენს **ინდივიდუალური საწარმო (ი/ს)** ან, რაც იგივეა, **ინდივიდუალური მეწარმე (ი/მ)**. ამ შემთხვევაში საწარმოს ფლობს ერთპიროვნულად ერთი ადამიანი. შესაძლებელია მას ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე მომუშავე ან მუშაობდეს მხოლოდ თვით მფლობელი. ასეთი ტიპის საწარმოებად შეიძლება დასახელდეს მცირე საწარმოები როგორიცაა: მაღაზიები, სილამაზის სალონები, ატელიე, სამშენებლო მასალების რეალიზაციის პუნქტები, შემკეთებელი (სარემონტო) ფირმები, საკონსულტაციო სამსახური და ა. შ.

მეორე ტიპის ორგანიზაციას ეწოდება **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)**, რომელსაც ფლობს ორი ან რამდენიმე მეპატრონები. ისინი ერთად აწარმოებენ საქმიანობას და ერთობლივად იღებენ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში საერთო კრებებსა თუ შეხვედრებზე.

მესამე ტიპის საწარმოებს ეწოდება **სააქციო საზოგადოება (ს/ს)**, როდესაც რამდენიმე ადამიანიდან დაწყებული ათასობით ადამიანს შეუძლია ამ ტიპის კომპანიაში ჩადოს ფული და მიიღოს თავისი სარგო საერთო მოცულობიდან. მათ ეწოდებად კომპანიის **აქციონერები ანუ წევრები**. ისინი ფლობენ აქციებს, მაგრამ ყოველთვის არ იღებენ მონაწილეობას მართვაში - მხოლოდ ნიშნავენ დირექტორებს რომლებიც წარმართავენ საქმიანობას ამომრჩეველთა სახელით.

აქციონერი არის აქციის/აქციების მფლობელი იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომლის მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებაში და ქონებრივი ვალდებულებების განაწილებაში განისაზღვრება მისი შენატანის ოდენობით ძირითად კაპიტალში.

გარდა აღნიშნულისა საქართველოში მოქმედებს ისეთი ტიპის ორგანიზაციები, როგორიცაა: ამხანაგობა, რელიგიური ორგანიზაციები, კომანდიტური საზოგადოება და ა.შ. მათი საბუღალტრო - საფინანსო ანგარიშგების წარმოება ექვემდებარება საერთო ნორმებს და სტანდარტებს, იმ განსხვავებით, რომ ზოგიერთი მათგანი განთავისუფლებულია გარკვეული სახის გადასახადებიდან.

საფინანსო ანგარიშგება არის სამეურნეო საქმიანობის მოგება/ზარალის ანგარიში. საფინანსო ანგარიში არის ორი სახის - დამტკიცებული და საპროგნოზო. დამტკიცებული ანგარიშგება არის საბალანსო ანგარიში, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში ამოწმებენ აუდიტორთან. საპროგნოზო საფინანსო ანგარიშგება არის გაცილებით საინტერესო. სამომავლოდ განსახორციელებული წინადაღებების საპროგნოზო შედეგის საფინანსო ანგარიშგებაა. მაგალითად

სავაჭრო ორგანიზაცია აპირებს ახალი პროდუქციის შემოტანას, რომელმაც სავარაუდოდ მოგება უნდა მოიტანოს. ახალი პროდუქციის შემოტანა დაკავშირებულია დამატებით ხარჯებთან. საპროგნოზო საფინანსო ანგარიშგებაში უნდა გამოჩნდეს როგორი იქნება მოგება და რა ხარჯის გაწევა იქნება საჭირო ამ მოგების მისაღებად. სავაჭრო ორგანიზაციებისათვის მიღებულია მარჟას გაანგარიშება. **მარჟა არის ფასსა და თვითდირებულებას შორის სხვაობა.** თუ ახალ რპოდუქციას ნაკლები თვითდირებულება აქვს მაშინ მარჟა იქნება მაღალი.

ასეთი ინფორმაცია აინტერესებთ ორგანიზაციის მმართველებს და კომპანიონებს, ასევე ბანკ – კრედიტორებს, რომლებთაც აინტერესებთ კრედიტის გაცემის შემთხვევაში მისი დაბრუნება თავის დროზე.

ანგარიშგებები წარედგინება წლის და კვარტლების მიხედვით (კვარტალი არის 3 თვე):

1. მფლობელებს;
2. საგადასახადო ინსპექციას, ბანკებს და ა.შ.
3. სტატისტიკის დეპარტამენტს ან სტატისტიკის ადგილობრივ განყოფილებებს.
ორგანიზაციის ანგარიშგების წარმოდგება შემდეგ ფორმებში:
 1. საბუღალტრო ბალანსი;
 2. მოგება / ზარალის ანგარიში;
 3. ახსნა – განმარტებები მოგება / ზარალის ანგარიშგებაზე:
 - კაპიტალის ცვლილების ანგარიში;
 - ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში;
 - ბუღალტრული ანგარიშის დანართი;
 - განმარტებითი ჩანაწერები.
 4. აუდიტორის დასკვნა, თუ ორგანიზაცია საჭიროებს სავალდებულო აუდიტს.

თანამედროვე სახელმწიფოს საფინანსო საქმიანობა დაფუძნებულია მეურნეობის საბაზრო სისტემაზე, რომელიც იყენებს ისეთ ძირითად გაონომიკურ ბერკეტებს, როგორიცაა: ფული, კრედიტი, ფინანსები და სხვა. მეურნეობის საბაზრო სისტემის პირობებში სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებს შორის ფინანსური რესურსების შექმნის და გამოყენების პროცესში წარმოიშობა ფინანსური ურთიერთობები.

საფინანსო-სამართლებრივი ურთიერთობები იყოფა: საბიუჯეტო, საგადასახადო, სადაზღვევო, საკრედიტო, საანგარიშსწორებო, ასევე ფულის მიმოქცევის, სავალუტო ოპერაციების სფეროში წარმოშობილ ურიერთობებად.

I. საფინანსო ანგარიშების პუნქტი, პრინციპები და შესაძლებლობები

ამ თავში განვიხილავთ:

ფინანსური ანგარიშების არსება და ფუნქციებს
ფინანსების წარმოშვების მოკლე ისტორიულ მიმოხილვას
რა რის იმპორტი და ექსპორტი
აუდიტის გასაზღვრებას
საერთაშორისო და ადგილობრივ მარკეტინგების საბუღალტრო სისტემებს
გადასახადების სისტემას.

ფინანსური ანგარიშები არის საწარმოს მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების და მისი ფინანსური მდგომარეობის სტრუქტურულად ჩამოყალიბებული სურათი. ის წარმოადგენს ინფორმაციის განსაკუთრებულ წყაროს, რომელიც გამოიყენება გადაწყვეტილებების მისაღებად, როგორც საწარმოს შიგნით, ისე მის გარეთ. ფინანსური ანგარიშება უზრუნველყოფს ისეთი ფუნქციების განხორციელებას, როგორიცაა დაგეგმვა, კონტროლი და შეფასება.

დაგეგმვა – მოქმედების წესის ფორმულირების პროცესია. იგი გულისხმობს მიზნის დასახვას, მისი მიღწევის გზების მოძიებას და საუკეთესო ალტერნატივის არჩევას. ამ ეტაპზე ბუღალტერმა უნდა წარმოადგინოს არსებული ფინანსური მდგომარეობის ნათელი სურათი, რადგან დაგეგმვისათვის აუცილიბელია მოგებისა და ფულად საშუალებებზე მოთხოვნის შესახებ ინფორმაცია.

კონტროლი – გეგმის ფაქტიურად შესრულებაზე მეოვალყურეობის პროცესია. ამ ეტაპზე ბუღალტერმა უნდა წარადგინოს ინფორმაცია, რომელიც მოიცავს გეგმასთან ფაქტიური ხარჯების და შემოსავლების შედარებას.

შეფასება – გადაწყვეტილების მიღების მთელი სისტემის შესწავლის პროცესია, რომლის დროსაც უნდა დადგინდეს მიღწეულია თუ არა დასახული მიზანი, გაირკვეს ამ მიზნების მისაღწევად დამაბრკოლებელი მიზეზები და ადაგინდეს ამ მიზნების განხორციელების დაბრკოლებების ეტაპები ან სტადიები.

სანამ შევეხებოდეთ ფინანსური ანგარიშების საკითხებს, უპრიანი იქნებოდა მცირეოდენი მიმოხილვა მოგვეყვანა ფინანსების წარმოშობასთან დაკავშირებით.

მკვლევართა უმრავლესობის აზრით ტერმინი “**ფინანსები**” მომდინარეობს შეასაუკუნეთა ლათინური სიტყვიდან “*finatio*”, “*financia*”, “*financia pecuinaria*”, რომელიც თავისთავად მომდინარეობდა ძველი ლათინური “*figo*” - “ჩაჭედება” და გვიანდელი “*finis*” - დან, რაც ნიშნავდა საზღვარს, ბოლოს, დასასრულს. მოგვიანებით ამ ტერმინებით აღინიშნებოდა გადასახდელები, მათი ვადის გასვლა და ფულადი თანხა. ინგლისურ ენაში “*fine*” ნიშნავს დასასრულს, ჯარიმას, საურავს; “*finis*” - დამთავრებას, “*finish*” - დასასრულს; იტალიურში - “*finale*” - საბოლოო, დასრულებული.

ლათინური “*finare*” გამოხატავდა სასამართლო გადაწყვეტილების, განაჩენის გადასახდელებს, საგალდებულო გადასახადს მომსახურებისათვის და ბეგარას, რომელიც იხდებოდა როგორც ნატურალური აგრეთვე ფულადი ფორმით.

საფრანგეთში XVI საუკუნიდან ტერმინი “*finance*” გაგება დაიწყეს როგორც სახელმწიფო ქონების ერთობლიობისა. ამავე მნიშვნელობით გამოიყენებოდა ეს ტერმინი XVII საუკუნიდან გერმანიაშიც. ამ დროიდან ეს ტერმინი “ფინანსები” შევიდა სხვა ენებშიც.

ესპანური სიტყვა ***"hacienda"***, რომელიც ფინანსებს აღნიშნავს მომდინარეობს არაბული ***"chazena"***-დან - ***"ხაზინა"***: რუსული სიტყვა ***"казна"*** ქართულად არის ხაზინა. ქართულად ხაზინას მე-XII საუკუნეში ეწოდებოდა საჭურჭლე, რომელსაც განაგებდა მეჭურჭლეთუხუცესი.

დღეს ეკონომიკა და ფინანსები უკვე ყოველი ფირმის და კომპანიის სავალდებულო ნაწილია, რომელიც უზრუნველყოფს მათი მოგების ზრდას, საწარმოს განკარგულებაში არსებული რესურსების უკეთ გამოყენებას.

განასხვავებენ ფინანსურ და მმართველობით აღრიცხვას. **ფინანსური აღრიცხვა** შეისწავლის ეკონომიკურ მოვლენებს, ამზადებს საბალანსო და მოგებაზარალის ანგარიშებებს. **მმართველობითი აღრიცხვა** მოიცავს საორგანიზაციო სტრუქტურის მართვის უველა დონის შესახებ ინფორმაციის მომზადებას და წარდგენას, და უველა ქმედებას მიმართავს სარგებლიანობის გაზრდისაკენ.

ფინანსური აღრიცხვიანობის წარმოება გამოწვეულია სხვადასხვა სახის ორგანიზაციების მოთხოვნით. სახელმწიფო ორგანოების ფუნქციას წარმოადგენს ადგილობრივი ორგანიზაციების ეკონომიკური საქმიანობის რეგულირება. ასეთი ფუნქცია ეკისრება ნებისმიერ სახელმწიფოს – კონტროლი და რეგულირება. სახელმწიფოს შიგნით მიმდინარე ეკონომიკური, ფინანსური პროცესები დიდი ხანია უკვე გაცდა ერთი სახელმწიფოს ფარგლებს და წარმოადგენს საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური საქმიანობის ნაწილს.

საფინანსო სისტემა არის სახელმწიფოს კონომიკური, იგივე საწარმოო-სამრეწველო საქმიანობის ფულადი არხების სისტემა, რომელ შიდაც წარმოებს ფულადი სახსრების მოძრაობა. ამიტომ მნიშვნელოვანია ამ პროცესების შესწავლა და სწორი მიმართულების არჩევა. ეკონომიკური გარემო, რომელ შიც უველა ჩართულია ნებსით თუ უნებლიერ, არ არის მხოლოდ თანამედროვე საზოგადოების მონაპოვარი. მან ათასწლეულების მანძილ-ზე განიცადა ცვლილებები და დღეს გვავლინება როგორც საზოგადოების ცხოვრებასთან ორგანულად შერწყმული და საზოგადოებრივ აზრთან ერთად განვითარება-დი გარემო. ეკონომიკური გარემოს მოქმედება დამოკიდებულია ადამიანების მოთხოვნებზე და მოთხოვნილებებზე. იქმნება ამ გარემოში მოქმედების მექანიზმები – კანონები, ნორმები, წესები და ა.შ., რომელთა შინაარსი დამოკიდებულია სახელ-მწიფოს შიგნით არსებულ საწარმოო-სამრეწველო ინფრასტრუქტურაზე.

საქართველოში ორგანიზაციის გახსნა დაკავშირებულია საკმაოდ მარტივ პროცედურებთან, რომლებიც დრო-და-დრო იცვლება. მაგრამ რჩება ისეთივე იოლი რაც ხელს უწყობს ადგილობრივი საწარმოების განვითარებას. ადგილობრივ საწარმოებს შესაძლებლობა ეძლევათ შეიძინონ პარტნიორები უცხოური კომპანიების სახით იქნება ეს იმპორტი თუ ექსპორტი. **იმპორტი** (ლათინურიდან „*importo*“ ნიშნავს შემომაჯებ) არის პროდუქციის შემოტანა ქვეყანაში საზღვარგარეთიდან.

ექსპორტი (ლათინურიდან „*exporto*“ ნიშნავს გამაჯებ) არის პროდუქციის გატანა სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ. ეს ოპერაციები დაკავშირებულია სახელმწიფოებს შორის საზღვრის გადაკვეთასთან და შესაძლებელია პროდუქციამ გადაკვეთოს რამდენიმე ქვეყნის საზღვარი. **ამ პროცედურას ეწოდება საბაჟო პროცედურა** საბაჟოზე დაწესებულია სხვადასხვა სახის ოპერაციები: განბაჟების საგნის შემოწმება, დათვლა, მდგომარეობის ნახვა, მიმწოდებელი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი საბუთების და განბაჟებული პროდუქციის შესაბამისობა. განბაჟების პუნქტებში განბაჟებულ პროდუქციაზე ადგენენ საბუთს, რომელ შიც აისახება ყველა ძირითადი მონაცემი: საქონლის რაოდენობა, წონა, ფასი. საბუთში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული რეკვიზიტები – ორგანიზაციების ან პიროვნების მონაცემები, სახელწოდება, საიდენტიფიკაციო კოდი, მისამართი, ქვეყანა და ქალაქი, საიდან და სად გადააქვთ პროდუქცია. **ამ საბაჟოს ეწოდება ინვოისი.** ინვოისს შეიძლება მოყვებოდეს დაწვრილებითი მახასიათებლების ჩამონათვალი მოცემულ პროდუქციაზე დანართის სახით, რაც დამოკიდებულია მიმწოდებელი და

მიმღები ორგანიზაციების წინასწარ შეთანხმებაზე. უფრო დამოკიდებულია მყიდველის სურვილზე. საბაჟო გადასახადის ოდენობა განისაზღვრება ქვეყნის შიგნით მოქმედი საბაჟო კანონმდებლობის თანახმად. სხვადასხვა საქონელს შეესაბამება თავისი საბაჟო გადასახადი. სავალდებულო გადასახადებში შედის ასევე დამატებული ლირებულების გადასახადი, რომელიც დღეს შეადგენს თვითღირებულების 18%-ს.

თუ შემოსულია შავი ლითონის მეტალოკონსტრუქცია, რომლის ღირებულება შეადგენს - 4 805 ლარს, ეს თანხა წარმოადგენს დასაბეგრ ბაზას. მისი 18% იქნება;

$$4\ 805 \times 18 / 100 = 864.9 \text{ (ლარი)}$$

$$\text{ორგანიზაცია იხდის} \quad 4\ 805 + 864.9 = 5\ 669.9 \text{ (ლარი)}$$

პერიოდულად ორგანიზაცია აწარმოებს თავისი საქმიანობის შემოწმებას, ანუ აუდიტს. აუდიტი არის ფინანსური და საბუღალტრო ანგარიშგების შეფასება (ძველი გაგებით ქონებრივი შეფასება). აუდიტის მოვალეობაში შედის საწარმოს ქონების შეფასება და მისი ლირებულების დადგენა, ასავე აუდიტს მიმართავემ ორგანიზაციის შიდა ბუღალტრული აღრიცხვის შესამოწმებლად და საგადასახადო ვალდებულებების შესაფასებლად. ამიტომ ადგენენ თრგანიზაციის მონაცემები ცხრილებს, სადაც შეაქვთ ორგანიზაციის მონაცემები თვეების, კვარტლების და წლების მიხედვით. როგორც წესი ასეთი შემოწმება აუცილებელია დროდადრო ჩატარდეს, რადგანაც ბუღალტრული ინფორმაცია მოითხოვს პერიოდულ გადამოწმებას ინფორმაციის დიდი მოცულობის გამო.

განსხვავებული ტიპის თრგანიზაციების ბუღალტერია იძენს გარკვეულ სპეციფიკას. ეს ასევე არის დამოკიდებული დარგზე: მშენებლობა იქნება ეს თუ სავაჭრო ობიექტი, საბანკო საფინანსო დაწესებულება თუ სამრეწველო საწარმო, სახელმწიფო დაწესებულება თუ საგანმანათლებლო დაწესებულება, სკოლა, ინსტიტუტი, და ა. შ.. ყველა ამ შემთხვევაში წარმოებს ფულის მოძრაობა – შემოსავალი რეალიზაციიდან, ანაზღაურებიდან, მოგებიდან, პროცენტის სახით, - რეალიზაციასთან და მოგებასთან დაკავშირებული ხარჯები იგივე გასავალი. ამიტომ აუცილებელია ხარჯების კლასიფიცირება, იგივე დაჯგუფება. მაგალითად თუ წარმოდგენილი ორგანიზაცია არის სამშენებლო-სამონტაჟო მაშინ გამოიყოფა ძირითადი და ზედნადები ხარჯები. ძირითადში შევა მასალის ღირებულება, ძირითადი მუშების ხელფასი. ზედნადები ხარჯები შედგება ადმინისტრაციის და დამხმარე პერსონალის ხელფასისაგან, სასაწყობო და სატრანსპორტო ხარჯებისაგან, საოფისე ხარჯებისაგან. ყველა ხარჯი უნდა შეესაბამებოდეს შესატევისს ანგარიშთა უწყისს.

საბუღალტრო აღრიცხვის წარმოებისათვის აუცილებელია საბუღალტრო სტანდარტების და ნორმების ცოდნა. ამისათვის არსებობს **მარეგულირებელი სისტემა** – ყოველ სახელმწიფოს გააჩნია თავისი მარეგულირებელი ლეგალიზებული საბუღალტრო აღრიცხვა და ოპერაციები ორგანიზაციისათვის. **ACCA** საერთაშორისო სისტემა არის საბუღალტრო საერთო სტანდარტების კრებული მიღებული ბევრ ქვეყანაში.


1973 წლიდან 2001 წლამდე საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტები (**International Accounting Standards - IAS**) იყო დადგენილი საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების კომიტეტი (**International Accounting Standards Committee - IASC**) მიერ. 2001 წლის 1 აპრილიდან მან განიცადა ცვლილება და სახელმწიდებამ მიიღო სახე საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭო (**International Accounting Standards Board - IASB**). **IASB-ს** ძირითად ამოცანას წარმოადგენს საბუღალტრო სტანდარტების გლობალური შეთანაწყობის მიღწევა. იყო გამოცხადებული ევროპული გაერთიანების წევრების მიერ საერთაშორისო სტანდარტების აღიარება 2005 წელს დასახელებული კომპანიების მიერ.

IAS (საერთაშორისო საბუღდალტრო სტანდარტები) არაა ავტომატურად აღიარებული სხვადასხვა ქვეყნის მიერ, რომლებმაც წევრობაზე თანხმობა გამოოქვეშ. მაგალითად ამერიკის შეერთებული შტატების და დიდი ბრიტანეთის ბუღდალტროთა საბჭოები **IASB**-ს წევრები არიან, მაგრამ ორივე ქვეყანას გააჩნია თავისი საბჭოებიც საფინანსო-საბუღდალტრო სტანდარტების საბჭო (**Financial Accounting Standards Board**) აშშ-ში და საბუღდალტრო სტანდარტების საბჭო (**Accounting Standards Board - ASB**) დიდ ბრიტანეთში. ოუმცა ბრიტანეთის საბჭო ცდილობს შეძლებისდაგარად მიუახლოვდეს საერთაშორისო სტანდარტებს. მიუხედავად თქმულისა საერთაშორისო საბუღდალტრო სტანდარტებმა გამოყენება პოვეს არაწევრ ქვეყნებშიც.

IASB შესწავლის საგანს წარმოადგენს შემდეგი:

- ❖ საზოგადოებრივი ინტერესების დაცვით, გლობალური საბუღდალტრო სტანდარტების მაღალი ხარისხის, გაგებითობის, ცხოვრებაში გატარების, ტრანსპარენტულობის და შესაბამისობის გაღრმავება ფინანსურ ანგარიშებში და სხვა საფინანსო საბუღთებში, რათა მხოლოდის ბაზარზე მომხმარებელთა მონაწილეობა და კონომიკური გადაწყვეტილებების მისაღება გაიოღდეს,
- ❖ აღნიშნული სტანდარტების ხელშეწყობა და ზუსტი გამოყენება,
- ❖ ეროვნული საბუღდალტრო სტანდარტების და საერთაშორისო საბუღდალტრო სტანდარტების მაღალი ხარისხის გადაწყვეტილებამდე მიყვანა.

საერთაშორისო საბუღდალტრო სტანდარტების საბჭოს სტრუქტურა



1. **ტრასტეები.** არსებობს 19 ტრასტი, რომელიც დაინიშნა ფართო გეოგრაფიული მოცვის მიზნით. ის მოიცავს: ექვს წარმომადგენელს – ჩრდილო ამერიკიდან, ექვს წარმომადგენელს – ევროპიდან, ოთხს – აზიის და წყნარი ოკეანეს რეგიონებიდან,

სამს – სხვა დანარჩენი ქვეყნებიდან.

ტრასტების ძირითად მოვალეობებში შედის:

- ფონდამაღლება,
- IASB, SIC და SAC წევრების დანიშვნა,
- წლიური მიმოხილვის სტრატეგია.

ტრასტები არ არიან ჩართული საბუღალტრო სტანდარტების გატარების ტექნიკურ საკითხებთან.

2. საბჭო (IASB) მოიცავს 14 წევრს, 12 რომელთაგან მუშაობს სრული განაპვეთით. გეოგრაფიული შეზღუდვები არ ვრცელდება საბჭოს წევრებზე, მაგრამ პერსაექტივების და გამოცდილების დაბალანსების მიზნით მიღწეული იყო შემდეგი შეთანხმებები საბჭოს შემადგენლობის შესახებ:

- 5 ან მეტი წევრი აუდიტის პრაქტიკით,
- 3 ან მეტი წევრი ფინანსურ ანგარიშგებებთან მუშაობის პრაქტიკით,
- 3 ან მეტი წევრი ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებელი,
- ერთი წევრი მაინც აკადემიური გამოცდილებით.

საბჭოს პირველი თავმჯდომარე იყო სერ დეივიდ ტვილი ბრიტანეთიდან.

საბჭო აწარმოებს სტანდარტების დახვეწას შემდეგი მექანიზმების საშუალებით:

- აყალიბებს წამყვანი პროექტებისათვის სტანდარტების მარეგულირებელ კომიტეტს,
- კონსულტაციას უწევს სტანდარტების მრჩეველთა კრებას,
- აქვეყნებს პრინციპების და სხვა სადისკუსიო საბუთების პროექტების ანგარიშს დაინტერესებული მხარეების მოწვევით და მათი კომენტირების გამოყენებით,
- იგივე მხარეების თანდასწრებით აქვეყნებს და აწყობს საპროექტო (დრაფტი) საგამოფენო ჩვენებას,
- აწარმოებს დასრულებული საერთაშორისო საფინანსო ანგარიშთა სტანდარტების (*IERS – International Reporting Standards*) გამოქვეყნებას.

3. **SIC** – ის ძირითად ამოცანას წარმოადგენს IAS-ის და IFRS-ის გამოყენების ასენას სირთულეების წარმოშვების შემთხვევაში. იხინი მიაწვდიან ინფორმაციას IASB-ს გამოქვეყნებამდე საბჭოს განსახილველად და მისაღებად და დასამტკიცებლად. SAC უზრუნველყოფს IASB-ს ძირითადი სტანდარტების გატარების პროექტებით. ის მოიცავს დაახლოებით 30 წევრს ეროვნული სტანდარტების წარმომადგენელთა ჩათვლით და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩათვლით.

GAAP (ხაზგადოდ აღიარებული საბუღალტრო პრაქტიკა – Generally Accepted Accounting Practice) აწარმოებს საბუღალტრო პრაქტიკის დანერგვას მოცემულ ქვეყნებში.

საქართველოში ასევე არსებობს ორგანიზაცია, რომელიც ემსახურება საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტებთან მიახლოებას და აღგილობრივი საბუღალტრო ანგარიშების წარმოების დახვეწას. საქართველოში მოქმედებს საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია. საქრთველოში მოქმედებს ბასეს – ი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები. ეს არის ის ნორმები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ორგანიზაციებმა საფინანსო-საბუღალტრო საქმიანობის წარმოების დროს. ასევე მოქმედებს საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისია. ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი ტიპის ორგანიზაციას შეუძლია იხელმძღვანელოს სახელმწიფოში მოქმედი კანონებით და სტანდარტებით საქმიანობის წარმართვისათვის. აღნიშნული სტანდარტების ცოდნა იძლევა საშუალებას სწორიად ვაწარმოოთ ყველა ეკონომიკური თუ ფინანსური ოპერაცია.

მოცემული სახემწიფოს ფარგლებში მოქმედი ორგანიზაცია ეცნობა ასევე სავალდებულო გადასახადებს, რომელიც სავალდებულოა. საქართველოს საგადასახადო კოდექსში აღნიშნულია გადასახადის მცნება (წიგნი I, კარი I, თავი I, მუხლი 6), რომელშიც აღნიშნულია გადასახადების აუცილებელი და უსასყიდლო ხასიათი. ის არის სავალდებულო და უპირობო ფულადი შენატანი. გადასახადების საშუალებით რეგულირდება მოლაპარაკებების და გარიგებების მონაწილეთა სამართლებრივი ურთიერთობები. ანუ თავდაპირველად დამკვეთი და შემსრულებელი იწყებენ მოლაპარაკებას ერთმანეთთან და დებენ გარიგებას, რომელიც ძალაში შედის მხოლოდ შესაბამისი ხელშეკრულების დადების და ხელმოწერის შემთხვევაში. საქმის წარმოება, ანუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება, ან მომსახურების გაწევა იწყება აღნიშნული ხელშეკრულების შექმნის და ხელმოწერის შემდეგ. თუმცა გარიგება მას წინ უსწრებს. ეს არის ხელშეკრულების დადების სტადიები. მათი შესრულება არის მხარეების ინტერესების ერთგვარი დაცვა. თავის მხრივ სახელმწიფოც, რომლის ფარგლებს შიგნით მიმდინარეობს ორგანიზაციების ეკონომიკური თუ საფინანსო საქმიანობა აწესებს ამ ურთიერთობების სამართლებრივ ბაზას.

ორგანიზაცია, რომელიც იწყებს სამეწარმეო საქმიანობას, იდებს თავის თავზე ვალდებულებებს იმოქმედოს მოცემულ სახელმწიფოში მასში მოქმედი შესაბამისი, ეკონომიკური კანონების ფარგლებში. საქართველოში მოქმედებს საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები. ადგილობრივი გადასახადებია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების ნორმატიული აქტებით შემოღებული გადასახადები (ზღვრული განაკვეთების ფარგლებში) : **ქონების გადასახადი.**

საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს განეკუთვნება :

- ა) **საშემოსავლო გადასახადი,**
- ბ) **მოგების გადასახადი,**
- გ) **დამატებული ღირებულების გადასახადი,**
- დ) **აქციზი ,**
- ე) **საბაჟო გადასახადი.**

გადასახადის გადახდა წარმოებს მოცემულ სახელმწიფოში მოქმედი საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად. (საქართველოს საგადასახადო კოდექსი).

კოდექსში გათვალისწინებული დებულებები შემუშავებულია მთელი სახელმწიფოსათვის, და არის სავალდებულო. თუ ორგანიზაცია ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას მოგების მიზნით, ის იხდის ამ სავალდებულო გადასახადებს. თუ ორგანიზაცია არ მოქმედებს მოგების მიღებისათვის, ის ვალდებულია გადაიხადოს მხოლოდ საშემოსავლო გადასახადი ხელფასების დარიცხვის შემთხვევაში და ქონების თუ ასეთი გააჩნია.

მოკლედ განვიხილოთ გადასახადები. შეიქმნა სამშენებლო ფირმა **ჯპ „X.....X.....“**, მან მიიღო დაკვეთა სხვა ორგანიზაციიდან აეშენებინა საცხოვრებელი შენობა. ხელშეკრულება გაფორმდა 115 000 ლარზე, საიდანაც ხელფასებზე დარიცხულია 36 400 ლარი, მასალების და სხვა ხარჯმა შეადგინა 68 200 ლარი. შპს „.....X.....“- მ უნდა გაიანგარიშოს მის განკარგულებაში დარჩენილი მოგება და გაცემული ხელფასები, რომ სწორად გადაიხადოს სავალდებულო სახაზინო გადასახადები. ჯერ განვიხილოთ ხელფასების დარიცხვა. საშემოსავლო გადასახადი არის სავალდებულო გადასახადი, რომელიც გადაიხდება მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიღებული შემოსავლიდან, რომელიც განისაზღვრება როგორც ეკონომიკური საქმიანობის შედეგად ან ხელფასის სახით მიღებული თანხის დაბეგვრა. ჩვენს შემთხვევაში ეს არის ხელფასის სახით მიღებული შემოსავლი, რომელიც ასევე ექვემდებარება დაბეგვრას. დღეს მოქმედებს 25% საგადასახადო განაკვეთი. განვარიშობთ საშემოსავლო გადასახადს, რომელიც ექვითება ხელფასის მიმღებ პირს, მაგრამ

ხელფასის გაცემასთან ერთად უნდა ვაწარმოოთ საშემოსავლო გადასახადის ანგარიში და გადავიხადოთ შესაბამისი სახაზინო კოდით.

$$36\ 400 \times 25 / 100 = 9\ 100 \text{ (ლარი)}$$

ვანგარიშობთ ორგანიზაციის მოგებას, რომელიც არის სხვაობა მიღებულ შემოსავლებსა და გასავლებს შორის :

$$115\ 000 - 36\ 400 - 68\ 200 = 10\ 400 \text{ (ლარი)}$$

როგორც ვხედავთ ორგანიზაციას სამუშაოს დამთავრების შემდეგ დარჩა მოგება 10 400 ლარის ოდენობით. მოგების საგადასახადო განაკვეთი საქართველოში დღეისათვის შეადგენს 15%-ს.

$$10\ 400 \times 15 / 100 = 1\ 560 \text{ (ლარი)}$$

ორგანიზაციის განკარგულებაში დარჩენილი მოგება შეადგენს :

$$115\ 000 - 68\ 200 - 36\ 400 - 1\ 560 = 8\ 840 \text{ (ლარი)}.$$

ახლა ბუღალტრულად გავატაროთ მოცემული ოპერაცია. ორგანიზაციამ დაასრულა მშენებლობა და მიიღო შემოსავალი. რეალიზაციიდან მიღებული ფული შეიძლება იყოს მიღებული ნაღდი ანგარიშსწორებით ან საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით. თუ ფული მიღებულია უშუალოდ ნაღდი ანგარიშსწორებით, მაშინ ანგარიშთა გეგმის მიხედვით ვნახულობთ I განაყოფს – აქტივებს, I ჯუფს – 1000 მიმდინარე აქტივებს, და ვატარებთ 1110 ანგარიშზე – ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში. ფულის მიღების წყაროს შესაბამება ანგარიშთა გეგმის მე- 6 განყოფილების 6110 ანგარიში – შემოსავალი რეალიზაციიდან. **ანგარიშთა გუგმა წარმოდგენილია სახელმძღვანელოს ბოლოში.**

მოხერხებულობისათვის ამ გატარებას ვსვავთ ცხრილში :

1110 ანგარიშზე – ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	6110 ანგარიში – შემოსავალი რეალიზაციიდან
---	---

ეს გატარება შეიცვლება თუ გავითვალისწინებთ რომ შესაძლებელია ორგანიზაცია იყოს დამატებული დირექტორების გადასახადის გადამხდელი. მაშინ ანგარიშთა გეგმაში ვნახულობთ მის შესაბამის ანგარიშს და ჩავწერთ ზემოთ მოცემულ ცხრილში :

1110 ანგარიშზე – ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	6110 ანგარიში – შემოსავალი რეალიზაციიდან 3330 ანგარიში – გადასახდელი დღგ
--	---

თუ ორგანიზაციამ მიიღო ფული გადარიცხვით საბანკო ანგარიშზე, მაშინ გატარება მიიღებს შემდეგ სახეს :

1210 ანგარიშზე – ეროვნული ვალუტა რეზივენტ ბანკში	6110 ანგარიში – შემოსავალი რეალიზაციიდან 3330 ანგარიში – გადასახდელი დღგ
--	---

II. ბალანსი და შემოსავლების ანგარიში

ამ თავში განხილულია :

შემოსავლების ანგარიში
შემოსავლის განსაზღვრება
ორმაგი ჩაწერა
ბალანსი და საბალანსო წონასწორობა
ბალანსის შეფარის თრი სახე
დებეტი და კრედიტი
აქტივები, გალდებულებები და კაპიტალი
საქმიანი შეთანხმება
საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის ნიმუში

აქ განიხილება 2 ძირითადი ფინანსური ანგარიშება და ურთიერთკავშირი ინდივიდუალურ საბუღალტრო ოპერაციებსა და ფინანსურ ანგარიშებს შორის. ამის შესწავლა აუცილებელია ორმაგი ჩაწერის მექანიზმის უკეთ გაგებისათვის.

თავის შესწავლის შედეგია:

- ბალანსის და შემოსავლების ანგარიშის შესაღვენად ტიპური შემაღვენებლი ნაწილების უკეთ გაგება,
- ფინანსური ანგარიშების მომზადებისათვის ძირითადი კონცეფციების და პრინციპების გააზრება,
- ბუღალტრული წონასწორობის მექანიზმის გააზრება და ოპერაციების ორმხრივი ეფექტის აღიარება.

შემოსავლების ანგარიში – შემოსავლებს და ხარჯებს განსაზღვრავენ მოგების ოდენობის დასადგენად, ამისათვის აუცილებელია შემოსავლების სწორი განმარტების დადგენა.

შემოსავალი არის საწარმოს მიერ ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშგებო პერიოდში, აქტივების ზრდის ან ვალდებულებების შემცირების გზით, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის გადიდებით, რომელიც დაკავშირებული არ არის საკუთარი კაპიტალის მესაკუთრეთა დამატებით შენატანებით. შემოსავალი არის რამდენიმე სახის: შემოსული პროდუქციის, საქონლის, მომსახურების რეალიზაციიდან, რასაც ამონაგებს უწოდებენ და სხვა საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავალი, მაგალითად ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული თანხა, რომელსაც ეწოდება **შემოსულობა**. შემოსავალი შეიძლება მიღებულ იქნას აგრეთვე ფასიანი ქაღალდების გადაფასების ან გრძელვადიანი აქტივების საბალანსო დირებულების ზრდით.

შემოსავლების გატარება როგორც ნახეთ დამოკიდებულია მათი მიღების წყაროზე და იმაზე თუ ბანკის მეშვეობით ვაწარმოებოთ ოპერაციას თუ ნაღდი ანგარიშსწორებით. მაგალითად ორგანიზაციამ, რომელიც აწარმოებს მასალების გაყიდვას აკეთებს შემდეგ გადატარებას:

დებეტი - 7200 რეალიზებული საქონლის თვითღირებულება 25 000 კრედიტი - 1610 საქონელი 25 000	X
--	---

რელიზაციით მიღებული თანხა შედის საბანკო ანგარიშზე და შეესაბამება ჩანაწერი:

დებუტი - 1210 - 25 000 ლარი,

თუ ანგარიშვალდებულ პირს გადაეცემა თანხა, ანუ სალაროში შემოდის, მაშინ გატარება იქნება:

დებუტი - 1110 - 25 000 ლარი,

კრედიტი - 7200 - 25 000 ლარი.

გატარება არის საქმიან ოპერაციაზე კოდის მინიჭება (იხილეთ გვერდი 94). ბუდალტრული აღრიცხვის ახალ ანგარიშთა გეგმაში ანგარიშების ინდექსი 4 ნიშნიანია: I – არის განაყოფის აღმნიშვნელი, II – ჯგუფის, III და IV – ანგარიშთა ნომერი. მაგალითად: 1110 – არის I განაყოფის – მიმდინარე აქტივების მანიშნებელი, მეორე ნიშანი I ჯგუფის მანიშნებელია – ნაღდი ფული სალაროში, მესამე და მეოთხე აჩვენებს თუ რომელ სალაროში რიგით არის მიღებული თანხა. თუ ორგანიზაციას რამდენიმე სალარო აქვს გახსნილი, დავუშვათ რამდენიმე ქალაქში აქვს ფილიალები, იმდენ სალაროს გახსნის და იმდენივე ანგარიში ექნება.

მაღაზია „POPULI“-ს აქვს ბერვი ფილიალი ამიტომ იმდენივე სალაროს ანგარიში აქვს, რამდენიც ფილიალია. თუ ორგანიზაციას აქვს ფილიალები გახსნილი საზღვარგარეთ მაშინ გამოიყენებს დამატებითად ანგარიშებს **1230 - უცხოური ფალუტა არარეზიდენტ ბანკში.** ეს უკვე საბანკო ანგარიშია, სადაც ორგანიზაცია სხის ანგარიშს ფულის გადარიცხვის ოპერაციების წარმოებისათვის ბანკის მეშვეობით.

ორმაგი ჩაწერა ბუდალტრულ აღრიცხვაში

სამეურნეო ოპერაციის ჩაწერა საჭიროებს ორ დამოუკიდებელ ბუდალტრულ ანგარიშს. სამეურნეო ოპერაციით გამოწვეული ცვლილების ჩასაწერად საჭიროა სამეურნეო ოპერაციის თანხის ჩაწერა ერთი ანგარიშის დებეტში და სხვა რომელიმე ანგარიშის კრედიტში.

ერთი და იგივე სამეურნეო ოპერაციის ასახვას ერთი ანგარიშის დებეტში და მეორე ანგარიშის კრედიტში თანაბარი თანხით ორმაგი ჩაწერა ეწოდება.

მაგალითი: ორგანიზაცია აწარმოებს სამშენებლო საქმიანობას, მის მიერ არის შეძენილი ნაღდ ანგარიშზე 24 500 ლარის ნედლეული და მასალები. ეს ოპერაცია ასე ჩაიწერება 1620 ანგირიშის „ ნედლეული და მასალები“ დებეტში და 1100 ანგარიშის „ნარდი ფული ეროვნულ ვალუტაში“ კრედიტში თანაბარი თანხით 24 500 ლარი :

დებუტი - 1620, კრედიტი - 24 500 ლარი.

სამეურნეო ოპერაციების ორმაგი ჩაწერის წესით ანგარიშების ურთიერთდაკავშირებას ანგარიშთა კორესპონდენციას უწოდებენ, ხოლო თვით სამეურნეო ოპერაციებით ურთიერთდაკავშირებულ ანგარიშებს მაკორესპონდენტო ანგარიშები ეწოდება.

ორმაგი ჩაწერის მეთოდით ასახულ სამეურნეო ოპერაციას ბუდალტრული მუხლი ანუ ბუდალტრული გატარება ეწოდება.

განასხვავებენ მარტივ და რთულ ბუდალტრულ მუხლს ანუ გატარებას.

მარტივი ბუდალტრული მუხლით ერთი ანგარიშის დებეტი დაკავშირებულია ერთი ანგარიშის კრედიტთან. ზემოთ მოვანილი მაგალითი დ 1620 კ 1110 – 500 ლარი მარტივი ბუდალტრული მუხლია, ხოლო რთული ბუდალტრული მუხლით ერთი ანგარიშის დებეტი დაკავშირებულია რამდენიმე ანგარიშის კრედიტთან და პირიქით.

მაგ.: შეძენილია ნაღდი ფულით 12 500 ლარის საქონელი და 4 100 ლარის ნედლეული და მასალები. ამ ოპერაციაზე გატარდება რთული ბუღალტრული მუხლი

დ 1620 – 12 500 ლარი,
დ 1620 – 4 100 ლარი,
კ 1110 – 16 600 ლარი.

ბალანსი და საბალანსო წონასწორობა. ბალანსი გვიჩვენებს საქმის ფინანსურ პოზიციას გარკვეულ საკითხებზე მოცემულ დროში. თავისი მნიშვნელობით ბალანსი ნიშნავს წონასწორობას შემოსავლებსა და გასავლებს შორის. სამშენებლო ორგანიზაციისათვის შემოსავალი არის ჩაბარებული ობიექტიდან (შენობა, ნაგებობა) მიღებული თანხა, გასავალი, ანუ ხარჯი იქნება ხელფასის, ამ ობიექტის მშენებლობაზე ან შეკეთებაზე დახარჯული მასალის, სატრანსპორტო ხარჯების, ადმინისტრაციული ხარჯების ჯამი. ბალანსის შედგენის ორი გზა, მიმართულება არსებობს:

- ორმხრივი პორიზონტალური ფორმატი,
- გერტიკალური ფორმატი

ორმხრივი პორიზონტალური ფორმატი. ამ სახის ფორმა დღესდღეობით საკმაოდ პოპულარულია პრეზენტაციისათვის. მაგალითად ინდივიდუალური მეწარმისათვის ბალანსის წარმოდგენილი ორმხრივი ფორმა შემდეგი სახისაა:

ბალანსი 31 დეკემბრისათვის 200_ წლისათვის

გრძელვადიანი აქტივები:

სასაწყობო მეურნეობა	2400
---------------------	------

მიმდინარე აქტივები:

ინვენტარი	2390
სავაჭრო და სხვა	
შემოსულობები	1840
ფული საბანკო ანგარიშებზე	1704
ნაღდი ფული საღართში	56
	5990
	8390

ძირითადი ანგარიში

ბალანსი 1 იანვრისათვის

200_ წ.	5200
წლის მოგება	3450
	8650
ზარალი წლის მიხედვით	2960
	5690

მიმდინარე გაღდებულებები:

სხვა გადასახადები:	2700
--------------------	------

8390

ბალანსი 20X2 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	20X2	20X2	20X1	20X1
აქტივები				
გრძევადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		X		X
ინვესტიციები	X		X	
სხვა გრძელვადიანი საშუალებები		X	X	<u>X</u>
მიმდინარე აქტივები				
მატერიალური მარაგი	X		X	
დებიტორები		X		X
ავანსები	X		X	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		<u>X</u>		<u>X</u>
<u>სულ აქტივები</u>	X	<u>X</u>	X	<u>X</u>
ფონდები და ვალდებულებები				
ფონდები				
შეუზღუდავი ფონდი	X			X
დროებით შეზღუდული ფონდი	X		X	
მუდმივად შეზღუდული ფონდი	<u>X</u>			<u>X</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	X		X	
საპენსიო ანარიცხები	<u>X</u>		<u>X</u>	<u>X</u>
მოკლევადიანი ვალდებულებები				
კრედიტორები		X		X
მოკლევადიანი სესხები	X		X	
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი		X		<u>X</u>
<u>სულ ფონდები და ვალდებულებები</u>	<u>X</u>		<u>X</u>	<u>X</u>

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება 20X2 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული
წლისათვის

I. შეუზღუდავი ფონდების ნაწილში 20X2		20X1
შემოსავლები		
საწევრო შენატანები	X	
საპროცენტო შემოსავლები	X	X
დიგიდენდები	X	
გრანტი	X	X
შემოწირულობები	X	X
სხვა შემოსავლები	<u>X</u>	<u>X</u>
<u>სულ შემოსავლები</u>	X	X

სარჯები

I პროექტის ხარჯი	X		X
II პროექტის ხარჯი	X	X	
III პროექტის ხარჯი	X	X	
პროექტის მხარდაჭერის ხარჯი	X		X
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი	<u>X</u>		<u>X</u>
<u>სულ ხარჯები</u>	X	X	

მთლიანი შედეგი (შემოსავლის ნამეტი/დეფიციტი) X X

განსაკუთრებული მუხლები

განსაკუთრებული შემოსავალი		X	X
განსაკუთრებული ხარჯი	(X)		(X)
წმინდა შედეგი (ფონდის ზრდა/შემცირება)	<u>X</u>		<u>X</u>

II. დროებით შეზღუდული ფონდების ნაწილში

შემოსავლები

შემოსავალი ინვესტიციიდან		X	X
შეზღუდვებისაგან განთავისუფლებული ფონდი		X	X
სხვა შემოსავალი	<u>X</u>		<u>X</u>
<u>სულ შემოსავალი</u>	X	X	

სარჯები

I პროექტის ხარჯი	X		X
II პროექტის ხარჯი	X		X
III პროექტის ხარჯი	<u>X</u>		X
<u>აულ ხარჯები</u>	X	X	
წმინდა შედეგი (ფონდის ზრდა/შემცირება)	<u>X</u>		<u>X</u>

III. მუდმივად შეზღუდული ფონდების ნაწილში

შემოსავლები

შემოსავალი ინვესტიციებიდან		X	X
შეზღუდვისაგან განთავისუფლებული ფონდი		X	X
სხვა შემოსავალი	<u>X</u>		<u>X</u>
<u>სულ შემოსავალი</u>	X	X	

სარჯები

I პროექტის ხარჯი		X	X
II პროექტის ხარჯი		X	X
III პროექტის ხარჯი	<u>X</u>		X
<u>სულ ხარჯები</u>	X		X
წმინდა შედეგი (ფონდის ზრდა/შემცირება)	<u>X</u>		<u>X</u>

ხარჯების ეკონომიკური შინაარსი 200X2 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის

ხარჯების ელემენტები I პროექტის ხარჯი II პროექტის ხარჯი III პროექტის ხარჯი პროექტების მხარდაჭერის ხარჯი ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი

სარჯი სულ

პერსონალის ხელფასი X X X X X X
საშემოსავლო X X X X X X
ტრანსპორტის ხარჯი X X
საკანცელარიო ნივთები X X X X
სხვა მატერიალური ფასეულობა X X
აქტივის ცვეთა X X X
იჯარა X X X X X
ელექტროენერგია X X X X X
სხვა კომუნალური ხარჯი X X X X X X
კავშირგაბმულობა X X X X X X
კონსულტაცია და აუდიტი X X X
მივლინება X X X X X
შეხვედრები და პრეზენტაცია X X X X X X
განცხადება და რეკლამა X X X X X X
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
დანარჩენი ხარჯები X X X X X X
ხარჯების ჯამი X X X X X X

ფონდებში ცვლილების ანგარიშგება 200X2 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის

შეზღუდავი ფონდების დროებით შეზღუდული ფონდები მუდმივად შეზღუდული ფონდები შეზღუდული ფონდები სულ

20X0 წლის 31 დეკემბრის ნაშთი X X X X
გრანტი და შემოწირულობები X X X X
ფონდის რეკლასიფიცირება X (X)
ხარჯების დაფინანსება (X) (X) (X)
ფონდის ზრდა (შემცირება) X X
20X1 წლის 31 დეკემბრის ნაშთი X X X X
გრანტი და შემოწირულობები X X X X
ფონდის რეკლასიფიცირება X (X)
ხარჯების დაფინანსება (X) (X) (X)
ფონდის ზრდა (შემცირება) X X
20X2 წლის 31 დეკემბრის ნაშთი X X X X

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 200X2 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის

20X2

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან
საწევროს სახით მიღებული ფულადი სახსრები X
შემოწირულობის სახით მიღებული ფულადი სახსრები X
გრანტის სახით მიღებული ფულადი სახსრები X

მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე გაცემული ფული (X)
სოაპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები X

გადახდილი პროცენტები (X)

გადახდილი გადასახადები (X)

ფულადი ნაკადები განსაკუთრებულ მუხლამდე X

განსაკუთრებული მუხლით შემოსული ფულადი სახსრები X

განსაკუთრებული მუხლით გასული ფულადი სახსრები (X)

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან X

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

ძირითადი საშუალებების შეძენა (X)

ძირითადი საშუალებების გაყიდვით მიღებული ნამეტი X

მიღებული პროცენტები X

მიღებული დივიდენდები X

წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან X

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან

თამასუქის გაცემით მიღებული ფულადი სახსრები X

სესხის დასაფარავად გადახდილი ფულადი სახსრები (X)

ფინანსური იჯარის ვალდებულების დასაფარავად გადახდილი ფული და სახსრები (X)

წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან X

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა X

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის X

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის X

ქვემოთ მოგვავს ორმხრივი ჰარმონიზაციური ბალანსის ნიმუში სამშენებლო სარემონტო ორგანიზაციისათვის:

იგივე ბალანსი შეიძლება იყოს წარმოდგენილი ვერტიკალური ფორმატით:

საქონელი	8 200
მანქანა-დანადგარები	4 116
ოფის-აღჭურვილობა	7 046
	19 362
ფული საბანკო ანგარიშებზე	6 102
	25 464
გადასახადი საშემოსავლო	98
სარეზერვო კაპიტალი	17 264
საწესდებო კაპიტალი	2 000
გაუნაწილებელი მოგება	6 102
	25 464

როგორც ბალანსიდან ჩანს ორგანიზაციამ მოგებით დაამთავრა 2007 წელი.

საწარმოს ეპონომიკური რესურსების (აქტივები) და მათ წყაროებში (ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი) სამეურნეო ოპერაციებით გამოწვეული ყოველგარი ცვლილების ასახვისათვის დროის გარგებული პერიოდის განმავლობაში გამოიყენება ბუღალტრული ანგარიშები. მათი საშუალებით

შესაძლებელია სამეურნეო ოპერაციებისა და მათი შედეგების მიმდინარე ასახვა, დაჯგუფება და კონტროლი.

წლიური ბალანსი

აქტივი	გოდი (სტრიქ.)	2006 წელი
მიმდინარე აქტივები		
ნაღდი ფული სალაროში ----- (1100)	010	
ფული საბანკო ანგარიშებზე ----- (1200)	020	6102
მოკლევადიანი ინვესტიციები ----- (1300)	030	
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ----- (1400)	040	
მოთხოვნები მეცავშირე საწარმოების მიმართ ----- (1420)	041	
საეჭვო მოთხოვნების კორექტირება ----- (1415)	050	
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ ----- (1430)	060	
მოთხოვნები კაპიტალის შევსებაზე ----- (1460)	070	
გადახდილი დღგ ----- (3340)	071	
მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები ----- (1480)	080	
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები ----- (1490)	090	
სულ მიმდინარე აქტივები		6102
სასაქონლო მატერიალური მარაგი		
საქონელი ----- (1610)	110	
ნედლეული და მასალები ----- (1620)	120	8200
დაუმთავრებელი წარმოება ----- (1630)	130	
მზა პროდუქცია ----- (1640)	140	
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი ----- (1690)	150	
წინასწარ გაწეული ხარჯები ----- (1700)	160	
სხვა მიმდინარე აქტივები ----- (1900)	170	
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	180	8200
გრძელვადიანი აქტივი		
მიწის ნაკვეთები ----- (2110)	190	
დუამთავრებელი მშენებლობა ----- (2120)	200	
შენობა-ნაგებობები ----- (2130)	210	
მანქანა-დანადგარები ----- (2150)	220	4116
ოფისის აღჭურვილობა ----- (2160)	230	7046
სატრანსპორტო საშუალებები ----- (2180)	240	
სხვა ძირითადი საშუალებები -----	250	
გრძელვადიანი მოთხოვნები ----- (2300)	260	
გადავადებული საგადასახადო აქტივი ----- (2340)	270	
გრძელვადიანი ინვესტიციები ----- (2400)	280	
არამატერიალური აქტივები ----- (2500)	290	
სულ გრძელვადიანი აქტივები	300	11162
სულ აქტივები	310	25464

პასივი	კოდი (სტრიქ.)	2006 წელი
<u>მიმდინარე ვალდებულებები</u>		
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები (3110)	310	
მიღებული ავანსები ----- (3120)	320	
გადასახდელი ხელფასები ----- (3130)	330	
ვალდებულებები მეკავშირე საწარმოების წინაშე ----- (3170)	331	
მოკლევადიანი სესხები ----- (3210)	340	
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი ----- (3230)	350	
გადასახდელი მოგების გადასახადი ----- (3310)	360	
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი ----- (3320)	370	98
გადასახდელი ღღგ ----- (3330)	380	
გადასახდელი აქციზი ----- (3350)	390	
სოციალური გადასახადი ----- (3370)	400	
სხვა საგადასახადო ვალდებულებები ----- (3390)	410	
გადასახდელი პროცენტები ----- (3410)	420	
გადასახდელი დივიდენდები ----- (3420)	430	
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები ----- (3190)	440	
<u>სულ მიმდინარე ვალდებულებები</u>		
<u>გრძელვადიანი ვალდებულებები</u>		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები ----- (4100)		
გადავადებული მოგების გადასახადი ----- (4210)		

ანარიცხები -----	(4300)		
გადავადებული შემოსავალი -----	(4410)		
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები -----	(4220)		
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწევდებო კაპიტალი -----	(5100)		2000
სარეზერვო კაპიტალი -----	(5410)		17264
სხვა რეზერვები და მიზნობრივი დაფინანსება -----	(5490)		
გაუნაწილებები მოგება -----	(5310)		6102
დაუფარავი ზარალი -----	(5320)		
სულ საკუთარი კაპიტალი			25366
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			25464

აქტივების, საკუთარი კაპიტალისა და ვალდებულებების თითოეულ მუხლს ეხსნება ანგარიში. თითოეულ ანგარიშს აქვს თავისი დასახელება. ბუღალტრულ ანგარიშს სქემა-ტურად ასეთი სახე აქვს:

ბუღალტრულ ანგარიშს აქვს 2 მხარე: მარცხენა და მარჯვენა. ანგარიშის მარცხენა მხარეს ეწოდება „დებეტი“ (*debit*), მარჯვენას კი „კრედიტი“ (*credit*). დებეტი და კრედიტი ლათინური წარმოშობის სიტყვებია, „დებეტი“ ნიშნავს – მას მართდეს, „კრედიტი“ - მას სწამეს, ხჯერა.


ბუღალტრული ანგარიშები იყოფა 2 ძირითად ჯგუფად: აქტიურ და პასიურ ანგარიშებად. აქტივების ამსახველი ანგარიშები აქტიურია, ხოლო კაპიტალისა და ვალდებულებების – პასიური.

ბუღალტრული ანგარიში იხსნება ერთი თვის გადით. იგი ასახავს ნაშთს თვის დასაწყისისათვის, თვის განმავლობაში მომხდარ სამეურნეო ოპერაციებს და ნაშთს თვის ბოლოსათვის. პირველი ჩანაწერი ბუღალტრულ ანგარიშზე არის დაწყებითი ნაშთი, მის შემდეგ იწერება სამეურნეო ოპერაციებით გამოწვეული ცვლილებები და ბოლოს განისაზღვრება ნაშთი პერიოდის ბოლოსათვის. ანგარიშებზე ასახული სამეურნეო ოპერაციების ჯამი წარმოადგენს ბრუნვას, ანგარიშის დებეტში ასახული ოპერაციების ჯამი წარმოადგენს დებეტის ბრუნვას, ხოლო კრედიტში ასახული ოპერაციების ჯამი – კრედიტის ბრუნვას. ანგარიშებზე განხსაზღვრული საბოლოო ნაშთები წარმოადგენს მიმდინარე პერიოდში გახსნილი ანგარიშებისათვის საწყის ნაშთს.

აქტიური ანგარიშები ეწოდება ბალანსის აქტივის მუხლებს და მათი საწყისი ნაშთი დებეტის მხარეს გააჩნიათ, პასიური ანგარიშები ეხსნება საკუთარი კაპიტალისა და ვალდებულებების მუხლებს და საწყისი ნაშთი ამ ანგარიშებზე კრედიტის მხარეს აისახება.

აქტიურ ანგარიშში პირველი-დაწყებითი ნაშთი იწერება დებეტის მხარეს. სამეურნეო ოპერაციებით გამოწვეული საშუალებების მატება იწერება დებეტში, ხოლო სამეურნეო ოპერაციებით გამოწვეული შემცირება აისახება კრედიტში. შაბოლოო ნაშთი საანგარიშებო პერიოდის ბოლოს განისაზღვრება საწყისი ნაშთებისა და თვის განმავლობაში ჩაწერილი ოპერაციების საფუძველზე და იგი ჩაიწერება დებეტში.

აქტიური ანგარიშის საბოლოო ნაშთი განისაზღვრება დებეტის დაწყებით ნაშთზე დებეტის ბრუნვის დამატებით და კრედიტის ბრუნვის გამოკლებით. მაგალითად: აქტიური ანგარიში №1620.



პასიურ ანგარიშებში დაწყებითი ნაშთი აისახება კრედიტში, სამეურნეო ოპერაციებით გამოწვეული მატება იწერება კრედიტში, ხოლო შემცირება – დებეტში. საბოლოო ნაშთი იწერება კრედიტში.

დ „ნედლეული და მასალები“ პ	
დაწყ. ნაშთი 500	შემც. 300
+მატება 800	400
200	800
400	
ბრუნვა 1900	1500
<hr/>	
საბოლოო ნაშთი 400	

პასიური ანგარიშებისათვის საბოლოო ნაშთი განისაზღვრება კრედიტის დაწყებით ნაშთზე ბრუნვის დამატებით და დებეტის ბრუნვის გამოკლებით. მაგალითად: პასიური ანგარიში №3210

დ „მოკლევადიანი სესხები“ პ	
შემცირება 1200	დაწყ. ნაშთი 1000
800	+ მატება 500
800	2000
400	1500
ბრუნვა 3200	ბრუნვა 5000
<hr/>	
	საბოლოო ნაშთი 1800

აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის განსაზღვრება

საბუღალტრო აღრიცხვა წარმოადგენს საწარმოს ეკონომიკური რესურსების და მათი ფორმირების წყაროების, სამეურნეო ფაქტების ცვლილებათა შესახებ ინფორმაციის თავმოყრის, დაჯგუფებისა და გადაცემის სისტემას.

ბუღალტრული აღრიცხვა ქმნის საინფორმაციო სისტემას სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის შესახებ, იძლევა საშუალებას განსაზღვროს მისი ქონება და მთლიანი კაპიტალი, შემოსავლები და ხარჯები, სამეურნეო საქმიანობის ფინანსური შედეგი.

ბუღალტრული აღრიცხვისათვის დამახასიათებელი თავისებურებაა საწარმოს დაარსებიდან მიმდინარე პერიოდამდე მასში მიმდინარე ოპერაციების განუწყვეტელი აღრიცხვა ქონოლოგიური თანამიმდევრობით სათანადოდ გაფორმებული დოკუმენტების საფუძველზე.

ინფორმაცია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ძირითადად მოცემულია ბუღალტრულ ბალანსში.

ბუღალტრულ ბალანსში მოცემულია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად გამოყენებული შემდეგი ელემენტები: აქტივები, ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი. აქტივები ნაჩვენებია ბალანსის მარცხენა მხარეს, კაპიტალი და ვალდებულებები წარმოდგენილია ბალანსის მარჯვენა მხარეს.

აქტივი – არის საწარმოს განკარგულებაში არსებული მატების მიზანით რესურსები, რომლებიც წარსულში მომხდარი სამეურნეო მოვლენების შედეგია და

რის საფუძველზეც საწარმო მომავალში მოელის ეკონომიკური სარგებელის მიღებას. აქტივი სიტყვიდან გამომდინარე არის ის რაც, აქტიურად იღებს მონაწილეობას სამეურნეო საქმიანობაში.

ვალდებულება – საწარმოს მიმდინარე პერიოდის მოვალეობაა, რომელიც წარმოიშვა წარსული სამეურნეო მოვლენების შედეგად და მისი შესრულება გულისხმობს საწარმოს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლას საწარმოდან.

საკუთარი კაპიტალი – არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების დაფარვის შემდეგ.

საწარმოს სამეურნეო-ფინანსური საქმიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ქონება ანუ ეკონომიკური რესურსების ფორმირების წყაროები საკუთარი კაპიტალისა და ვალდებულებების სახით.

ბალანსში საწარმოს ეკონომიკური რესურსები და მათი ფორმირების წყაროების განხოგადებულად, ფულადი ფორმით არის წარმოდგენილი ერთი გარკვეული პერიოდის, სააგბარიშვებო პერიოდის ბოლოსათვის.

ბუღალტრული ბალანსი გვიჩვენებს, რა სახის ქონებას ფლობს საწარმო და რომელი წყაროებიდან არის ეს ქონება ფორმირებული.

ვალდებულებები და საწესებებო კაპიტალი შეადგენს ორგანიზაციის პასივს. ასივი არის აქტივის მიღების წყარო.

საბალანსო წონასწორობა. ბალანსი შედგება 2 ნაწილისაგან, რომელთაგან ერთი ასახავს აქტივებს (ეკონომიკური რესურსები), ხოლო მეორე – საკუთარი კაპიტალისა და ვალდებულებების ჯამს (ეკონომიკური რესურსების ფორმირების წყაროები).

აღწერილი ინდიკიდუალური საწარმოს მაგალითზე გვაქვს საწარმოს ბალანსი 200_____ წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ბალანსი ყოველთვის უნდა აკმაყოფილებებს წონასწორობის ძირითად პირობას. ბალანსში ეკონომიკური რესურსები (აქტივები) და მათი წყაროები (საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები) განლაგებულია საბალანსო ტოლობის სახით:

აქტივები = საკუთარი კაპიტალი + ვალდებულებები

ეს პირობა ცნობილია საბალანსო წონასწორობის ან საბუღალტრო წონასწორობის სახელით. აღნიშნული ტოლობა ყოველთვის ძალაში რჩება, თუ საბუღალტრო ჩანაწერებში ადგილი არა აქვს შეცდომებს.

ბალანსის თითოეული დასახელება, თითოეული ელემენტი ბალანსის მუხლს წარმოადგენს. მუხლების ჯამს ბალანსის თითოეულ ნაწილში ბალანსის ვალუტას უწოდებენ.

საწარმოს ყოველი სამეურნეო მოქმედება, სამეურნეო ფაქტი, რომელიც ფულადი სახით იზომება, სამეურნეო ოპერაციას წარმოდგენს.

საქმიანი შეთანხმება – ბიზნესის კონვენციას. ბიზნესის კონვენციას საფუძვლად უდევს საფინანსო-საბუღალტრო ინფორმაციით სამეწარმეო ან სხვა საქმიანობის უზრუნველყოფა და არა მისი მფლობელის საქმიანობისა, სხვანაირად რომ ვთქვათ ემსახურება საერთო ინტერესებს.

განვიხილოთ აქტივების სხვა განსაზღვრებაც: **აქტივი** არის საწარმოს განკარგულებაში არსებული მატერიალური ან არამატერიალური რესურსი, რომელიც წარსულში მომხდარი სამეურნეო მოვლენების შედეგია და რის საფუძველზეც საწარმო მოელის მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღებას. **რესურსი** ნიშავს წყაროს. ამ შემთხვევაში რესურსი არის ორგანიზაციის განკარგულებაში არსებული საშუალებები და მატერიალურია რესურსი თუ წარმოდგენილია ფულადი სახსრების სახით. ეს არის ფული სალაროში, საბანკო ანგარიშებზე. არმატერიალურია სხვა დანარჩენი საშუალებები იქნება ეს ქონება,

მანქანა-დანადგარები, მოწყობილობები, ხელსაწყოები და ა.შ.. არამატერიალური აქტივების მოხმარების ვადა განსხვავებულია. სხვა განმარტებით აქტივი არის ბიზნესის წარმართვის საშუალება. დავუშვათ კომპანიამ აწარმოვა მოლაპარაკება ერთ-ერთ კლიენტთან, იგივე დამკვეთთან, რომ შეუსრულებს გარკვეული სახის საშემკეთებლო (სარემონტო) სამუშაოებს. კომპანიის ანგარიშზე შემოსული თანხა სამუშაოს დასრულების შემდეგ ჩაიწერება აქტივში, საბანკო ანაგრიშზე არსებული თანხის სახით. ზემოთ გამოყენებული საბალანსო წონასწორობის ფორმულა დაგვეზმარება გარკვეული ფინანსური ოპერაციების ჩაწერაში. თუ დამკვეთის მიერ შემოსული თანხა შეადგენს 24 000 ლარს, ხოლო ორგანიზაციის კაპიტალი შეადგენს 12 400 ლარს, მაშინ ვალდებულებები იქნება:

$$24\ 000 = \text{ვალდებულება} + 12\ 400$$

$$\text{ანუ } 24\ 000 - 12\ 400 = 11\ 600 \text{ (ლარი)}$$

ვალდებულება არის საწარმოს მიმდინარე პერიოდის მოვალეობა, რომელიც წარმოიშვა წარსული სამეურნეო მოვლენების შედეგად და რომლის შესრულება გულისხმობს საწარმოს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლას საწარმოდან. ორგანიზაციაში შეძენებთან დაკავშირებული ფინანსური ოპერაციის შედეგად წარმოიშვა ხარჯი: ეს შეიძლება იყოს მასალის შესყიდვის, ხელფასების გაცემის ან მიმდინარე ვალდებულებების ხარჯი. ხელფასების გაცემის დროს აგრეთვე წარმოიშვება საგადასახადო ვალდებულება – საშემოსავლო გადასახადი, რომელიც ირიცხება ბანკის მეშვეობით განსაკუთრებული სახაზინო კოდის მითითებით.

საკუთარი კაპიტალი – არის საწარმო აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულებების დაფარვის შემდეგ.

მსხვილი ორგანიზაციების შემთხვევაში მათი აქტივები ეკუთვნის ინვესტორებს და კრედიტორებს: ინვესტორები უზრუნველყოფენ ფინანსურ რესურსებს, ბიზნესში მფლობელთა ინტერესების ნაცვლად, კრედიტორები გაასესხებენ ფინანსურ რესურსებს ბიზნესისათვის. ბიზნესის შემოსავლიდან წილის ნაცვლად ისინი ელიან გასესხებული რესურსების დაბრუნებას მომავალში.

თუ ორგანიზაციის საქმიანობა წყდება, მაშინ მისი აქტივები ექვემდებარება გაყიდვას და უბრუნდება ინვესტორებს და კრედიტორებს. ასეთ პროცესს ეწოდება **ლიკვიდაცია**. კრედიტორებს გააჩნია უპირატესობა აქტივების მფობელობაზე საქმიანობის შეწყვეტის შემდეგ. კრედიტორების ინტერესის დაკმაყოფილების შემდეგ ყველა დარჩენილი აქტივი გადაეცემა ინვესტორებს, ანუ მფლობელებს.

დავუშვათ საქმის წარმოებაში ჩაიდო 1 200 ლარი ინვესტორების მიერ და 3 500 ლარი კრედიტორების მიერ. საქმის დასრულების შედეგად ორგანიზაციამ დაკარგა 900 ლარი, ანუ საქმიანობის შედეგად მიიღეს მხოლოდ $(1\ 200 + 3\ 500 - 900)$ 3 800 ლარი. კრედიტორები მიიღებენ თავის 3 500 ლარს, ხოლო ინვესტორები მხოლოდ 300 ლარს. თუ კი იგივე პირობებში ორგანიზაციამ განიცადა 1 300 ლარის ოდენობით ზარალი, მაშინ კრედიტორები მიიღებენ $(1\ 200 + 3\ 500 - 1300)$ 3 400 ლარს, ინვესტორები ადარაფერს იღებენ. აქედან გამომდინარე საქმიანობის/ოპერაციის ზარალით დასრულების შემთხვევაში შესაძლებელია დაზარალდეს ორივე – კრედიტორიც და ინვესტორიც. რა საკვირველია კრედიტორები დგანან შედარებით მოგებიან პოზიციაზე. საკუთარი პოზიციის დასაცავად ისინი საქმიანობის დაფინანსებიდან არ მოითხოვენ მოგების წილს. მის მაგივრად კრედიტორები დებულობენ ფიქსირებულ თანხას, ეგრედ წოდებულ პროცენტს (*interest*). ამ შემთხვევაში ვიღებთ დამოკიდებულებას:

$$\text{აქტივი} = \text{მოთხოვნა} \text{ (Assess = Claims)}$$

კრედიტორების მოთხოვნას ეწოდება **ვალდებულება** და ინვესტორების მოთხოვნას – **ნარჩენ ქონებას** კრედიტორებისადმი ვალდებულებების დაფარვის შემდეგ.

დარჩენილი ქონება ასევე შეიძლება განიხილოს როგორც აქტივების წყარო. ამ შემთხვევაში ორგანიზაციას ეძლევა საშუალება მიიღოს ინვესტირების დამატებითი ფინანსური წყარო მფლობელთა მხრიდან. ორგანიზაცია იყენებს აქციების გამოშვების უფლებას (ასევე იყენებენ ტერმინს აქციის სერთიფიკატის უფლება). ასეთი ორგანიზაციის მფლობელებს ეწოდება **აქციონერები** და მათ მფლობელობაში გადადის აქციების გარკვეული რაოდენობა შეტანილი თანხის მიხედვით.

აქცია არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც მოწმობს სააქციო საზოგადოების კაპიტალში გარკვეული პაის შეტანას და იძლევა დივიდენტის სახით მოგების ნაწილის მიღებაზე უფლებას, ეს ფასიანი ქაღალდი მიმოქცევის ვადის მითითების გარეშეა.

მეორე მხრივ ორგანიზაციის ხელთ დარჩენილი ქონება ნაწილობრივ რეალიზაციას დაექვემდებაროს, რომლის შედეგად მიღებული თანხა ან რჩება ორგანიზაციას ან და ეძლევა მფლობელს.

საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა. საწარმო რომელიც ბუდალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებას აწარმოებს ბუდალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით (ბასს), ვალდებულია შეიმუშაოს სააღრიცხვო პოლიტიკა და ბუდალტრული აღრიცხვის წარმოების და ფინანსური ანგარიშგების შედგენის დროს იხელმძღვანელოს სააღრიცხვო პოლიტიკაში აღწერილი დებულებებით.

სააღრიცხვო პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს აღქმადობას, შესაბამისობას, საიმედოობას და შესადარისობას.

აღქმადი არის ინფორმაცია თუ ის არის წარმოდგენილი მომხმარებლისათვის გასაგებ ენაზე; **შესაბამისობა** ნიშნავს რომ ინფორმაცია უნდა აკმაყოფილებდეს მომხმარებლის ინტერესებს და ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს მოვლენებს, ანუ ზუსტად აღწერდეს მათ; **საიმედობა** ბუდალტრული აღრიცხვისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია, და ინფორმაცია აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას თუ არის ნეიტრალური, სრულფასოვანი და არ არის გამოტოვებული არანაირი ინფორმაცია; **შესადარისობა** ყველა ინფორმაცია მაგალითად სხვადასხვა წლების მონაცემების შედარების საშუალებას უნდა იძლეოდეს.

ბუღალტრული ანგარიშგებების წარმოებისათვის ამიტომ ხელსაყრელი იქნება საკუთარი სააღრიცხვო პოლიტიკის ჩამოყალიბება. მაგალითისათვის მოყვანილია ერთ-ერთი ნიმუში:

ს/ს „ავეჯის“ სააღრიცხვო პოლიტიკა

ვამტკიცებ
ს/ს „ავეჯის“
დირექტორი

„ 2000

1. ზოგადი დებულებები

1.1 ს/ს „ავეჯი“ რეგისტრირებულია ქ. თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 2000 წლის 10 მარტს. სარეგისტრაციო ნომერი _____. მისამართი ქ. თბილისი, გამგების ქ. № _____. საგადასახადო საიდენტიფიკაციო კოდი _____.

12. საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: (საქმიანობის ჩამონათვალი)

საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგ კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებზე დაყრდნობით:

- ❖ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;
- ❖ საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“;
- ❖ საქართველოს პარლამენტის არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის მიერ სამოქმედოდ დამტკიცებული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები.

მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა მოქმედებაში შედის 2000 წლის 1 აპრილიდან და მოქმედებს მუდმივად საწარმოს ფუნქციონირების მთელ პერიოდში.

მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა შესაძლებელია შეიცვალოს ბასე-ით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე პასუხისმგებელია საზოგადოების ხელმძღვანელი. იგი ქმნის ბუღალტრული აღრიცხვის სწორად წარმოებისა და ანგარიშგების დროულად წარდგენის პირობებს; უზრუნველყოფს აღრიცხვა-ანგარიშგებასთან დაკავშირებული ყველა ქვედანაყოფისა და შვილობილი საწარმოს მიერ მთავარი ბუღალტრის მოთხოვნების დროულ შესრულებას.

2. ბუღალტრული აღრიცხვის შერჩევლი ვარიანტები და მეთოდები

ძირითადი საშუალებები

- ❖ ნაყიდი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება მისი თვითდირებულებით, რომელიც შეიცავს: ნასყიდობის ფასს, საიმპორტო ბაჟს, უკან ამოღებას დაქვემდებარებულ დასახელებებს, საწარმომდებრანსპორტირების, ადგილმდებარეობის მომზადების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა პირდაპირ ხარჯებს;
- ❖ საკუთარი ძალით, სამეურნეო წესით შექმნილი ძირითადი საშუალებები შემოსავალში ტარდება მისი შექმნის ფაქტიური თვითდირებულებით;
- ❖ ფინანსური იჯარით მიღებული ძირითადი საშუალებები შემოსავალში ტარდება საიჯარო ქონების რეალური დირებულებით;
- ❖ ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ცვეთის თანხით შემცირებული თვითდირებულებით;
- ❖ ძირითადი საშუალებების ცვეთის თანხა იანგაირიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით;
- ❖ ძირითადი საშუალებების ცვეთადი ღირებულება განისაზღვრება მისი პირვანდელი ღირებულებიდან სალიკვიდაციო ღირებულების გამოკლებით;
- ❖ ძირითადი საშუალებების სალიკვიდაციო ღირებულებასა და ცვეთის ნორმას ადგენს ხელმძღვანელის მიერ დანიშნული კომისია;

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა

- ❖ შეძენილი საქონელი შემოსავალში ტარდება შეძენის ფაქტიური თვითდირებულებით;
- ❖ საზოგადებაში წარმოებული პროდუქცია შემოსავალში ტარდება წარმოების თვითდირებულებით;
- ❖ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა აღირიცხება პეიოდული აღრიცხვის მეთოდით;
- ❖ სასაქონლო - მატერიალური ფასეულობის თვითდირებულება განისაზღვრება მეთოდით „ფიფო“ (ან სხვა);

- ❖ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით.

მოთხოვნები

- ❖ გრძელვადიანი და მოკლევადიანი მოთხოვნები აღირიცხება ნომინალური ღირებულებით;
- ❖ მოთხოვნები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ნეტო (მოსალოდნელი ანაზღაურების) თანხით, რისთვისაც მოთხოვნების კორექტირება ხდება საჭირო მოთხოვნების თანხით;
- ❖ საჭირო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება წმინდა რეალიზაციიდან წარსულის გამოცდილების გათვალისწინებით.

საკუთარი კაპიტალი

- ❖ საკუთარი კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალის (ჩვეულებრივი აქციები), საემისიო კაპიტალის, გამოსყიდული საკუთარი კაპიტალის, მიმდინარე და წინა წლის გაუნაწილებელი მოგებისაგან;
- ❖ საწესდებო კაპიტალის ოდენობა დადგენილია წესდებით და შეადგენს 44 000 ლარს.

გალდებულებები

- ❖ მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებები აღირიცხება იმ თანხით, რომლის გადახდაც მოუწევს საზოგადოებას;
- ❖ მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები ბალანსში აისახება წლის ბოლოსათვის გადასახდელი პროცენტის გათვალისწინებით;
- ❖ სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახაჯები მიეკუთვნება იმ პერიოდს, როცა იყო ის გაწეული.

შემოსავლები და ხარჯები

- ❖ შემოსავლის აღიარება დარიცხვის მეთოდით. შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა გამომუშავებული, მიუხედავად მისი სანაცვლო ფულადი სახსრებისა, ან სხვა ეკონომიკური კომპენსაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა. შემოსავლები აღირიცხება და ანგარიშგებაში აისახება ნეტო ღირებულებით. ე.ი. მესამე პირის სახელით ამოღებული თანხების (დღგ, აქციზი) გარეშე;
- ❖ ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება ამ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიკური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტიურად დაფარვის მომენტისა;
- ❖ შემოსავლები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მისი წერტილების მიხედვით;
- ❖ ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ფუნ.-ციონალური დანიშნულების მიოხედვით;
- ❖ წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება:
 - დივიდენდების გასაცემად
 - სხვა მიზნით აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.

მოგების გადასახადი

- ❖ მოგების გადასახადი იანგარიშება სააღრიცხვო მოგებიდან და აისახება საგადასახადო ხარჯის სახით;
- ❖ სააღრიცხვო მოგებიდან გაანგარიშებულ საგადასახადო (დასაბეგრი) მოგებიდან გამომდინარე ბიუჯეტის კუთვნილი მოგების გადასახადს შორის სხვაობა აღირიცხება გადავადებული საგადასახადო აქტივის გადავადებული მოგების გადასახადის სახით.

III. ბუღალტერიის პრინციპები

ამ თავში მოცემულია :

ბუღალტერიის პრინციპები

ხელშეკრულების ფორმა

პირველ წყარო – ფორმების მაგალითები და მათი შევსების პრინციპები.

შეცდომების გასწორების ხერხები ბუღალტერიაში

ბუღალტერიის პრინციპები – არის აგებული ბუღალტრული ალრიცხვის განსაკუთრებული თვისებების გათვალისწინებით :

I პრინციპი – **ფულადი შეფახების პრინციპი** – ყველა ოპერაცია, რომელიც იწარმოება ორგანიზაციაში გამოსახული უნდა იქნა ფულად საზომ ერთგულებში;

II – **საწარმოს ავტონომიურობის პრინციპი** – ორგანიზაციის ანგარიშებში აისახება მხოლოდ ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშები და არა მისი დამფუძნებლის ;

III – **უწყვეტობის პრინციპი** – ორგანიზაციის დაარსებიდან დაწყებული ითვლება რომ რომ ის იარსებებს გარკვეული დროის მანძილზე, ან ხანგრძლივი დროით, ამიტომ ის ითვლება „ფუნქციონირებად საწარმოდ“ ;

IV – **თვითდირებულების პრინციპი** – ყველა საწარმო საშუალებები აღირიცხება თვითდირებულებით და არა მისი საბაზო დირებულებით ;

V – **კონსერვატიზმის პრინციპი** – ეკონომიკური მოვლენა აღირიცხება და ბუღალტრულად ტარდება მხოლოდ მისი შესრულების მომენტში. მაგალითად, ხელშეკრულება დაიდო ორგანიზაციებს შორის მასალების მიწოდებაზე, როგორც წესი გარიგება წინ უსწრებს ხელშეკრულების შესრულებას, ანუ მოლაპარაკება შეიძლება შედგეს მარტში, ხოლო შესრულდეს აპრილში ;

VI – **მატერიალურობის პრინციპი** – უმნიშვნელო მოვლენების უგულებელყოფა და ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის ასახვა ;

VII – **რეალიზაციის პრინციპი** – სამშენებლო კომპანიამ დაასრულა ობიექტი და გადასცა იგი დამკვეთს შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, ამ შემთხვევაში რეალიზაციის პრინციპი დაცულია და ობიექტის რეალიზაცია მოხდა, ხოლო გადახდა შეიძლება მოჰყვეს შედარებით გვიან ;

VIII – **შესაბამისობის პრინციპი** - საბუღალტრო გატარებები უნდა შეესაბამებოდეს შესაბამის მოვლენებს იგივე დროში.

საბუღალტრო აღრიცხვის წაროებს წარმოადგენენ : ხელშეკრულებები, გარიგებები, მიღება-ჩაბარების აქტი, ორგანიზაციის წესდება, ანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო ზედნადები, სალაროს შემოსავლის და გასავლის ორდერები, სალაროს ჩეკი, ხელფასის უწყისები. პირველი ოთხი ჩამოთვლილთაგანი შეიცავს საწყისს მონაცემებს, რომელთა საშუალებით ბუღალტერია აყალიბებს ანგარიშებების წარმოების შიდა ტექნოლოგიას. მაგალითად ორგანიზაცია აწარმოებს მომსახურებას იურიდიული კონსულტაციების სახით. დასაწყისშივე ის ცდილობს ჩამოაყალიბოს თუ როგორ იმოქმდებს მოსალოდნელ რთულ სიტუაციებში და საბუღალტრო სამსახური უნდა გარკვეულ წილად მზად იქნა განსხვავებული სახის ოპრაციების გასატარებლად და საგადასახადო ცვლილებების შესატანად. თუ დასაწყისშივე ორგანიზაცია აყალიბებს სწორ პოლიტიკას და მიმართულებას და კარგად იცნობს ეკონომიკურ გარემოს ყველა საჭირო კანონმდებლობის და სტანდარტების გათვალისწინებით, ორგანიზაციას ექნება აწყობილი და მოწესრიგებული საბუღალტრო სამსახური.

ყველა ზემოთ აღნიშნულ ფორმას აქვთ თავისი დანიშნულება. ხელშეკრულება არის იურიდიული საბუთი, რომელიც წარმოადგენს გარიგების შედეგს რაიმე სამუშაოს შესრულების ან მომსახურების გაწევის შესახებ. როგორც ნათქვამიდან

გამომდინარეობს, ხელშეკრულება შეიძლება იყოს რამდენიმე სახის : 1 – სამუშაოს შესრულება შეიძლება დაეკისროს როგორც ორგანიზაციას ასევე დაქირავებით შემსრულებელსაც (მუშა ან მოსამსახურე, დაცვის მუშაკი, ა.შ.). მომსახურება შეიძლება გულისხმობდეს სხვა კომპანიასთან (ტელეკომუნიკაცია, სარეკლამო სააგენტო რეკლამისათვის, იურიდიული მომსახურების სამსახური იურიდიული კონსულტაციების მისაღებად, დაცვის სამსახურის სააგენტო ორგანიზაციის ქონების დასაცავად, საბუღალტო და აუდიტის მომსახურება) ურთიერთობის გაფორმებას, რომელსაც შეიძლება ქონდეს დროებითი ან პეიროდულად განახლებადი ხასიათი. ხელშეკრულებაში აღინიშნება ხელშეკრულების საგანი თავისი მონაცემებით იქნება ეს ტექნიკური თუ ტექნოლოგიური, ხელშეკრულების პირობები და შესრულების ვადები, ლირებულება, ხელშეკრულების დამდებთა მოვალეობები, შესრულების გარანტიები თუ ხელშეკრულების შესრულება ფერხდება ან არ სრულდება სრულფასოვნად იქმნება ფორს-მაჟორული პირობა. ეს პირობა განიხილება უკიდურეს შემთხვევაში. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შეუსრულებლობის გამო ორგანიზაციას შეიძლება დაეკისროს პროცენტის გადახდა, რომელზედაც წინასწარ თანხმდებიან ხელშეკრულების დამდები ორგანიზაციები. ხელშეკრულებაში ჩაიწერება ორგანიზაციების რეკვიზიტები, ასეთი ხელშეკრულება დასტურდება დირექტორთა ან მათ წარმომადგენელთა ხელმოწერებით. ხელშეკრულება შეიძლება იყოს ასევე დადგბული მუშაკების დაქირავებასთან დაკავშირებით, საიჯარო, სასესხო – ბანკებთან ან იურიდიულ პირებთან და ა.შ.

ხელშეკრულების პირობითი ფორმა ასეთია :

ხელშეკრულება

ქ. თბილისი

„ 20 წ.

*(ხელშეკრულების დამდებ თრგანზაციების ან მათი წარმომადგენლების
მონაცემები)*

1. ხელშეკრულების საგანი
2. გადახდის პირობები/ანგარიშებრუნება
3. საგნის ტექნიკური ან სხვა თვისებები
4. ხელშეკრულების პირობები
5. მხარეთა პასუხისმგებლობა
6. ფორს-მაჟორი
7. დავის გადაწყვეტა
8. სხვა პირობები
9. დანართი (თუ ასეთი საჭიროებს)
10. ორგანიზაციების რეკვიზიტები

წიგნის ბოლოში (გვ.) მოყვანილია შრომითი ხელშეკრულების ნიმუში.

მაგალითად სამშენებლო ორგანიზაცია აწარმოებს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს. ორგანიზაცია სამუშაოების დაწყებამდე დებს ხელშეკრულებას დამკვეთ ორგანიზაციასთან, რომლის მე-2 ჰუნდრედში გადახდის პირობები/ანგარიშებრუნება მითითებულ უნდა იყოს ავანსის ოდენობაც. ავანსის გაანგარიშება ხდება სამუშაოების შემსრულებელი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი სახარჯთაღრიცხვი საბუთების საფუძველზე. ხარჯთაღრიცხვა არის სამუშაოების დირექტულება, რომელსაც ორგანიზაცია აღენს შესასრულებელ სამუშაოებზე

ეტაპის მიხედვით. ავანსი არის თანხა, რომელშიც თავისი მნიშვნელობით შეფავთ მასალების, ხელფასების, საგადასახადო დავალებებისათვის დაუთვალისწინებლი ხარჯები და ზედნადები ხარჯები. თანხა რომელიც აღემატება სამუშაოების დირექტორების და წარმოადგენს მოგებას არ არის ავანსი და მისი გადახდა წარმოებს უფრო ხშირ შემთხვევაში სამუშაოების დასრულების შემდეგ. სამუშაოების დასრულებისას ადგენენ მიღება-ჩაბარების აქტს, სადაც იწერება შესრულებული სამუშაოების მოცულობა მთლიანად თავისი დირექტორებით. ამ საბუთს ხელს აწერენ მაშინ, როდესაც სამუშაო შესრულებულია სათანადო დონეზე, როგორც არის აღნიშნული ხელშეკრულებაში. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის შემდეგ უკვე ორგანიზაცია გამოწერს საბუდალტრო საბუთს. ეს იქნება ანგარიშ-ფაქტურა და სასაქონლო ზედნადები ან მხოლოდ სასაქონლო ზედნადები.

შესრულებული სამუშაოს შედეგად მიღებული თანხა არის შემოსავალი. ბუღალტერიაში საბუთის გაფორმება უკვე ნიშნავს შემოსავლის აღიარებას. შემოსავლის აღიარება ნიშნავს ორგანიზაციის აქტივების ზრდას, რაც გულისხმობს ვალდებულებების შემცირებას. ყოველთვის არაა საიმედო შემოსავალი ამიტომ მისი საიმედო შეფასება შეუძლებელია. შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს ამონაგები წარმოადგენს, რომელიც არის საწარმოში შემოსული ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხა, რომელიც მიიღება საწარმოს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობიდან და გამოიხატება საკუთარი კაპიტალის ზრდით მესაკუთრეთა მხრიდან დამატებითი ინვესტიციების გარეშე (ბასს 18, პუნქტი 7). ამონაგები მიიღება საქონლის გაყიდვიდან, მომსახურების გაწევიდან ან სხვა საქმიანობიდან.

მაგალითი : საწარმო უცხოელ მყიდველს გაუგზვნა 20 000 ლარის საქონელი. საქონლის გაგზავნის დღეს ცნობილი გახდა, რომ მყიდველი სუბიექტის ქვეყნაში აკრძალა თანხების სხვა ქვეყანაში გადაგზვნის ოპერაციები. ამიტომ საეჭვო გახდა ამონაგების მიღების შესაძლებლობა. საწარმო შემოსავალს აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თანხა იქნება მიღებული ან, როდესაც უცხო ქვეყანა მოხსნის დადგენილ შეზღუდვების თანხების გადარიცხვასთან დაკავშირებით.

შპს “გოლიათი” საწარმო ორგანიზაცია			ფორმა №სტ-1 0308001	შპს “გოლიათი” საწარმო ორგანიზაცია ქვითარი		
ბდესკს-ს კოდის მიხედვით						
სალაროს შემოსავლის ორდერი №0001						
დოკუმენტის ნომერი	შედგენის თარიღი	მაკორესპონ- დენტო ანგარიში სუბანგარიში	ანალიზური აღრიცხვის პოდი	თანხა		
17.03.08		6120	300001	12 400		
მიღებულია შპს ’აია’-დან, საფუძვლი მასალის დირექტორი						
თორმეტი ათას ოთხასი ლარი სიტყვიერად 12 400 ლარი 00 თეთრი						
„17“ მარტი 2008 წ.						
მთავარი ბუღალტერი: მიიღო მოღარე:						
მთავარი ბუღალტერი: საფუძვლი მასალის დირექტორი:						

ამიტომ ამონაგების აღიარება დასაშვებია მხოლოდ შემდეგი პირობების დაცვით : თუ საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავ-შირებულ გველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს ; საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც ჩვეულებრივ ასოცირდება საქუთრების უფლებასთან ან არ ანხორციელებს გაყიდულ საქონელზე ფაქტობრივ კონტროლს ; თუ შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა ; თუ მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელ ; თუ შესაძლებელია, რომ მოცემული ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯები განისაზღვროს საიმედოდ (ბასს 18, პუნქტი 14).

ოპერაცია არ ითვლება დასრულებულად თუ შემოსავალი არაა აღიარებული : საწარმო თუ იტოვებს არადამაქმაყოფილებელ მიწოდებასთან დაკავ-შირებულ ვალდებულებას, რომელიც არ იფარება სტანდარტული საგარანტიო ვალდებულებებით ; თუ საწარმოში საქონლის რეალიზაციიდან ამონაგების მიღება დამოკიდებულია მყიდველის ამონაგების წეაროზე, რომელიც მან თავისი საქონლის რეალიზაციის შედეგად უნდა მიიღოს ; თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია გაგზავნილი საქონლის დამონტაჟება და ეს პირობა მნიშვნელოვანი სახელშეკრულებო ვალდებულებაა, რომელიც საწარმოს ჯერ არ შეუსრულებია ; თუ მყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებული

<u>შპს „გოლიათი“</u> საწარმო ორგანიზაცია		<u>ფორმა №სო-1</u> 0308002			
ბდესქს-ს კოდის მიხედვით					
სალაროს გასავლის ორდერი №0001					
<u>№ შ. დ</u>	<u>შედგენის თარიღი</u>	<u>მაკორესა. ანგარიში სუბანგ.</u>	<u>ანალიზური აღრიცხვის კოდი</u>	<u>თანხა</u>	<u>მიზნობრივი დანიშნულე ბის კოდი</u>
1	21.03.2008	1620		7 400	
<p>გაიცეს <u>შპს „მირაჟს“, გივი შაიშმელაშვილზე</u> <u>გვარი ს.მ.ს</u> <u>საფუძველი</u> <u>მასალის დირექტორები</u></p> <p>= <u>შვიდი ათას ოთხასი=</u> <u>ლარი</u> <u>თეთრი</u> <u>სიტყვიერად</u> <u>დანართი:</u> <u>ა/ვ სერია აა-04 № 114548 ს/ზ № 01244</u></p> <p><u>ხელმძღვანელი</u> <u>მთავარი ბუღალტერი:</u></p> <p><u>მიიღო</u> = <u>შვიდი ათას ოთხასი=</u> <u>ლარი</u> <u>თეთრი</u> <u>სიტყვიერად</u> <u>„21“</u> <u>მარტი</u> <u>2008</u> <u>წ.</u> <u>ხელმოწერა</u></p> <p><u>დასახელება, ნომერი, თარიღი და ადგილი დოკუმენტის გაცემის</u></p> <p><u>მიმღების პიროვნების დამადასტურებელი</u></p> <p><u>გასცა მოლარემ</u></p>					

რომელიმე პირობის თანახმად, უარი თქვას საქონლის შეძენაზე და ამდენად საწარმოსათვის გაურკვეველია უპუბების მიღების შესაძლებლობა..

პირველ წყარო - ფორმების მაგალითები და მათი შევსების პრინციპები. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ყიდვა-გაყიდვის ოპერაციის შესრულებაზე მოწმობს სპეციალურიად შედგენილი საბუთები : ანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო-ზედნადები, სალაროს ჩეკი. ფულის შემოსვლა რომ გაკონტროლდეს ვავსებთ შემოსავლის ორდერს.

შპს „გოლიათმა“ გაყიდა მასალა 12 400 ლარის ღირებულების, მყიდველმა ორგანიზაციამ შპს „აია“-მ მასალის მიღებისათანავე გადაიხადა მასალის საფასური. გამყიდველი ორგანიზაცია ავსებს შემოსავლის ორდერს, რომელსაც ორი მხარე აქვს. ორივე მხარე ივსება იდენტურად (ერთნაირად). ორდერის მარჯვენა მხარე უნდა მოიხეს გამოწერის შემდეგ და გადაეცეს მყიდველს. დარჩენილ ნახევარს ვაკრავთ იმ საბუთს რომლის გამოც გამოიწერა შემოსავლის ორდერი და ვინახავთ სხვა საბუდალტრო საბუთებთან ერთად. საბუთის შევსების დროს ორდერს ვანიჭებთ რიგით ნომერს №0001, შემდეგ ოპერაციაზე გამოიწერება შემოსავლის ორდერი № 0002 და ასე შემდეგ. მაკორესპონდენტო ანგარიშის სუბანგარიში არის იმ ანგარიშის ნომერი რომელზედაც მიმდინარეობს ბრუნვა, ანალიზური აღრიცხვის კოდი არის რიგითი ნომერი, რომელიც უფრო შეიძლება ენიჭებოდეს კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით.

თუ შპს „გოლიათმა“ შეიძინა მასალა, მაშინ ის გამოწერს გასავლის ორდერს, სადაც ასევე უნდა იყოს მითითებული რომელი ორგანიზაციიდან მიიღო მასალა, ვინ იყო პასუხისმგებელი პირი ფულის მიწოდებაზე :

როგორც გასავლის ორდერიდან ჩანს მასზე 4 პიროვნება დებს ხელმოწერას : ხელმძღვანელი, მთავარი ბუღალტერი, ფულის მიმღები და მოლარე.

ორივე მოყვანილი საბუთის ნიმუში საკმაოდ ძველია მაგრამ ამჯერადაც გამოიყენება საწარმოების ბუღალტერიაში. თუმცა დროთა განმავლობაში ის განიცდის ცვლილებას. ახლა ორგანიზაციების უმრავლესობა გადასულია ისეთ საბუდალტრო პროგრამებზე როგორიცაა **ორისი, სუპერფინი....** ისინი არსებობენ 1998 წლიდან. მათთან ერთად იქმნებოდა სხვა საბუდალტრო აღრიცხვის პროგრამებიც, მაგრამ მხოლოდ ზემოთ აღნიშნულნი არიან ლეგალიზებული. ამ პროგარამების მომწოდებელი ორგანიზაციები უზრუნველყოფენ მოწოდებული პროგრამების გამართულ მუშაობას, გვთავაზობენ მათ ახალ ვერსიებს და პროგრამულად უზრუნველყოფენ.

საერთაშორისო საბუდალტრო გამოცდილებიდან გამომდინარე ამ ფომის შემოსავლის და გასავლის ორდერები არ არის სავალდებულო. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით დაშვებული არის ადგილობრივი მოთხოვნების გათვალისწინება. მაგრამ ვინაიდან ეს ფორმები არის გაყიდვაში საკანცელარიო მაღაზიებში და ხელმისაწვდომია ისინი ძალაში არიან. ნებისმიერი ცვლილების შეტანა მოითხოვს გარკვეულ დროს, ახალი ფორმების შედგენა და დამკვიდრება ასევე დაკვშირებულია იმაზე თუ რამდენად არის მომარაგებული ორგანიზაცია ბუღალტრული პროგრამებით, რომლებიც შეიცავენ ყველა საჭირო ფორმის ელექტრონულ ვერსიას. საბუდალტრო აღრიცხვის ელექტრონულ ვერსიებში ეს ფორმები უკვე არის შეტანილი. მაგრამ ძალიან მცირეა იმ ორგანიზაციების რაოდენობა, რომლებიც ფლობენ ამ პროგრამებს. ელექტრონულ ვერსიასთან შედარებით ეს ფორმები დიდად არ გამოირჩევიან, ყველა ფორმა უნდა შეესაბამებოდეს შესრულებულ პერაციას.

შემოსავლის და გასავლის ორდერები შეაქვთ მემორიალურ თრდერში :

ეს პროგრამები აადვილებს ამ საბუთების შევსებას. მონაცემების შევსების დროს მონაცემთა ბაზაში პროგრამის მეშვეობით ეს საბუთები იგსება ავტომატურად. ენუ ეგრედ წოდებული შავი სამუშაო სრულდება ნაკლები დროის დანახარჯით.

ბანკი ისევე როგორც სხვა ტიპის ორგანიზაცია ასევე გამოწერს შემოსავლის საბუთს, რომელიც ზემოთ არის მოყვანილი. ამ სახის საბუთს უწოდებენ ავიზოს. ის იყენება ბანკში ფულის შესვლის დროს. დავუშვათ თქვენ შეგაქვთ ფული თქვენ საბანკო ანგარიშზე. ზემოთ მოყვანილი მონაცემები არის წარმოდგენილი მაგალითისათვის სანიმუშოდ. ავიზოს აგსებენ მაშინ, როდესაც ბანკის მეშვეობით ვრიცხავთ ფულს სხვა ორგანიზაციის ანგარიშზე, საგადასახადო დავალებით შეგვაქვს ჩვენი ორგანიზაციის ანგარიშზე, ვრიცხავთ შემოწირულობას და ასე შემდეგ.

გვ. 276

მემორიალური ორდერი №

მინაწერი _____ თვეში 200 ____ წ.

_____ 200 _____

დანართი

მთავარი ბუღალტერი უფროსი

თუ საბუღალტრო საბუთები ივსება ხელით, მაშინ ყოველთვის აქვს ადგილი მექანიკური შეცდომის დაშვებას. ამ დროს გამოიყენება შეცდომების გასწორების ხერხები.

შეცდომა ბუდალტერიაში შეიძლება გასწორდეს :

- 1) **კორექტორული ხერხით** – შეცდომა, რომელიც აღმოჩნდა მისი დაშვების თანავე, მიიჩნევა ადგილობრივ შეცდომად და იგი უნდა გასწორდეს კორექტორული ხერხით, რომლის დროსაც შეცდომა დაწერილ რიცხვს ან სიტყვას დაესმევა ერთი ხაზი (უნდა ეტყობოდეს რას გაესვა ხაზი), თავზე ან თავისუფალ ადგილას გაუკეთდება წარწერა, რომ ესა და ეს შეცდომა გასწორდა ასეთნაირად და ხელს მოაწერს პასუხისმგებელი პირი.
 - 2) „**სტორნო“ წესით** – თუ შეცდომის დაშვებისას არ მოხერხდა მისი აღმოჩენა და გაჰყევა რამდენიმე დოკუმენტს, იგი იწოდება საერთო შეცდომად და უნდა გასწორდეს ე.წ. „**სტორნო“ წესით** („**storno**“ იტალიური ტერმინია და ნიშნავს შეცდომის გასასწორებლად შედგენილ ბუდალგრულ მუხლს).

საგადასახადო დავალება № 1		თანხა
2008 წლის 07 თებერვალი		
გადამხდელის დასახელება	შპს „გოლიათი“	
	ანგარიში (დებეტი)	30563035
გადამხდელის ბანკი	ბანკის კოდი	
გადასახადის გადამხდელის დასახელება	შპს „გოლიათი“	თანხა სიტყვებით
გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდი	204444456	ათი ათას ოცი ლარი
ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდი	100103204	
მიმღების დასახელება	ანგარიშის შესაგვებად	
	ანგარიში (კრედიტი)	30563035
მიმღების ბანკი	ბანკის კოდი	220101502
გადახდის დანიშნულება:		
დამატებითი ინფორმაცია:		
	ბანკის აღნიშვნები	
	ბანკში შემოსვლის	
	თარიღი	1 03 08
	გატარებულის ბანკის	
	მიერ:	
	სელმოწერა	
	შტამპის ადგილი	

„სტორნოს“ ხერხით შეცდომის გასწორებისას იყენებენ წითელ მელანს (პასტას), შეცდომით ჩაწერილ რიცხვს კვლავ გაიმეორებენ, მაგრამ წითელი პასტით, ან ჩაისმება ჩარჩოში, ამით შეცდომა ამოიწვება, შემდეგ უნდა ჩაიწეროს სწორი რიცხვი.

ბუღალტრულ რეგისტრებში წითელი პასტით ჩაწერილი რიცხვი მიიჩნევა უარყოფით რიცხვად.

მაგალითად შეძენილია 1200 ლარის ნედლეული და მასალები ნაღდი ფულით, რაზედაც გვექნება ბუღალტრული გატარება

დ 1620 კ 1110 – 1200 ლარი

ვთქვათ, შემდეგ გამოირკვა, რომ შეძენილია არა ნედლეული და მასალები, არამედ 1200 ლარის საქონელი. შეცდომის გასასწორებლად ჩაიწერება იგივე ბუღალტრული გატარება, მაგრამ თანხა 1200 ლარი ჩაიწერება წითელი პასტით ან ჩაისმება ჩარჩოში

დ 1620 კ 1110 – 1200 ლარი

შეცდომის ასეთნაირად გასწორების შემდეგ ჩაიწერება სწორი ბუღალტრული მუხლი

დ 1620 კ 1110 – 1200 ლარი

მაგ.: ვთქვათ შეცდომაა დაშვებული რიცხვის ჩაწერაში. 1200 ლარის ნაცვლად, ვთქვათ, დაიწერა 1250 ლარი, ასეთ შემთხვევაში ზედმეტად ჩაწერილი 50 ლარი უნდა ჩაიწეროს წითელი მელნით

დ 1620 კ 1110 – 1250 ლარი

დ 1620 კ 1110 – 50 ლარი

3) თუ ჩაწერილი თანხა საჭიროზე ნაკლებია, ვთქვათ, 1200 ლარის ნაცვლად წერია 1100 ლარი, მაშინ 100 ლარზე შედგება დამატებითი ბუღალტრული მუხლი ჩვეულებრივი მელნით

დ 1620 კ 1110 – 1100 ლარი

დ 1620 კ 1110 – 100 ლარი

გაყიდვები და დაკვეთები შესყიდვებზე და მათი ანგარიშები. გაყიდვა და დაკვეთა განსხვავდებიან ერთიმეორისაგან. გაყიდვა გულისხმობს უკვე შესრულებულ ოპერაციას. ჩვენ ვიყენებთ სიტყვა თპერაციას ეკონომიკური მოვლენის აღსანიშნავად იქნება ეს გიდვა-გაყიდვა, შეძენა, დარიცხვა თუ სხვა.

ორგანიზაცია აწარმოებს ნახევარფაბრიკატებს და რეალიზაციას უწევს მათ. თავის ნაწარმზე მან მიიღო დაკვეთა. მაგრამ ქონდა ნაწარმოები გაცილებით მეტი. ამიტომ გადაწყვიტა თავად შეეთავაზებინა თავისი პროდუქცია და ისე ეპოვა რეალიზაციის საშუალება. ის ქირაობს სატვირთო მანქანას, იყვანს მძღოლს და აგზავნის მას სხვადასხვა ორგანიზაციებში, სადაც შეიძლება იყონ დაინტერესებული პირები. ამ დროს ის ყიდის თავის ნაწარმს. დაგუშვათ, რომ ორგანიზაციამ პროდუქციის რეალიზაცია აწარმოვა ნაღდ ანგარიშზე, რის შედეგად მიიღო 6 400 ლარი :

დებეტი – 1110, ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში – 6 400

კრედიტი – 6110 შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან – 6 400

ეს გატარება არ არის სრული. ორგანიზაცია ვალდებულია რეალიზაციიდან მიღებული თანხა დაბეგროს.

კრედიტი და სადებეტო შენიშვნები. შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვაში სადებეტო და საკრედიტო გატარებები განსხვავებული სახისაა :

დებეტის მხარე	კრედიტის მხარე
აქტივები	ვალდებულებები
ხარჯები	შემოსულობები
დანაკარგები	მოგება

გამოდის რომ შინაარსის მიხედვით დებეტი წარმოადგენს ხარჯებს, კრედიტი კი – შემოსავალს. ზემოთ მოყვანილ მაგალითებშიც ასეთივე სურათს ვღებულობთ. კრედიტში აისახება ფულის შემოსვლის წყარო, დებეტში კი – რაზე იხარჯება ეს ფული, ან რაზე უნდა დაიხარჯოს.

საბუღალტრო წიგნი არის შემოსავლების და გასავლების ჟურნალი, რომელიც შეიძლება გამოიყენებოდეს სხვა დასხვა სახის ანგარიშებისათვის. კომპიუტერული პროგრამების დახმარებით ეს პროცესი გაიოლებულია. ხელით წარმოების შემთხვევაში იხსნება სპეციალური ჟურნალები მაგალითად მხოლოდ შემოსავლების აღსარიცხვად, ან საღაროს გასავლებისათვის. გარდა ამისა კეთდება ძირითადი ჟურნალი, რომელშიდაც შედის ყველა სხვა დანარჩენი ანგარიში. თუმცა შესაძლებებლით საერთოდ ყველა ანგარიში გატარდეს ერთ ძირითად ჟურნალში, რომლის ფორმა შეიძლება იყოს შემდეგი :

თარიღი	ანგარიშის დასახელება	დებეტი	კრედიტი
1.01.2008	სალარო	4 000	
1.01.2008	რეალიზაცია		4 000
5.01.2008	სალარო		1 200
5.01.2008	მასალის შესყიდვა	1 200	
5.01.2008	სალარო		800
5.01.2008	დიგიდენდის გაცემა	800	

საბუღალტრო ჩანაწერი გულისხმობს ჩანაწერების დაწყობას გარკვეული თანამიმდევრობით. საბუღალტრო ჩანაწერები, შეტანილი სათანადო ჟურნალში წარმოადგენს გარკვეული სახის არქივს, ანუ სამახსოვროს. პროცესი შეიძლება გამოისახოს შემდეგი სქემით :

ოპერაცია → ჟურნალი → მთავარი წიგნი → საფინანსო ანგარიშება

ჟურნალი აფიქსირებს ერთგვაროვან ოპერაციებს ყოველდღიურად. ის წარმოადგენს საქმიანი ოპერაციების საწყისი ინფორმაციის მარაგს, რომელიც მომდევნოდ გამოიყენება მთავარი წიგნში ჩანაწერებისათვის.

ყველა ოპერაცია მოქმედებს ანგარიშების წონასწორობაზე. შეიძლება საქმიანი ოპერაცია პირდაპირ ჩაიწეროს ბალანსში. ამისათვის მოგვიწევს ყველა ოპერაციის ჩაწერა სათანადო ანგარიშებზე მათი მოხდენის თანავე. აუცილებელი იქნება ამ ანგარიშებზე დაჯამება. და ეს უნდა ვაწარმოოთ იმდენჯერ, რამდენ ახალ ოპერაციას ექნება ადგილი. მაშინ რთული იქნება იმის გარკვევა, თუ რა ოპერაციები ჩატარდა, როდის და რატომ. ამიტომ ყოველი ეკონომიკურ-ფინანსური მოვლენა ჩანაწერების სახით გაივლის გარკვეულ გზას, რომელიც ზემოთ იყო წარმოდგენილი.

ჟურნალში ყველა ოპერაცია ჩაიწერება სადებეტო და საკრედიტო ანგარიშზე. მაგალითად საღაროს ბრუნვები ჩაიწერება მხოლოდ საღაროს ანგარიშზე და იმ გვერდზე ადარ ჩაიწერება სხვა ანგარიშებზე თანხის მოძრაობა. ოპერაციების ასეთი დახმარისება აიოლებს ბალანსის შედგენას, რაც შეიძლება ამ შემთხვევაში წარმოებულ იქნას დროის უფრო დიდი ინტერვალებით. ამ ჟურნალებში მოთავსებული ინფორმაცია წარმოადგენს მთავარი წიგნის ინფორმაციულ წყაროს.

მთავარ წიგნში ჩანაწერების წარმოების ძირითად პროცესის წარმოადგენს ოპერაციების განთავსება მარცხენა და მარჯვენა მხარეებს – დებეტში თუ კრედიტში.

მთავარი წიგნი წარმოადგენს გატარებების სამ ძირითად სვეტს : დებეტი – კრედიტი – ბალანსი.

მაგალითად კომპანიაში შპს „გოლიათი“ დამფუძნებელმა ჩადო 10 000 ლარი. ვაწარმოოთ გატარება :

სალარო	
დ საწესდებო კაპიტალი 10 000	გ

საწესდებო კაპიტალი	
დ	
	სალარო 10 000

შევისყიდეთ მსუბუქი ავტომობილი 4 500 ლარად :

სალარო	
დ საწესდებო კაპიტალი 10 000	გ მანაქანა-მოწყობილბა 4 500

მანაქანა-მოწყობილბა	
დ სალარო 4 500	გ

გაყიდეთ მსუბუქი ავტომობილი 5 200 ლარად :

სალარო	
დ საწესდებო კაპიტალი 10 000	გ მანაქანა-მოწყობილბა 4 500
გაყიდვა 5 200	საწესდებო კაპიტალი

ასეთი თანამიმდევრობით ჩანაწერების წარმოება არ გულისხმობს მოგების იდენტიფიცირებას (ჩვენებას) ყოველი ეკონომიკური და ფინანსური მოვლენის შემდეგ. მოგება/ზარალის გამოყვანას ვაწარმოებთ პერიოდის ბოლოს. შემოსავალი ყოველთვის წარმოადგენს საკრედიტო ჩანაწერს. ანგარიშების ასეთი განაწილების შემთხვევაში შეუძლებელია მოგება/ზარალის გამოყვანა.

განსაკუთრებულს ანგარიშს წარმოადგენენ საოპერაციო შემოსავლები და გასაგლები.

6000 – საოპერაციო შემოსავლები – მოცემული სინოეზური ანგარიში განკუთვნილია სამეწარმო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების აღსარიცხავად, იგი გამოიყენება მზა პროდუქციისა და საქონლის გაყიდვიდან, სამუშაოს შესრულებიდან და მომსახურეობის გაწევიდან მიღებული შემოსავლების აღსარიცხავად.

მოცემულ სინოეზურ ანგარიშს ეხსნება შემდეგი ანგარიშები:

6110 – შემოსავალი რეალიზაციიდან

6120 – გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა

6190 – სხვა საოპერაციო შემოსავლები

6110 – შემოსავალი რეალიზაციიდან. ეს ანგარიში გამოიყენება საქონლის რეალიზაციიდან, სამუშაოს შესრულებიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლების აღსარიცხავად.

მაგალითად: 1) რეალიზებულია ნაღდ ანგარიშზე 5200 ლარად საქონელი, ამ ოპერაციაზე გატარდება ბუდალტრული მუხლი

დ 1410 კ 6110 – 5200,26 ლარი,

დ 6110 კ 3330/2 – 793,26 ლარი.

დარიცხვის მეთოდის თანახმად, შემოსავლები მიღებულად განიხილება მყიდველისათვის საკუთრების უფლების გადაცემის მომენტიდან ანუ საოპერაციო შემოსავლად ხდება იმ თანხის აღიარება, რომელიც შესაძლებელი არც იყოს მიღებული სალაროში, რომელიც ჯერ კიდევ დებიტორულ დავალიანებად ითვლება.

მოცემული ანგარიში დროებითი ხასიათის ანგარიშიდან და წლის ბოლოს იხურება ბრუნვის მოგებისა და ზარალის ანგარიშზე გადატანით შემდეგი ბუღალტრული გატარებით:

დ 6100 კ 5330.

6190 – სხვა საოპერაციო შემოსავლები. ამ ანგარიშზე აისახება ის საოპერაციო შემოსავლები, რომლებიც არ არის განხილული ზემოთ მოცემულ ანგარიშებში.

7100 – რეალიზებული პროდუქციის თვითდირებულება (პროდუქციის მწარმოებელ და მომსახურების სფეროს საწარმოებისათვის). აღნიშნული სინოუზური ანგარიში განკუთვნილია წლის განმავლობაში რეალიზებული პროდუქციის თვითდირებულების ოდენობის დასადგენად. ეს ანგარიში გამოიყენება პროდუქციის მწარმოებელ და მომსახურების სფეროს საწარმოებისათვის.

არსებობს ხარჯების აღრიცხვის ორი მეთოდი:

1) ფუნქციური დანიშნულების მიხედვით, რომელიც გულისხმობს ხარჯების დაჯგუფებას ბუღალტრულ ანგარიშებში, წარმოების პროცესში მათ მიერ შესრულებული ფუნქციების მიხედვით, წარმოების სახეების მიხედვით (მაგალითად: ძირითადი, სავაჭრო, მიწოდების, საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები).

2) ეკონომიკური შინაარსის მიხედვით, რომელიც გულისხმობს ხარჯის დაჯგუფებას ბუღალტრულ ანგარიშებში ეკონომიკურად ერთგვაროვანი დანახარჯების ელემენტების (ძირითადი მასალები, პირდაპირი ხელფასი და სხვა) მიხედვით.

ეკონომიკური შინაარსის მიხედვით მოცემულ სინოუზურ ანგარიშს ეხსნება შემდეგი ანგარიშები:

7110 – ძირითადი მასალების დანახარჯები/შეძენა

7120 – პირდაპირი ხელფასი

7130 – სოციალური დანარიცხები პირდაპირ ხელფასზე

7140 – სამხმარე მასალების დანახარჯები/შეძენა

7150 – არაპირდაპირი ხელფასი

7160 – ცვეთა და ამორტიზაცია

7180 – რემონტის დანახარჯები

7185 – სასაქონლო-მატერიალური მარაგის კორექტირება

7190 – სხვა საოპერაციო ხარჯები

ჩამოთვლილ ანგარიშებში, გარდა 7185 – ანგარიშისა, აღირიცხება წარმოების (მომსახურების) ძირითადი ხარჯები, ხოლო ანგარიში 7185 – „სასაქონლო-მატერიალური მარაგის კორექტირება“ ატარებს მაკონტროლებული ანგარიშის ფუნქციას წლის ბოლო აზუსტებს რეალიზებული პროდუქციის თვითდირებულებას. კერძოდ, მარაგის პერიოდული აღრიცხვის მეთოდის გამოყენებისას, წლის ბოლოს აზუსტებს რეალიზებული პროდუქციის თვითდირებულებას, კერძოდ მარაგის პერიოდული აღრიცხვის მეთოდის გამოყენებისას, წლის ბოლოს ინვენტარიზაციით დგინდება მზა პროდუქციის ნაშთი, ზრდა ან შემცირება წლის დასაწყისისათვის არსებულთან შედარებით. იმ შემთხვევაში, თუ პრდუქციის ნაშთი გაიზარდა, მაშინ გატარდება ბუღალტრული მუხლი:

დ 1600 კ 7185,

ხოლო ნაშთის შემცირებისას კი გატარდება ბუღალტრული მუხლი

დ 7185 კ 1600.

მაგალითად: წარმოება იყენებს პერიოდული აღრიცხვის მეთოდს, საქონლის ნაშთი პერიოდის დასაწყისში შეადგენდა 7000 ლარს. პერიოდის ბოლოს ინგენტარიზაციით დადგინდა ნაშთი 4300 ლარი. ამ ოპერაციაზე გატარდება ბუღალტრული მუხლი

დ 7185 კ 1610 – 2700 (7000 – 4300).

პროდუქციის თვითღირებულების ფორმირებისათვის განკუთვნილია ნაგარიში 1630 „დაუმთავრებელი წარმოება“. პროდუქციის წარმოებაზე გაწეული ხარჯები აისახება ამ ანგარიშის დებეტში, ხოლო წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება აისახება მის კრედიტში.

მაგალითად: 1) შეძენილია 12000 ლარის ნედლეული და მასალები ნაღდი ფულით საღაროდან

დ 1620 კ 1110 – 10169,5 ლარი | 12000 ლარი
დ 3340/1 კ 1110 – 1830,5 ლარი

2) მზა პროდუქციის დასამზადებლად დაიხარჯა:

ა) 2000 ლარის ნედლეული და მასალები

დ 7110 კ 1620 – 4300 ლარი,

დ 1630 კ 7100 – 4300 ლარი.

ბ) დამხმარე მასალები 350 ლარის

დ 7140 კ 1621 – 350 ლარი,

დ 1630 კ 7140 – 350 ლარი.

გ) დარიცხულია ხელფასი 1200 ლარი ძირითად პერსონალიზე

დ 7120 კ 3130 – 1200 ლარი,

დ 1630 კ 7120 – 1200 ლარი.

დ) მანქანა-მოწყობილობის რემონტის ხარჯმა შეადგინა 600 ლარი

დ 7180 კ 1110 – 600 ლარი,

დ 1630 კ 7180 – 600 ლარი.

ე) ელექტროენერგიის ხარჯმა შეაგინა 350 ლარი

დ 7190 კ 1110 – 350 ლარი,

დ 1630 კ 7190 – 350 ლარი.

ვ) დარიცხულია საწარმოს მოწყობილობის ცვეთა 260 ლარი

დ 7170 კ 2250 – 260 ლარი,

დ 1630 კ 7170 – 260 ლარი.

3. წარმოებიდან მიღებულია 2400 ლარის მზა პროდუქცია თვითღირებულებით

დ 1640 კ 1630 – 2400 ლარი.

4. რეალიზებულია პროდუქცია 1800 ლარის თვითღირებულების 3200 ლარად ნაღდი ფულით

დ 1110 კ 6110 – 3200 ლარი,

დ 6110 კ 3330/1 – 488,14 ლარი.

5. ჩამოიწერა რეალიზებული მზა პროდუქცია ფაქტიური თვითღირებულებით 1000 ლარით

დ 7100 კ 1640 – 1000 ლარი.

7120 – პირდაპირი ხელფასი – პირდაპირი ხელფასის დარიცხვა საწარმოს მუშაკებზე, რომელთა შორის ანაზღაურება შედის პროდუქციის თვითღირებულებაში, ხდება ბუღალტრული გატარებით:

დ 7120 კ 3130.

მაგალითად: დარიცხულია ხელფასი 1200 ლარი ძირითად პერსონალიზე

დ 7120 კ 3130 – 1200 ლარი.

საწარმო ხელფასზე არიცხავს საშემოსავლო გადასახადს, რომელიც დღეს შეადგენს ხელფასის 25%-ს.

ანგარიში 3320 – გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი – საგადასახადო კოდექსის თანახმად, საშემოსავლო გადასახადის დაბეგვრის ობიექტია ერთობლივი შემოსავალი, მათ შორის ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი და ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავალი, რომლებიც არ არის დაკავშირებული დაქირავებულ მუშაობასთან.

საშემოსავლო გადასახადის დაკავება ხელფასიდან, გაცემული პროცენტებიდან, დივიდენდებიდან და სხვა შემოსავლებიდან ხდება გადახდის წყაროებთან დადგენილი განაკვეთის მიხედვით, დაკავებული თანხების ბიუჯეტისათვის გადარიცხვა წარმოებს ფიზიკური პირებისათვის ხელფასის გაცემისას.

საშემოსავლო გადასახადის დაკავებით ბიუჯეტის წინაშე ვალდებულების წარმოშობა აისახება ბუღალტრული გატარებით

დ 3130 კ 3320

ხოლო ბიუჯეტისათვის საშემოსავლო გადასახადის გადარიცხვა:

დ 3320 კ 1210

ანგარიში 3370 – სოციალური გადასახადი – წარმოადგენს სოციალური ფონდების აუცილებელ შენატანს, რომელსაც გადასახადის გადამხდელი იხდიდა დადგენილი განაკვეთის მიხედვით. სოციალური გადასახადის გადახდა წარმოებდა 2008 წლამდე.

IV. საცდელი ბალანსი

ამ თავში განვიხილავთ შემდეგ საკითხებს :

საცდელი ბალანსის ბუნება და მიზანი

საცდელი ბალანსის აღმოუჩენელი შეცდომების კომპენსაცია.

ფასდაკლება.

ინვენტარი და საფინანსო ანგარიშების მომზადება.

ინვენტარული შეფასების მიახლოება და დახურვა.

ექსპანსის ღირებულება.

შესყიდვების ღირებულება.

მასალების ღირებულება.

საქონლის შესყიდვები.

ფრახტი.

გარდამნების ღირებულება – საწარმოს პირდაპირი და ზედნადები ხარჯები.

ღირებულების დადგენის მეთოდები. – ერთეულის ღირებულება.

ფიფო, ლიფო, ფიფოს და ლიფოს დაპირისპირება.

საცდელი ბალანსის ბუნება და მიზანი. ბალანსის შედგენის დროს ყველა ხარჯი უნდა იყოს ცალკე გამოყოფილი და კლასიფიცირებული. ხარჯების

ქლასიფიცირება დამოკიდებულია საქმიანობის სპეციფიკაზე. ბალანსში აისახება საწარმოს მდგომარეობა მოცემული პერიოდისათვის, წლის დასაწყისში და წლის ბოლოს. ამიტომ საბოლოო სახით ბალანსის წარდგენის წინ ადგენენ საცდელ ბალანსს. წლიური ბალანსი, როგორც ასეთი, წარედგინება საგადასახადო წლის მეორე წელს. ხოლო საცდელი ბალანსი მზადდება გაცილებით ხშირად, საჭიროების და მიხედვით, შესაძლებელია შევადგინოთ ყოველთვიურად. საცდელი ბალანსი ასრულებს ყველა ანგარიშების და სალაროს თავდავთარს და ის არ წარმოადგენს ორმაგი ჩანაწერის ნაწილს.

თუ ორმაგი ჩაწერის დროს ვამზადებთ ყველა ოპერაციის ჩაწერას დაწვრილებით და თანამიმდევრულად, მაშინ საცდელი ბალანსის მიზანია გვაჩვენოს თუ რამდენად იმყოფება წონასწორობაში ყველა სადებეტო და საკრედიტო გატარება, ვინაიდან ყოველ საკრედიტო გატარებასთან ერთად წარმოებს დებეტში ჩანაწერი.

საცდელი ბალანსის აღმოუჩენელი შეცდომების კომპენსაცია. საცდელი ბალანსის შედგენის წინ ვაკეთებთ ყველა გატარების დაჯამებას დებეტში და კრედიტში, ამ პროცესს ეწოდება სამახსოვრო ჩანაწერი. ჩანაწერებს ვაწარმოებთ ვერტიკალურად, რათა მოხერხებული იყოს ჯამის გამოსაყვანად. ვადგენო მაქსიმალურ თანხას დაგწერთ მას. ორივე სვეტის ჯამს ჩავწერთ ერთმანეთის გასწვრივ და ხაზგასმით მოვნიშნავთ.

გვაქვს შემდეგი მონაცემები, რომლებიც უკვე მოვათავსეთ სვეტში :

სალაროს ანგარიშზე			
(1) კაპიტალი	1 000	(2) მანქანა	400
(4) შემოსავალი გაყიდვებიდან	300	(3) შესყიდვები	200
(8) დებიტორული დავალიანება	100	(7) კრედიტორული დავალიანება	200
(11) სესხი	600	(9) ამონაგები	75
		(10) იჯარა	40
		(12) დაზღვევა	30

ჯამი 2000 ლარი

ჯამი 945 ლარი

არითმეტიკული ჯამი გამოყვანილია.

შემდეგ ეტაპზე ვადგენო სხვაობას ამ ორ ჯამს შორის :

$$2000 - 945 = 1055 \text{ (ლარი)}$$

ეს თანხა ნიშნავს რომ ფული ხელზე დარჩენილი დაკვირვების პერიოდის ბოლოსათვის. ამიტომ მომდევნო პერიოდის დასაწყისში ეს თანხა ასევე ფიქსირდება როგორც ხელზე დარჩენილი.

ამიტომ იგივე ცხრილში შეგვაქს შესწორება :

სალაროს ანგარიშზე			
(1) კაპიტალი	1 000	(2) მანქანა	400
(4) შემოსავალი გაყიდვებიდან	300	(3) შესყიდვები	200
(8) დებიტორული დავალიანება	100	(7) კრედიტორული დავალიანება	200
(11) სესხი	600	(9) ამონაგები	75
		(10) იჯარა	40
		(12) დაზღვევა	30
		საბალანსო შესწორება	1055

ჯამი 2000 ლარი

ჯამი 2000 ლარი

ამიტომ ამ მონაცემებზე აგებული ბალანსი მიიღებს შემდეგ სახეს :

ანგარიში	დებეტი ლარი	კრედიტი ლარი
კაპიტალი		1000
სალარო	1055	
მანქანა	400	
შესყიდვები	600	
შემოსავალი გაყიდვებიდან		550
კრედიტორული დავალიანება		200
დებიტორული დავალიანება	150	
ამონაგები	75	
იჯარა	40	
სესხი		600
დაზღვევა	<u>30</u>	<u>2350</u>
		<u>2350</u> .

საცდელი ბალანსით აღმოუჩენელი შეცდომების კომპენსაცია. დაბალანსებული ანგარიში ჯერ არ ნიშნავს ბალანსის კორექტულობას, სისწორეს, მასში შეიძლება დაშვებული იყოს გარკვეული შეცდომები, რომელიც პირველი შეხედვით გამოვლენილი არ იყო. ასეთი შეცდომების დაშვების რამდენიმე მიზეზი არსებობს :

1. დაუდევრობით გამოწვეული შეცდომები, გარკვეული ოპერაციები არ იყო გატარებული საერთოდ ;
2. საკომისოს შეცდომები, როდესაც ოპერაცია იყო გათვალისწინებული მავრამ გატარდა არასწორ ანგარიშზე. ერთი ბუღალტრის მიერ იყო რეალიზაციასთან დაკავშირებული ჩანაწერი შეტანილი სადებუტო ანგარიშზე, შემდეგ მას შეენაცვლა მეორე ბუღალტერი, რომელმაც ეს ანგარიში შეიტანა საკრედიტო ანგარიშზე. ასეთი ბალანსი არ არის გაწონასწორებული, და საკრედიტო ანგარიშზე გამოჩნდება ზედმეტობა ;
3. პრინციპულობით გამოწვეული შეცდომები, ეს მაშინ ხდება, როდესაც ბუღალტერი არასწორად მიაკუთხნებს მომხდარ მოვლენას დანახარჯების ჯგუფს, მაგალითად რეალიზებული საოფისე ინვენტარი – ავეჯი მიაკუთხნეს რეალიზებულ საქონელს ;
4. ჩანაწერში არასწორად შეტანილი ან შეცდომით წაკითხული რიცხვი შემდეგ არასწორად იყო შეტანილი საერთო ჩანაწერებში. მაგალითად **10.00** ლარის მაგივრად შეტანილი იყო **100** ლარი, ბალანსის ორივე მხარეს დაფიქსირდა 100 ლარი, და ბალანსის წონასწორობა არ დარღვეულა. საბუღალტო პრაქტიკაში ასეთი შეცდომები ხშირია, ანგარიშთა წიგნში თავიდანვე არასწორად არის შეტანილი თანხა მოწოდებული საბუთიდან ;
5. კომპენსაციის (ანაზღაურების) შეცდომები, ეს შედარებით იშვიათი ტიპის შეცდომაა. არის შემთხვევები, როდესაც არის ან რამდენიმე სხვადასხვა შეცდომა კრედიტის და დებეტის მხარეს აწონასწორებებს ერთიმეორებს და მათი აღმოჩენა საკმაოდ რთული პროცესია.

საცდელი ბალანსი წარმოადგენს ერთგვარ გატარებული ჩანაწერების სამახსოვრო დავთარს. ეს არის ორმაგი ჩანაწერის ნაწილი, და ზემოთ მოყვანილ

მაგალითში მიღებული სხვაობა 1055 ლარის ოდენობით არ იყო მხოლოდ გამოყენებული ბალანსის გასაწონასწორებლად, ის მხოლოდ აჯამებს საკრედიტო და სადებეტო ანგარიშებზე წარმოებულ ოპერაციებს, შესრულებულ მოცემულ პერიოდში.

ხშირადაა, რომ შეცდომების გამოაშკარავება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული დროის გავლის შემდეგ, რამდენიმე პერიოდის ან წლის შემდეგ. ასეთი შეცდომების გასწორება მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგების ან ზარალის გაანგარიშებაში არის შესაძლებელი. გამოყოფენ არსებით შეცდომებს : დაუმთავრებელი წარმოების მნიშვნელოვანი თანხების ასახვა წინა პარიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში და განუხორციელებელი ყალბი კონ-ტრაქტებიდან მისაღები მოთხოვნები წარმოადგენს ასეთი შეცდომის მაგალითს. ასეთი შეცდომების გასწორება შესაძლებელია მხოლოდ ძველი ინფორმაციის ახლებურად განხილვით ან რაიმე დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენით. აღნიშნავენ შეცდომების გასწორების ორ ძირითად მეთოდს : **საბაზისო მეთოდს და ნებადართულ ალტერნატიულ მეთოდს.** პირველი მათგანი გულისხმობს წინა წლების გაუნაწილებელი მოგების საწყის ნაშთში კორექტირების შეტანას. იცვლება შესადარისი ინფორმაცია, თუ ეს შესაძლებელია. ასეთივე შესწორებას ექვემდებარება სხვა ანგარიშებზე დაშვებული შეცდომები, ანუ შესწორება შეგვაქვს წინა წლების საწყის ნაშთებში. ამის შემდეგ წარადგენენ ახსნა-განმარტებებს შენიშვნებში : არსებითი შეცდომების ხასიათს, მიმდინარე და წინა საანგარიშგებო პერიოდების კორექტირების თანხებს, რომლებიც წინ უსწრებს შესადარი ინფორმაციის ამსახველ პერიოდს, ის ფაქტი, რომ შესადარი ინფორმაცია შეიცვალა, ან რომ ეს პრაქტიკულად შეუძლებელია.

მეორე მეთოდის გამოყენების დროს შეცდომების გასწორება მიმდინარეობს საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგების ან ზარალის ფორმულირებაში. ასეთი სახის შესწორებებს აწარმოებენ ისეთ ქვეყნებში, სადაც მიღებულია ერთ საფინანსო ანგარიშგებაში რამდენიმე წლის ფინანსური ანგარიშის წარმოდგენა. ამ შემთხვევაში საწარმო წარადგენს შემდეგ ახსნა-განმარტებებს და სახავს შენიშვნებში შემდეგ ინფორმაციას : არსებითი შეცდომების ხასიათს, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება ან ზარალი შესწორების თანხა, ყველა საანგარიშგებო პერიოდის შესწორების თანხა, რომელიც წარმოდგენილი იყო დამატებით ფორმაში. აგრეთვე იმ შესწორების თანხა, რომელიც უფრო ადრე გაქორდა, ვიდრე აისახებოდა დამატებით ფორმაში. თუ დამატებითი ფორმის წარმოდგენა შეუძლებელია, უნდა დაფიქსირდეს ეს ფაქტი.

ფახდაკლება. საქონლის კრედიტით რეალიზაციისას სახელშეკრულებო პირობები შეიძლება ითვალისწინებდეს მყიდველისათვის წახალისებას ვადამდელი გადახდისათვის, მაგალითად, ფასდათმობას იგივე ფასდაკლებას დათქმულ ვადაზე ადრე გადახდისათვის, ასევე დასაშვებია გაყიდული საქონლის უკანდაბრუნება სხვადასხვა მიზეზით. ასეთი ოპერაციების აღრიცხვა ხდება ანგარიშზე **6120** „გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა“.

მაგალითად: რეალიზებულია 1200 ლარად საქონელი ნაღდი ფულით

დ 1110 კ 6110 1200 ლარი

დ 6110 კ 3330/1 200 ლარი

ვთქვათ უხარისხობის გამო მყიდველისაგან დაბრუნებულია 300 ლარის საქონელი, ფული გაცემულია სალაროდან. ეს გამოიწვევს დღგ-ს საგადასახადო ვალდებულების კორექტირებას 50 ლარით და გატარდება ბუღალტრული მუხლი:

დ 6120 კ 1110 – 250 ლარი

დ 3330/1 კ 1110 – 50 ლარი

როდესაც საწარმო კრედიტით ყიდის საქონელს, მან შეიძლება მყიდველი წახალისოს დათქმულ გადაზე ადრე გადახდისათვის. წახალისების გამო ერთი ფორმაა ფასდათმობა ანუ დისკონტი.

არსებობს დისკონტის ჩაწერის ორი სახე:

1. ოპერაციის აღრიცხვის მთლიანი თანხის მეთოდი.
2. ორგანიზაციის აღრიცხვის წმინდა თანხის მეთოდი.

მაგალითად: საწარმოს მიერ რეალიზებულია კრედიტით 12 000 ლარის საქონელი, საქონელი მოწოდებულია დირებულების 90 დღეში გადახდის პირობით, ამასთან, თუ მყიდველი ვალს გადაიხდის მოწოდებიდან 60 დღეში, მიიღებს ფასდათმობას 5% (დისკონტი მიღებულია 2-7%). ავსახოთ აღნიშნული ოპერაცია ბუღალტრულად ორივე მეთოდით:

1. ოპერაციის აღრიცხვა მთლიანი თანხის მეთოდით თითოეული მეთოდის დროს.

განიხილება ორი შემთხვევა:

- ა) როდესაც მყიდველი თანხას იხდის დათქმულ ვადაში.
- ბ) როდესაც მყიდველი თანხას ვერ იხდის დათქმულ ვადაში

მოცემული მაგალითის მიხედვით საქონლის კრედიტი რეალიზაციაზე გატარდება ბუღალტრული მუხლით:

დ 1410 კ 6110 – 12 000 ლარი (I მეთოდი)

ა) მყიდველმა დათქმულ ვადაში (60 დღეში) გადაიხადა დავალიანება, რისთვისაც ის მიღებს ფასდაკლებას 600 ლარს.

დ 1110 კ 1410 – 11 400 ლარი

დ 1610 კ 1410 – 600 ლარი

რადგან რეალიზაციიდან შემოსავალი აღიარებული გვაქვს 12 000 ლარი, ფაქტიურმა შემოსავალმა კი შეადგინა 11 400 ლარი, ამიტომ წლის ბოლოს უნდა მოხდეს 6110 ანგარიშის კორექტირება შემდეგი ბუღალტრული გატარებით

დ 6110 კ 6120 600 ლარი.

ბ) მყიდველმა ვერ გადაიხადა დავალიანება დათქმულ ვადაში (60 დღეში), ე.ო. ის ვერ მიღებს ფასდათმობას და მან მთლიანად უნდა გადაიხადოს დავალიანება

დ 1110 კ 1410 12 000 ლარი.

II. ოპერაციის აღრიცხვა წმინდა (მისაღები) თანხის მეთოდით

მოცემული მაგალითის მიხედვით საქონლის კრედიტი რეალიზაციაზე გატარდება ბუღალტრული მუხლით:

დ 1410 კ 6110 – 11 400 ლარი (II მეთოდი).

ა) მყიდველმა დათქმულ ვადაში გადაიხადა (60 დღე) დავალიანება, რაზედაც გატარდება ბუღალტრული მუხლი

დ 1110 კ 1410 – 11 400 ლარი.

ბ) მყიდველმა ვერ გადაიხადა დავალიანება დათქმულ ვადაში (60 დღე), დებიტორმა არ ისარგებლა ფასდათმობით და დავალიანება გაანადდა სრული თანხით:

დ 1110 კ 1410 – 11 400 ლარი

დ 1110 კ 6125 – 600 ლარი

იმის გამო, რომ რეალიზაციიდან შემოსავალი აღიარებული იყო 11 400 ლარი, ფაქტიურად კი მივიღეთ 12 000 ლარი, წლის ბოლოს უნდა მოხდეს რეალიზაციის ანგარიშის კორექტირება:

დ 6125 კ 6110 – 600 ლარი.

ინვენტარი. ინვენტარი არის სამუშაოები და საწარმოო საქმიანობისათვის განკუთვნილი საგნების ერთობლიობა.

ინვენტარული შეფასების მიახლოება და დახურვა. ინვენტარის შემოწმება ხდება დროდადრო ნებისმიერ ორგანიზაციაში. ეს არის საჭირო ინვენტარის შესაფასებლად. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული ფიფო და ლიფო მეთოდები და ა.შ. ასევე გამოიყენება ინვენტარის შესაფასებლად. ჩვენ გვინდა ყურადღება გავამახვილოდ ინვენტარიზაციის საკითხებს. მისი ჩატარება ორგანიზაციას აძლევს უფლებას სწორად შეაფასოს და დაადგინოს მათი რეალური ღირებულება. ინვენტარიზაციის დროს ვლინდება სხვაობა ბუდალტრულ მონაცემებთან. ინვენტარიზაციას უტარებენ ძირითად საშუალებებს, სასაქონლო – მატერიალურ ფასეულობებს, დაუმოთავრებელ წარმოებას, ფულად სახსრებს და სხვა ანგარიშებს. ინვენტარიზაციის შედეგად აღმოჩენილი ზედმეტობა აიყვანება შემოსავალში, ნაკლებობა – ხარჯებში ტარდება. თუ ადგილი აქვს ნორმების გადამეტებას, მაშინ ადგილი აქვს სერიოზულ დარღვევას. დანაკლისი შეიძლება იყოს გამოწვეული დანაკარგით ან დაზიანებით. ინვენტარიზაციის ჩატარების შედეგები ჩაიწერება საბუთის სპეციალურ ფორმაში, სადაც მოყვანილი უნდა იყოს ინვენტარის რაოდენობის, ერთეულის ფასის, მთლიანი ფასის ფაქტიური და ბუდალტრული მონაცემები. ინვენტარიზაციის ჩატარებისას აწარმოებენ აღწერას, რომელსაც ხელს აწერენ მოცემულ ორგანიზაციაში მომუშავე ადმინისტრაციის თანამშრომლები. სასურველია რომ ასეთი კომისიის მონაწილეობა რაოდენობა აღემატებოდეს 1 ადამიანს, სამი მაინც იყოს მონაწილე.

რა არის ღირებულება. ღირებულება არის პროდუქციის ან მომსახურების წარმოებაზე გაწეული ხარჯების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს პირდაპირ და ხედნადებ ხარჯებს. პირდაპირ ხარჯებს განეკუთვნებათ მასალების ღირებულება დახარჯული გაწეული პროდუქციის ან მომსახურების წარმოებაზე და ძირითად მუშებზე დარიცხული ხელფასი. ზედნადებიდან ჯარჯები, რომელთა ზუსტი გამოყოფა არ შეიძლება მოცემული პროდუქციის ან მომსახურების წარმოების დროს და არ შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ ზუსტად მათ წარმოებაზე იყო დახარჯული. ეს არის იჯარის, ელექტროენერგიის, კომუნიკაციის, საკანცელარიო საგნების შესყიდვაზე გაწეული ხარჯები და ა.შ. ზედნადები ხარჯები იგივე არაპირდაპირი ხარჯებია.

ექსპანსიის ღირებულება არის ეკონომიკური გავლენის სფეროს ზრდა მოგების ზრდის მიზნით. ექსპანსიის ღირებულება მოიცავს ხარჯებს ორგანიზაციის საქმიანობის გაფართოებასთან დაკავშირებით.

შესყიდვების ღირებულება. შესყიდვების ღირებულება არის დამოკიდებული სარეალიზაციო ფასზე. ის დამოკიდებულია ასევე მისი გადაზიდვის და შენახვის ღირებულებაზე.

მასალების ღირებულება. მასალების ღირებულების დადგენა ხდება შესასყიდი ფასის მიხედვით. მასალის ღირებულებაში შედის თვით მასალის თვითღირებულება, დამატებული ღირებულების გადასახადი, გადაზიდვის ღირებულება და საწყობში შენახვის ღირებულება, თუ ასეთში არის რაიმე საჭიროება.

სასაქონლო – მატერიალური ფასეულობების ანგარიშის დროს ვიყენებთ შემდეგ ანგარიშს - **1600 ხასაქონლო მატერიალური მარაგები.**

საწარმო თავისი საქმიანობის პროცესში იყენებს მატერიალურ აქტივებს, რომელიც გამოყენების პროცესში იცვლის სახეს ან შინაარსობრივად განსხვავებული ფორმით წარმოგვიდგება.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემადგენლობაში შედის: საქონელი, ნედლეული და მასალები, მზა პროდუქცია, იგი მოიცავს აგრეთვე საკუთარი წარმოების ნახევრადფაბრიკატებს, დაუმთავრებელ წარმოებას.

სასაქონლო-მატერიალური მარაგის აღრიცხვა წარმოებს 2 მეთოდით: უწყვეტი და პერიოდული აღრიცხვის მეთოდით.

პერიოდული აღრიცხვის დროს ფასეულობების აღრიცხვა ამ ფასეულობათა ამსახველ ანგარიშებზე წარმოებს არა ყოველდღიურად, არამედ პერიოდის ბოლოს. მატერიალური ფასეულობების საწყისი ნაშთი პერიოდის დასაწყისიდან ბოლომდე უცვლელია. პერიოდის ბოლოს მარაგის სიდიდე დგინდება ინვენტარიზაციით. საწყისი ნაშთის დაყვანა საბოლოო ნაშთამდე ხდება კორექტირების გზით.

უწყვეტი აღრიცხვის მეთოდის გამოყენების დროს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მოძრაობის აღრიცხვა წარმოებს მუდმივად, ყოველდღიურად, ქრონოლოგიური თანამიმდევრობით.

სინთეზური ანგარიში 1600 – სასაქონლო-მატერიალური მარაგი გამოიყენება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მოძრაობის აღსარიცხავად, უწყვეტი აღრიცხვის მეთოდით. მას ესნება შემდეგი ანგარიშები:

1610 საქონელი

1620 ნედლეული და მასალები

1630 დაუმთავრებელი წარმოება

1640 მზა პროდუქცია

1690 სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი

1610 – საქონელი. საქონელი არის მატერიალური ფასეულობა, რომელიც შეძენილია სხვა სამეურნეო სუბიექტიდან და განკუთვნილია გასაყიდად.

მაგალითად: შეძენილია 800 ლარის საქონელი ნაღდ ანგარიშზე, ამ ოპერაციაზე გატარდება ბუდალტული მუხლი

დ 1610 კ 1110 – 800 ლარი.

ანგარიშვალდებული პირის მიერ შეძენილია 150 ლარის საქონელი:

დ 1610 კ 1430 – 150 ლარი.

1620 ნედლეული და მასალები. ეს არის ფასეულობა, რომელიც გამოიყენება წარმოების პროცესში მზა პროდუქციის მისაღებად.

მაგალითად: შეძენილია 7 200 ლარის ნედლეული და მასალები ნაღდ ანგარიშზე.

დ 1620 კ 1110 – 7 200 ლარი.

1630 დაუმთავრებელი წარმოება. ეს არის მატერიალური ფასეულობა, რომელსაც არ აქვს გავლილი დამუშავების ყველა სტადია და არ აქვს მიღებული დასრულებული სახე (მაგალითად: ნახევარფაბრიკატები)

მაგალითად: წარმოებაში გადასამუშავებლად გაცემულია 11 200 ლარის ნედლეული და მასალები.

დ 1630 კ 1620 – 11 200 ლარი.

1640 მზა პროდუქცია. ეს არის მატერიალური ფასეულობა, რომელმაც გაიარა დამუშავების ყველა სტადია და გამზადებულია სარეალიზაციოდ.

მაგალითად: მიღებულია მზა პროდუქცია წარმოებიდან თვითღირებულებით 24 500 ლარი

დ 1640 კ 1630 – 24 500 ლარი.

1690 სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი. ამ ანგარიშზე აღირიცხება ის ფასეულობა, რომელიც არ არის გათვალისწინებული ზემოთ მოცემულ ანგარიშებში.

ანგარიშს 1620 ნედლეული და მასალები, შეიძლება გააჩნდეს შემდეგი ქვეანგარიშები:

1621 ნაყიდი ნახევარფაბრიკატები

1622 სათბობი

- 1623 ტარა და ტარა მასალები
 1624 სატადარიგო ნაწილები
 1625 დანარჩენი მასალები
 1626 გარეთ გადასამუშავებლად გაცემული მასალები
 1627 სამშენებლო მასალები

ჩამოთვლილი მასალები აღირიცხება ცალ-ცალკე ქვეანგარიშებზე, თუ ისინი საწყობში არის მნიშვნელოვანი რაოდენობით, ხოლო თუ მცირე რაოდენობითაა, ისინი აისახებიან ანგარიშზე 1690 „სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი“.

საქონლის შესყიდვები. შესყიდვები სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოადგენს დიდი პარტიების შესყიდვებს. ამ დროს მიმდინარეობს ფასდათმობა, რაც შეიძლება იყოს დამოკიდებული შესყიდვების პირობებზე, ვადებზე და პარტიების რაოდენობაზე.

ფრახტი. ფრახტი არის ტვირთის უსაფრთხო გადაზიდვის ხარჯი, რომელსაც უხდიან შუამაგალს. ტვირთი შეიძლება იყოს მალეფუშებადი, სახიფათო, თხევადი ან სხვა სახის. ტვირთად ითვლება ყველა პროდუქტი, რომელიც გადაზიდვას ექვემდებარება იქნება ეს საკვები პროდუქტი, თუ სამშენებლო მასალა, თუ ავტოტრანსპორტი.

გარდაქმნების ღირებულება – საწარმოს პირდაპირი და ზედნადები ხარჯები. საწარმოს პირდაპირი და ზედნადები ხარჯების კლასიფიცირება ახალ საბუღალტრო სტანდარტებზე გადასვლასთან დაკავშირებით შეიძლება ქმნიდეს გარკვეულ სირთულეებს. ძველ ანგარიშებში პირდაპირ ხარჯებს მიაკუთვნებდენ ძირითადი მუშების ანაზღაურებას და მასალების ღირებულებას, ხოლო ზედნადებ ხარჯებში შექონდათ დამხმარე მუშების ხელფასი თავისი გადასახადებით. ახალ სისტემაში დამხმარე მუშების ხელფასები შედის პირდაპირ დანახაჯებში. ამით გამოწვეული სხვაობის ასაცილებლად, ჯერჯერობით განიხილავენ ძველ მიღვომას.

მაგალითად, მოცემულ საწარმოში იყო დამზადებული 1000 ცალი სათამაშო პატარა ბაგშვებისათვის. ჩვენ უნდა დავადგინოთ თვითდირებულება. პროდუქციის დამზადებაზე საწარმომ გაიღო შემდეგი ხარჯი :

პირდაპირი დანახარჯები

პირდაპირი ხელფასი-----	2 300
ძირითადი მასალები -----	1 700

მუდმუკი საწარმოო ზედნადები ხარჯები

საწარმოო შენობების და მოწყობილობის ცვეთა -----	350
მოწყობილობის ექსპლოატაციის დანახარჯი -----	480
წარმოების მართვის დანახარჯი -----	200

ცვალებადი საწარმოო ზედნადები ხარჯები

დამხმარე მუშების ხელფასი -----	600
დამხმარე მასალები -----	300

პროდუქციის თვითდირებულება ----- 5930

განვიხილოთ მაგალითი : ორგანიზაცია აწარმოებს პროდუქციას. წარმოებს პროცესში დარიცხულია ძირითადი მუშების ხელფასი 35 000 ლარი და ძირითადი მასალების ხარჯი – 55 000 ლარი, ზედნადები ხარჯები შეადგენს 25 000 ლარს. ადმინისტრაციის და გასაღების მუშაკების ხელფასი შეადგენს 8 000 ლარს. წარმოებამ დაამზადა ერთი სახეობის პროდუქტი 1 000 ცალი და რეალიზებულია 800 ცალი. ანგარიშის დროს გასაყიდ ფასს დაუმატეს 75 ლარი. უნდა ვიანგარიშოთ წმინდა მოგება.

ამოხება: მთლიანი პროდუქციის დირებულებამ შეადგინა 115 000 ლარი ($35\ 000 + 55\ 000 + 25\ 000$). ერთეული პროდუქციის დირებულებამ შეადგინა 115 ლარი ($115\ 000 : 1\ 000$). თოთოეული პროდუქციის სარეალიზაციო ფასი არის 190 ლარი ($115 + 75$). რეალიზებული პროდუქციის დირებულებამ შეადგინა 92 000 ლარი (115×800). გაყიდული პროდუქციის ფასია 152 000 ლარი (190×800). მოგებამ შეადგინა 60 000 ლარი ($152\ 000 - 90\ 000$). წმინდა მოგება არის 35 000 ლარი ($60\ 000 - 25\ 000$).

ზედნადები ხარჯები არის მუდმივი და ცვალებადი. მუდმივი ზედნადები ხარჯები მუდმივად თან ახლავს სამეურნეო საქმიანობას. ცვალებადი ზედნადები ხარჯები ატარებს დროებით ხასიათს. მაგალითად დამხმარე მუშები შეიძლება დროებით მუშებად ჩავთვალოთ. ეს არის დამოკიდებული შესასრულებელი სამუშაოს მოცულობაზე და დროზე, ორმელშიც ის უნდა შესრულდეს.

მცირე საწარმოებში ზედნადებ ხარჯებს აღრიცხავენ ყოველთვიურად და ამატებენ ძირითად ხარჯებს. მსხვილ საწარმოებში შეიძლება საჭირო გახდეს ზედნადები ხარჯების შიდა ნორმის გაანგარიშება.

ზედნადები ხარჯების მიკუთვნების საკმაოდ მარტივი მეთოდი არსებობს. დაუშვათ ორგანიზაცია აწარმოებს სხვადასხვა სახის პროდუქციას. ეს არის ავეჯის ქარხანა. ჩვენ უნდა ვიანგარიშოთ ყოველი პროდუქციისათვის ზედნადები ხარჯები და მივაკუთხოვ მათ. ამისათვის საჭიროა ვიცოდეთ, თუ რამდენი დრო ესაჭიროება ყოველი საგნის დამუშავებას. საშუალოდ ქარხანა 6 საათს ანდომებს კარადის დამზადებას და 2 საათს სკამისას. კარადა არის ფეხსაცმელების. დღეში ზედნადებმა ხარჯებმა შეადგინა 240 ლარი. ვიანგარიშოთ თუ რა თანხის ზედნადები ხარჯი მოდის 1 ხაათზე : $240 : 8 = 30$ ლარი. მაშინ თითო სკამის თვითღირებულებაში შევა : $2 \times 30 = 60$ ლარის ოდენობის ზედნადები ხარჯი. კარადის თვითღირებულებაში შემავალი ზედნადები ხარჯი შეადგენს: $6 \times 30 = 180$ ლარს.

ფიფო, ლიფო, ფიფოს და ლიფოს დაპირისპირება. საწარმო პროდუქციის გამოშვების დროს იძენს მასალებს. მასალების დირებულება იცვლება დროთა განმავლობაში და მათი აღრიცხვა დაკავშირებულია რიგ სირთულეებთან.

მეთოდი **ფიფო (First – in – First – out, პირველი შემოსავალში – პირველი გასავალში)**. პროდუქციის წარმოებისას იხარჯება მასალა. მასალა შეიძლება იყოს ახალი შეძენილი ან ადრე შესყიდული. ამიტომ მასალის შეძენის ფასები შეიძლება იყოს განსხვავებული. იგივე ეხება პროდუქციით ვაჭრობის საკითხესაც. ბასს 2-ით დაშებულია „ფიფო“ და საშუალო შეწონილი დირებულების მეთოდების გამოყენება. „ფიფო“ მეთოდის გამოყენება გულისხმობს, რომ სასაქონლო – მატერიალური ფასეულობების ელემენტების გაყიდვისას ან გახარჯვისას პროდუქციის წარმოების დროს, მათი შეძენის ფასსა და რიგითობას არ უქცევა ყურადღება. პირველად გადის ის სასაქონლო – მატერიალური ფასეულობა, რომელიც პირველად იყო ნაყიდი ან წარმოებული. ასული სასაქონლო – მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების აღრიცხვისათვის არ არის აუცილებელი მათი მოძრაობის აღნიშვნა. საკმარისია შეძენის ფასების კავშირის დადგენა წინასწარ გაკეთებულ დაშვებასთან.

„ლიფო“ (Last – in – last – out, ბოლო შემოსავალი – პირველი გასავალში) არის ბასს 2 – ით ნებადართული მეთოდი, რომელიც გულისხმობს, რომ პირველად იყიდება ან იხარჯება ის სასაქონლო – მატერიალური ფასეულობა, რომლიც ბოლოს იყო შეძენილი ან წარმოებული. ამიტომ თვითღირებულების დასადგენად გამოიყენება ბოლოს შეძენილი ან წარმოებული ფასეულობის თვითღირებულება.

საშუალო შეწონილი დირებულება (Average cost) გამოიყენება როგორც საბაზისო მეთოდი. ისი არსი მდგომარეობს შემდეგში – გასული პერიოდების განმავლობაში დარჩენილი ფასეულობის ფასს ემატება საანგარიშგებო პერიოდში შეძენილი ფასეულობების დირებულება და იყოფა საერთო რაოდენობის ჯამზე.

მაგალითად განვიხილოთ ორგანიზაცია, რომელსაც შეძენილი აქვს გარკვეული სახის მასალა სხვადასხვა დროს :

თვე	რაოდენობა	ერთეულის ფასი	მოლიანი ღირებულება
იანვარი	380	2.00	760.00
თებერვალი	400	2.50	1000.00
მარტი	350	2.50	875.00
აპრილი	420	2.75	1155.00
მაისი	430	3.00	1290.00
ივნისი	440	3.25	1430.00
	2420		6510

გავითვალისწინოთ, რომ ივნისში 1420 ერთეული იყო გაყიდული 7000-ად. ვიანგარიშოთ 30 ივნისისათვის მიღებული შედეგი სამივე მეთოდის გამოყენებით. ხელზე დარჩენილია $2420 - 1420 = 1000$ ერთეული :

1. ფიფო :

	რაოდენობა	ერთეულის ფასი	მოლიანი ღირებულება
ივნისი	440	3.25	1430.00
მაისი	430	3.00	1290.00
აპრილი	130	2.75	357.00
	1000		3077

1000 ერთეულის მისაღებად აპრილში შეძენილი პროდუქციის 130 ერთეულს ვიღებთ. ჯამში მივიღეთ, რომ ღირებულებამ შეადგინა 3077 ლარი.

2. ლიფო

	რაოდენობა	ერთეულის ფასი	მოლიანი ღირებულება
იანვარი	380	2.00	760.00
თებერვალი+მარტი	620	2.50	1550.00
	1000		2310

3. საშუალო შეწონილი :

$$\text{საერთო ღირებულება} / \text{რაოდენობასთან} = \frac{6510}{2420} = 2.69 \text{ (ლარი)}$$

მაშასადამე 1000 ერთეული იყო გაყიდული 2.69 ლარად, ჯამში გაიყიდა 2690 ლარის.

ვიანგარიშოთ ჩატარებული ანგარიშების და გამოყენებული მეთოდების გავლენა შედეგებზე :

	რაოდ-ბა	ფიფო		ლიფო		საჭ. შეწონილი.
		ლარი	ლარი	ლარი	ლარი	
კომერციული შემოსავალი	1420		7000		7000	7000
შესყიდვები	2420	6510		6510		6510
ინვენტარის დახურვა	1000	3077		2310		2690

გაყიდული ფასეულობის ფასი	1420		3433		4200		3820
წმინდა მოგება			3567		2800		3180

ღირებულების შეფასება. ღირებულება არის პირდაპირი და ზედნადები ხარჯების ჯამი. ანუ ღირებულება განისაზღვრება დახარჯული შრომის, მასალების, სამორტიზაციო დანარიცხების, სატრანსპორტო დანახარჯების, შენახვის ხარჯების, ადმინისტრაციის და საოფისე ხარჯების ჯამით.

ღირებულება შედგება ხარჯებისაგან. სამრეწველო საწარმოში ყველა ხარჯი შედის თვითდირებულებაში. სავაჭრო ორგანიზაცია პროდუქციის ყიდვა-გაყიდვის პროცესში მხოლოდ უმატებს შენახვის და რეალიზაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს. თვითონ პროდუქცია არ იცვლის თავის სახესხვაობას.

სამრეწველო საწარმოში წარმოებული პროდუქცია სანამ არაა გაყიდული ბალანსში ჩაიწერება აქტივის მხარეს. რეალიზაციის შემდეგ კი გადადის მეორე მხარეს – პასივის მხარეს მოგება – ზარალის ანგარიშზე.

არასაწარმოო დანახარჯები ითვლება პერიოდის დანახარჯებად. ეს ნიშნავს, რომ აქ ხარჯები ჩაიწერება მოგება – ზარალის ანგარიშზე მიმდინარე პერიოდისათვის.

სამშენებლო კომპანიას შესრულებულ სამუშაოებზე დაეხარჯა მიმდინარე თვეში ძირითადი მასალები 75 000 ლარის, ძირითად მუშებზე გაიცა ხელფასი 55 000, ზედნადები ხარჯებია – 39 000 ლარი. საფინანსო ანგარიშს ექნება სახე :

პირდაპირი დანახარჯები

პირდაპირი ხელფასი----- 75 000

ძირითადი მასალები ----- 55 000

საწარმოო ზედნადები ხარჯები სულ ----- 39 000

პროდუქციის თვითდირებულება ----- 169 000.

V. წინასწარი გადახდის ხარჯები, სალარო და ვალდებულების პონევებია

აქ განიხილება შემდეგი საკითხები :

წინასწარ გაწეული ხარჯები,

სალაროს წარმართვა,

სალაროს კონტროლის დოკუმენტაციის ფორმები,

დებიტორული დავალიანება და უიმერო გაღება.

ხარჯების კატეგორია – წინასწარ გადახდის ხარჯები, განექუთვნება მოთხოვნების კატეგორიას. წინასწარ გადახდასთან დაკავშირებით ორგანიზაცია

უნდა იყოს დარწმუნებული, რომ ოპერაცია შედგება. მაგრამ დასაშვებია, რომ გარკვეული მიზეზების გამო ოპერაცია ვერ შედგეს. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ვალდებულების შეუსრულებლობას. მაგალითად მასალებზე დაკვეთის შედეგად წინასწარ იყო გადახდილი მასალების ღირებულების თანხა. მასალის მიწოდება კი არ მოხდა. ამის ბევრი მიზეზი შეიძლება არსებობდეს : ტრანსპორტირების შეფერხება, მასალის დაზინება გზაში, დანაკარგი დაუცველობის შემთხვევაში. არსებობს სხვა შემთხვევებიც, როდესაც ორგანიზაციებს შორის მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტილია მასალების გარკვეული პარტიების მიწოდების შესრულების შემდეგ მოლიანი თანხის გადახდა. წინდაუხედულობის პრინციპიდან გამომდინარე, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს უიმედო ვალების წარმოშობის შესაძლებლობაც.

სალაროს წარმოება. სალაროს წარმოების დროს აუცილებელია იმის ცოდნა, თუ როგორ აწარმოებენ ოპერაციების ჩანაწერების გაკეთებას. ბუღალტერიაში გამოიყენება ორი მეთოდი : დარიცხვის და გაცემული თანხების მიხედვით. დარიცხვის მეთოდი გულისხმობს ხარჯების აღრიცხვას მათი წარმოშობის მომენტიდან. მაგალითად, დარიცხულია გასაცემი ხელფასი თვის ბოლოსათვის 2 500 ლარი. მისი გადახდა წარმოებს მომდევნო თვის პირველ კვირას. მანამდე ეს ხელფასი არის დარიცხული და წარმოადგენს წარმოების ვალდებულებას მომუშავის მიმართ. გაცემის მომენტიდან ორგანიზაციას ეხსნება ვალდებულება პირვენების წინაშე და ექმნება ვალდებულება სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ საშემოსავლო გადასახადის სახით. დარიცხულ ვალდებულებებს წარმოადგენს ასევე, თუ მიღებულია პროდუქცია, მაგრამ ჯერ არ არის გადახდილი მისი საფასური.

ბუღალტრულ აღრიცხვაში შემუშავებულია ანგარიშთა ერთიანი გეგმა. თითოეული ანგარიშის დასახელება და შიფრი წინასწარ განსაზღვრულია. მაგ. :

1110 – ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში
2100 – ძირითადი საშუალებები და ა. შ.

ანგარიშთა გეგმა წარმოადგენს სამეურნო საქმიანობის აღსარიცხავად გამოსაყენებელი ყველა სინთეზური და ანალიზური ანგარიშის სისტემატიზებულ სიას, ჩამონათვალს.

სინთეზური ანგარიში გულისხმობს შინაარსობრივად დაახლოებულ ბუღალტრული ანგარიშების ჯგუფს. ცალკეულ ჯგუფში შემავალი ანგარიშები კი ითვლება ანალიზურად.

სინთეზურ და ანალიზურ ანგარიშებს შორის გარდამავალ როლს ასრულებს ქვეანგარიშები ანუ სუბანგარიშები. მაგ.:

1600 – სასაქონლო მატერიალური მარაგი არის სინთეზური ანგარიში, მისი ანალიზური ანგარიშია 1620 – ნედლეული და მასალები, რომელსაც საჭიროების მიხედვით შეიძლება გაეხსნას ქვეანგარიშები 1621, 1622 და ა.შ.

ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმაში აქტივებს მინიჭებული აქვს ანგარიში 1000. ის დაყოფილია 2 ნაწილად :

1000 – მიმდინარე აქტივები,

2000 – გრძელვადიანი აქტივები,

1100 – ნაღდი ფული ეროვნულ სალაროში.

სინთეზური ანგარიში „ ნაღდი ფული სალაროში“ გამოიყენება საწარმოში არსებული, შემოსული და საწარმოდან გასული ნაღდი ფულის აღსარიცხავად. ეს არის ფულადი აქტიური ანგარიში. მოცემულ სინთეზურ ანგარიშს ეხსნება შემდეგი ანგარიშები :

1110 – ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში

1120 – ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში

1110 - ნადდი ფული ეროვნულ ვალუტაში. ეს ანგარიში გამოიყენება საწარმოში არსებული, შემოსული და საწარმოდან გასული ნადდი ფულის აღსარიცხავად ეროვნულ ვალუტაში.

1120 - ნადდი ფული უცხოურ ვალუტაში. აღირიცხება უცხოური ვალუტის ნომინალით შესაბამისი კურსის გათვალისწინებით ეროვნულ ვალუტაში. მას ეხსნება იმდენი ანალიზური ანგარიში, რამდენი სახის ვალუტაც იქნება გამოყენებული საწარმოში.

მოცემული სინთეზური ანგარიშის დებეტში აისახება საწარმოში ნადდი ფულის ნაშთი და მისი მიღება, ხოლო კრედიტში – ფულის გასვლა საწარმოდან.

სალაროს ოპერაციებს აღრიცხავს მოლარე. სალაროდან ფულის გაცემა ხდება სალაროს გასავლის ორდერის საფუძველზე, სადაც მითითებული უნდა იყოს, თუ ვისზე, რამდენი და რა საჭიროებისათვის გაიცა ფული სალაროდან. სალაროში ფულის მიღებისას დგება სალაროს შემოსავლის ორდერი, სადაც აღნიშნული უნდა იყოს სალაროში ფულის მიღების საფუძველი. სალაროს შემოსავლის და გასავლის ორდერების საფუძველზე მოლარე ჩანაწერებს აკეთებს სალაროს წიგნში (დავთარში). სალაროს წიგნში ნაშთი გამოყავთ ყოველდღიურად, მაგრამ თუ სალაროში ფულის მოძრაობა არაა ინტენსიური, მაშინ სალაროს ნაშთის შედგენა შეიძლება 3-5 დღეში ერთხელ.

1200 – ფული საბანლო ანგარიშებზე.

გარდა სალაროში ნადდი ფულისა, საწარმო ფულად სახსრებს ინახავს ბანკში. გახსნილ ანგარიშებზე საწარმოს ჩაერიცხება თანხები, რომლებიც მიიღება პროდუქციის რეალიზაციისა და გაწეული მომსახურებიდან, მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები და კრედიტები. ამ ანგარიშიდან ხდება სხვა და სხვა ვალდებულებების დაფარვა, მომწოდებლებზე თანხების გადარიცხვა, ნადდი ფულის გაცემა სალაროში ხელფასის ასანაზღაურებლად და სხვა.

ბანკში გახსნილ ანგარიშებზე ოპერაციების აღსარიცხვად გამოიყენება სინთეზური ანგარიში 1200 „ ფული საბანკო ანგარშზე“, რომელსაც გააჩნია შემდეგი ანალიზური ანგარიშები:

1200 – ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში

1220 - უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში

1230 - უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში

1290 – ფული სხვა საბანკო ანგარიშზე

რეზიდენტი ბანკი ნიშნავს აღგილობრივ, ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედ ბანკებს, ხოლო არარეზიდენტი ბანკი – ეს არის საზღვარგარეთ, ქვეყნის ტერიტორიის გარეთ მოქმედი ბანკი.

1210 - ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში. ეს ანგარიში გამოიყენება აღგილობრივ ბანკებში მოთავსებული ეროვნული ვალუტის მოძრაობის აღსარიცხავად.

1220 – უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში. ეს ანგარიში გამოიყენება აღგილობრივ ბანკებში მოთავსებული უცხოური ვალუტის მოძრაობის აღსარიცხავად.

1230 – უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში. ეს ანგარიში გამოიყენება საზღვარგარეთის ბანკებში მოთავსებული უცხოური ვალუტის მოძრაობის აღსარიცხავად.

1290 – ფული სხვა საბანკო ანგარიშზე ეს ანგარიში გამოიყენება სხვა საბანკო ანგარიშებზე მოთავსებული ფულის მოძრაობის აღსარიცხავად.

თითოეულ ანგარიშზე შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე ანალიზური ანგარიში. იგი დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენ აღგილობრივ ბანკში ექნება საწარმოს ეროვნული ან უცხოური ვალუტის ანგარიში ან რამდენი სახის უცხოური ვალუტი ექნება საწარმოს გამოყენებული. ფული უცხოურ ვალუტაში აღირიცხება უცხოური ვალუტის ნომინალით და შესაბამისი კურსის გათვალისწინებით ეროვნულ ვა-

ლუტაში. მოცემული სინთეზური ანგარიშის დებეტში აისახეა ნაშთი და ფულის შემოსვლა ბანკის ანგარიშზე, ხოლო კრედიტში – მისი გასვლა.

სალაროს კონტროლის დოკუმენტაციის ფორმები. სალაროს მაკონტროლებელი საბუთებია სალაროს ორდერები, სალაროს წიგნი და შემოსავლების და გასავლების ჟურნალი.

დებიტორული დაგალიანება წამოიშვება, როდესაც სხვა ორგანიზაციას გააჩნია მოცემული ორგანიზაციის მიმართ ვალდებულება. ამ ორგანიზაციებს ეწოდებათ დებიტორები.

VI. საპაპრო სამიანობის ბუღალტერია

ტრანსპორტირების ღირებულება.

შესყიდვების დაბრუნება.

მოგების და დანაკარგის აღიარება.

დანაკარგები, დაზიანებული და მოპარული ინვენტარი.

ჩამოფასება ინვენტარის შესყიდვების დროს.

მომწოდებლის მოთხოვნაში მასალების მოწოდებაზე გაწეული დანახარჯი უნდა იყოს შესყიდვის ფასში და ეს დანახარჯი განიხილება როგორც პირდაპირი დანახარჯი. ტრანსპორტირების ხარჯები უნდა შედიოდეს მასალების ძირითად ხარჯებში, ვინაიდან ძალზედ გართულდება სატრანსპორტო ხარჯების ცალკე გამოყოფა, დაჯგუფება. სასაქონლო ზედდებულის საბუთში სატრანსპორტო ხარჯები შესულია. ასევე ხარჯთაღრიცხვები, რომელსაც ამზადებენ სამუშაოების დაწყების წინ, მოიცავენ სატრანსპორტო ხარჯებსაც. ცალკე გამოყოფენ გადაადგილების ხარჯებს, რომელიც შეიძლება გულისხმობდეს შიდა გადაადგილებას საწყობი-სამუშაო ადგილი.

შესყიდვების დაბრუნება შეიძლება გამოწვეული იყოს არა დამაკმაყოფილებელი ხარისხით.

რეალიზებული საქონლის თვითდირებულებას ეხსნება შემდეგი ანგარიში – 7200. მოცემული ანგარიში განკუთვნილია სავაჭრო სფეროს საწარმოებში რეალიზებული საქონლის თვითდირებულების აღსარიცხვად. მას ეხსნეა შედეგი ანალიზური ანგარიშები:

7210 – გაყიდული/შეძენილი საქონელი

7220 – შეძენილი საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა

7290 – სასაქონლო მატერიალური მარაგის კორექტირება

7210 – გაყიდული/შეძენილი საქონელი. ამ ანგარიშით ხდება გაყიდული ან შეძენილი საქონლის ხარჯად აღიარება ანუ ფაქტიური თვითდირებულების ჩამოწერა ბუღალტრული გატარებით

დ 7210 კ 1610

7220 – შეძენილი საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა. შეძენილი საქონელი შეიძლება უკან დაუბრუნდეს მომწოდებელ სხვადასხვა მიზეზებით, ასეთი ოპერაციები აღირიცხება ანაგიშვი 7220 – „შეძენილი საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა“.

მაგალითად: შეძენილია საქონელი 3000 ლარად ნაღდი ფულით, მათ შორის დღგ 500 ლ

დ 1610 კ 1110 2500 ლ,
დ 3340/1 კ 1110 500 ლ.

ვთქვათ, უხარისხობის გამო მომწოდებელს დაუბრუნდა 1200 ლარის საქონელი, რაზედაც გატარდება ბუღალტრული მუხლი:

დ 1110 კ 7220 1000 ლ,
დ 1110 კ 3340/1 200 ლ/

7290 – სასაქონლო მატერიალური მარაგის კორექტირება. ეს ანგარიში წლის ბოლოს აზუსტებს სავაჭრო საწარმოებისათვის რეალიზებული საქონლის თვითღირებულებას. სასაქონლო-მატერიალური მარაგის პერიოდული აღრიცხვის მეთოდის გამოყენებისას, წლის ბოლოს ინგენირიზაციით დგინდება მარაგის ნაშთის ზრდა წლის დასაწყისისათვის არსებულთან შედარებით. ის გატარდება ბუღალტრული მუხლით:

დ 1600 კ 7185.

ხოლო ნაშთის შემცირებისას დ 7185 კ 1600 (მარაგის ნაშთის სხვაობით წლის დასაწყისსა და წლის ბოლოს შორის).

მიწოდების ხარჯებს ეხსნება ანგარიში **7300**. აღნიშნული ანგარიში განკუთვნილია პროდუქციის და საქონლის რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების აღსარიცხავად. მიწოდების ხარჯებს კომერციულ ხარჯებსაც უწოდებენ. კომერციული (მიწოდების) ხარჯები ის ხარჯებია, რომლებიც დაკავშირებული არიან პროდუქციის მიწოდებასთან და ანაზღაურდება მიმწოდებლის (გამყიდველის) მიერ. მიწოდების დანახარჯები ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ჯგუფდება შემდეგ ანგარიშებში:

7310 – რეკლამის ხარჯები

7320 – შრომის ანაზღაურება და საკომისიო გასამრჯელო

7330 – შრომის ანაზღაურებაზე დანარიცხები

7340 – ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები

7350 – ცვეთა და ამორტიზაცია

7390 – მიწოდების სხვა ხარჯები

მაგალითად: 1) გადახდილია სარეკლამო ხარჯი 200 ლარი

დ 7310 კ 1110 – 200 ლარი,

2) დარიცხულია ტვირთის გამცილებლის შრომის ანაზღაურება 300 ლარი

დ 7320 კ 3130 – 300 ლარი,

3) გადახდილია მყიდველისათვის დანიშნულების ადგილზე საქონლის გადაზიდვის სატრანსპორტო ხარჯი – 100 ლარი

დ 7340 კ 1110 – 100 ლარი,

4) დარიცხულია საშემოსავლო გადასახადები ხელფასზე 75 ლარი

დ 7330 კ 3320 – 75 ლარი

(300 ლარის 25% = 75).

ანგარიში **7200** განკუთვნილია სავაჭრო სფეროს საწარმოებში რეალიზებული საქონლის თვითღირებულების აღსარიცხავად. მას ეხსნეა შედეგი ანალიზური ანგარიშები:

7210 – გაყიდული/შეძენილი საქონელი,

7220 – შეძენილი საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა,

7290 – სასაქონლო მატერიალური მარაგის კორექტირება.

7210 – გაყიდული/შეძენილი საქონელი. ამ ანგარიშით ხდება გაყიდული ან შეძენილი საქონლის ხარჯად აღიარება ანუ ფაქტიური თვილირებულების ჩამოწერა ბუღალტრული გატარებით
დ 7210 კ 1610.

7290 – სასაქონლო მატერიალური მარაგის კორექტირება. ეს ანგარიში წლის ბოლოს აზუსტებს სავაჭრო საწარმოებისათვის რეალიზებული საქონლის თვითღირებულებას. სასაქონლო-მატერიალური მარაგის პერიოდული აღრიცხვის მეთოდის გამოყენებისას, წლის ბოლოს ინვენტარიზაციით დგინდება მარაგის ნაშთი გაიზრდება წლის დასაწყისისათვის არსებულთან შედარებით, გატარდება ბუღალტრული მუხლი:

დ 1600 კ 7185,

ხოლო ნაშთის შემცირებისას და 7185 კ 1600 (მარაგის ნაშთის სხვაობით წლის დასაწყისსა და წლის ბოლოს შორის)

მიწოდების ხარჯების 7300 ანგარიში განკუთვნილია პროდუქციის და საქონის რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების აღსარიცხვად. მიწოდების ხარჯებს კომერციულ ხარჯებსაც უწოდებენ. კომერციული (მიწოდების) ხარჯები ის ხარჯებია, რომლებიც დაკავშირებული არიან პროდუქციის მიწოდებასთან და ანალზაურდება მიმწოდებლის (გამყიდველის) მიერ. მიწოდების დანახარჯები ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ჯგუფდება შემდეგ ანგარიშებში:

7310 – რეკლამის ხარჯები

7320 – შრომის ანაზღაურება და საკომისიო გასამრჯელო

7330 – შრომის ანაღზაურებაზე დანარიცხები

7340 – ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები

7350 – ცვეთა და ამორტიზაცია

7390 – მიწოდების სხვა ხარჯები

მაგალითად: 1) გადახდილია სარეკლამო ხარჯი 200 ლარი

დ 7310 კ 1110 – 200 ლარი,

2) დარიცხულია ტვირთის გამცილებლის შრომის ანაზღაურება 300 ლარი

დ 7320 კ 3130 – 300 ლარი,

3) გადახდილია მყიდველისათვის დანიშნულების ადგილზე საქონლის გადაზიდვის სატრანსპორტო ხარჯი – 100 ლარი,

დ 7340 კ 1110 – 100 ლარი,

4) დარიცხულია საშემოსავლო გადასახადები ხელფასზე 75 ლარი

დ 7330 კ 3320 – 750 ლარი,

(300 ლარის 25% = 75).

VII. დებიტორული დაგალიანების ანგარიშგება

ამ თავში განიხილება :

**დებიტორული დაგალიანების განსაზღვრება
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან
საეჭვო მოთხოვნების კორექტირება
მოთხოვნები**

მოკლევადიანია მოთხოვნები, თუ მისი მოთხოვნის ვადა ბალანსის შედგენის თარიღიდან ერთ წელს არ აღემატება. მათ მინიჭებული აქვთ ანაგრიში 1400.

ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების პროცესში საწარმოებს წარმოქმნებათ ურთიერთობა სხვა საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და პირებთან. ეს ურთიერთობა ხორციელდება პროდუქციის (საქონლის) მოწოდებისას, სამუშაოების შესრულების, მომსახურების გაწევის, სესხების გაცემის, გადახდილი ავანსებისა და სხვა ოპერაციების შედეგად.

მომსახურებისა და მოწოდების კრედიტით გაწევის დროს მომწოდებლებისათვის წარმოიშობა დებიტორული დაგალიანება ანუ მოთხოვნა.

დებიტორული დაგალიანება – ეს არის მოცემული საწარმოს წინაშე წარმოქმნილი სხვადასხვა ორგანიზაციების, საწარმოებისა და პირების დაგალიანებანი, ხოლო თვით ამ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს უწოდებენ დებიტორებს.

სინოეზური ანგარიში 1400 – „მოკლევადიანი მოთხოვნები“ გამოიყენება იმ დებიტორული დაგალიანების აღსარიცხავად, რომელთა განადლება მოსალოდნელია ერთ წლამდე პერიოდში. იგი აქტიური ანგარიშია და აერთიანებს რამდენიმე კატეგორიის მოთხოვნას. მოცემულ სინოეზურ ანგარიშს ეხსნება შემდეგი ანგარიშები:

- 1410 – მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან
- 1415 – საეჭვო მოთხოვნების კორექტირება
- 1420 – მოთხოვნები მეკავშირე საწარმოს მიმართ
- 1430 – მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ
- 1440 – მოთხოვნები ხელმძღვანელებისა და სამეთვალყურეო ორგანოების წევრების მიმართ
- 1450 – მოთხოვნები პარტნიორზე გაცემული სესხებიდან
- 1460 – კაპიტალის შევსებაზე პარტნიორების გრძელვადიანი მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი
- 1470 – გრძელვადიანი მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი
- 1480 – მომწოდებელზე გადახდილი ავანსები
- 1490 – სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

1410 – მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან. ეს ანგარიში გამოიყენება საწარმოდან მყიდველებისათვის საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით წარმოშობილ დებიტორულ დაგალიანებათა აღსარიცხავად. მოთხოვნების ასახვა ანგარიშზე ხდება დარიცხვის პრინციპით შემოსავლების ანგარიშთან კორესპოდენციით. (მოქმედებს შემოსავლების აღრიცხვის 2 მეთოდი: ა) საქასო მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემოსავლების აღიარებას მაშინ, როდესაც დებიტორი შემოიტანს თანხას და ბ) დარიცხვის მეთოდი, რომლის დროსაც შემოსავლები მიღებულად ითვლება მყიდველისათვის საკუთრების უფლების გადაცემის მომენტიდან ანუ შემოსავლად

ხდება იმ თანხის აღიარება, რომელიც შესაძლებელია არც იყოს მიღებული სალაროში და ჯერ კიდევ დებიტორულ დავალიანებად ითვლება).

მაგალითად რეალიზებულია კრედიტით (შემდგომი ანგარიშსწორებით) 1000 ლარის საქონელი 90 დღეში გადახდის პირობით.

ამ ოპერაციით, საქონლის მიწოდებიდან, ერთი მხრივ, წარმოშობა მოთხოვნა და მეორე მხრივ – შემოსავალი რეალიზაციიდან, რომელიც ბუღალტრულად ტარდება შემდეგნაირად:

დ 1410 კ 6110 – 1000 ლარი,

მოთხოვნის (დებიტორული დავალიანების) დაფარვა აისახება შემდეგი ბუღალტრული მუხლით:

დ 1110 კ 1410 - 1000 ლარი ან დ 1210.

1415 – საეჭვო მოთხოვნების კორექტირება. ზოგჯერ შეუძლებელი ხდება მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოშობილი მოთხოვნების ამოღება სრული ოდენობით.

საქონლის კრედიტით გაყიდვის ძირითად პროცედურას წარმოადგენს მათი თავისდროული განადდება. ნებისმიერ საწარმოს სურს საქონელი მიყიდოს გადახდისუნარიან მყიდველებს, მაგრამ ხშირია შემთხვევები, როდესაც მყიდველი ვერ ასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, რის გამოც წარმოქმნება ვალი, რომელიც შეიძლება იყოს უიმედო ან საეჭვო. თუ მყიდველს წარმოქმნება ფინანსური სიძნელეები ან გაკოტრდა და ექვემდებარება ლიკვიდაციას, თუ შეუძლებელია მისი ადგილსამყოფლის მოკვლევა, მაშინ მისგან დებიტორული დავალიანების განადდებაც უიმედოა, უიმედოა ვალი, რომლის დაფარვის პირობები აღარ არსებობს და მისი ამოღება შეუძლებელია. თუ საწარმო მიიღებს სათანადო ინფორმაციას, როგორც არის განაცხადი საწარმოს გაკოტრების შესახებ, თუ სასარჩევო ვადა გასულია, სასამართლო წესით თანხების ამოღების შესაძლებლობა დაკარგულია, ეს იმას ნიშნავს, რომ დებიტორი გადახდისუნაროდ არის მიჩნეული. ასეთ შემთხვევაში საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებაში არ უნდა ასახოს ის მოთხოვნები, რომელთა მიღება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია, ამიტომ მან ასეთი მოთხოვნა უნდა გააუქმოს. საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებაში არ უნდა ასახოს ის მოთხოვნებიც, რომელთა მიღება საეჭვოა. საეჭვოდ ითვლება ვალი, რომელსაც საწარმო ელოდება, მაგრამ მისი მიღება საეჭვოა.

საეჭვო ვალების აღსარიცხავად გამოიყენება ანგარიში 1415, რომელიც კონტრალური ანგარიშია 1410 ანგარიშისათვის. იგი არსით პასიური ანგარიშია, ამიტომ მას გააჩნია კრედიტის ნაშთი, საეჭვო მოთხოვნის ზრდა იწერება კრედიტში. საეჭვო მოთხოვნების ნაშთის შემცირება კი – დებეტში. საეჭვო მოთხოვნების ნაშთის შემცირება შეიძლება გამოწვეული იყოს წლის განმავლობაში უიმედო მოთხოვნების ჩამოწერით ან საეჭვო მოთხოვნების ნაშთის კორექტირებით წლის ბოლოს. მაგალითად: მყიდველის გაკოტრებულად გამოცხადების გამო ჩამოიწერა მისი დებიტორული დავალიანება 500 ლარი

დ 1415 კ 1410 – 500 ლარი

საეჭვო მოთხოვნებთან დაკავშირდებული ხარჯის ჩამოწერა ხდება საეჭვო მოთხოვნების რეზერვიდან შემდეგი ბუღალტრული გატარებით

დ 7460 კ 1415 – 500 ლარი

1420 – მოთხოვნები მეკავშირე საწარმოს მიმართ. ეს ანგარიში გამოიყენება მეკავშირე საწარმოებთან ანგარიშსწორების აღსარიცხავად. საჭიროების შემთხვევაში იგი გამოიყენება ფილიალებთან და სხვა განცალკევებულ ქვედანაყოფებთან ანგარიშსწორების აღსარიცხავად:

მაგალითად: სათაო კომპანიამ მიყიდა შვილობილ საწარმოს კრედიტით ნედლეული და მასალები 500 ლარის, რაზედაც გატარდება ბუღალტრული მუხლი დ 1420 კ 6110 – 500 ლარი

ხოლო შვილობილი საწარმოს მიერ დებიტორული დავალიანების დაფარვის შემთხვევაში, როდესაც თანხა შემოტანილი იქნება სათაო კომპანიის სალაროში, გაექნება ბუღალტრული გატარება
დ 1110 კ 1420 – 400 ლარი

1430 – მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ. ეს ანგარიში გამოიყენება საწარმოს ხელმძღვანელი მუშაკებისა და დამფუძნებლების გარდა სხვა პერსონალის მიმართ წარმოშობილი დავალიანების აღსარიცხავად. იგი შეიძლება დაკავშირდებული იყოს სხვა საქვეანგარიშო თანხებთან, მატერიალური ზარალის ანაზღაურებასთან, სესხების გაცემასთან ან სხვა სამეურნეო ოპერაციებთან.

საწარმოს თანამშრომელი, რომელიც ასრულებს გარკვეულ დავალიანებას და ამ მიზნით საწარმოდან ღებულობს გარკვეულ თანხას, ხდება ანგარიშვალდებული პირი მოცემული საწარმოსათვის ანგარიშგებულმა პირმა მოცემული საწარმოსათვის ავანსად შეიძლება მიიღოს თანხა რაიმეს შესაძენად, მივლინების და სხვა. ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა წარადგინოს ანგარიშგება ავანსად მიღებული სახსრების მიზნობრივად ხარჯვის შესახებ. თუ აღმოჩნდება, რომ ანგარიშვალდებულმა პირმა დახარჯა ავანსად მიღებულ თანხაზე მეტი, მაშინ მიღებულ ავანსსა და დახარჯულ თანხას შორის სხვაობას ანგარიშვალდებული პირი მიიღებს სალაროდან, ხოლო თუ ავანსად მიღებული თანხა მთლიანად არ იქნება გამოყენებული, მაშინ დარჩენილ თანხას იგი დააბრუნებს სალაროში. როდესაც ავანსად მიღებული თანხა მთლიანად იქნება გამოყენებული, ანგარიშვალდებულ პირს ჩამოეწერება მიზნობრივად გამოყენებული სახსრები.

მაგალითად: ა) ანგარიშვალდებულ პირზე გაცემულია 500 ლარი ნაღდი ფული სალაროდან ნედლეულის და მასალების შესაძენად, ამ ოპერაციაზე გატარდება ბუღალტრული მუხლი

დ 1430 კ 1110 – 500 ლარი,

ბ) ანგარიშვალდებულმა პირმა მოიტანა 300 ლარის ნედლეული და მასალები დ 1620 კ 1430 – 300 ლარი,

გ) ანგარიშვალდებულმა პირმა დააბრუნა სალაროში 200 ლარი

დ 1110 კ 1430 – 200 ლარი.

1440 – მოთხოვნები ხელმძღვანელებისა და სამეთვალყურეო ორგანოების წევრების მიმართ. ეს ანგარიში გამოიყენება ხელმძღვანელებისა და სამეთვალყურეო ორგანოების წევრების მიმართ წარმოშობილი დებიტორული დავალიანების აღსარიცხავად.

მაგალითად: გაცემულია საწარმოს მენეჯერზე სამივლინებო ავანსი 200 ლარი

დ 1440 კ 1110 – 200 ლარი.

1450 – მოთხოვნები პარტნიორზე გაცემული სესხებიდან. ეს ანგარიში გამოიყენება საწარმოს დამფუძნებლებისთვის ერთ წლამდე ვადით გაცემული სესხების აღსარიცხავად.

მაგალითად: საწარმოს დამფუძნებელზე გაცემულია სესხი 1000 ლარი სალაროდან, რაზედაც გატარდება ბუღალტრული მუხლი:

დ 1450 კ 1110 – 1000 ლარი,

სესხის დაბრუნების შემთხვევაში გატარდება ბუღალტრული მუხლი

დ 1110 კ 1450 – 1000 ლარი.

1460 – კაპიტალის შევსებაზე პარტნიორების გრძელვადიანი მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი. ეს ანგარიში განკუთვნილია საწარმოს პარტნიორების მიერ საწესდებო კაპიტალის შევსებასთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულების იმ ნაწილის აღსარიცხავად, რომელიც პარტნიორმა უნდა შეასრულოს ერთი წლის განმავლობაში.

მაგალითად: კომპანიის დამფუძნებელმა 5 წლის განმავლობაში 10000 ლარით უნდა შეაგრის საწესდებო კაპიტალი. თანხის ის ნაწილი, რომელიც უნდა შემოიტანოს მან მიმდინარე წელს (2000 ლარი), ჩაითვლება როგორც გრძელვადიანი მოთხოვნის მიმდინარე ნაწილი. (ბუღალტრული გატარება იხილე სინოეზურ ანგარიშში 2300 „გრძელვადიანი მოთხოვნები“ – ანგარიში 2330 „მოთხოვნები საწესდებო კაპიტალის შევსებაზე“).

1470 – გრძელვადიანი მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი. ამ ანგარიშზე აღირიცხება ნებისმიერი გრძელვადიანი მოთხოვნის ის ნაწილი, რომელიც უნდა დაიფაროს მიმდინარე წელს.

1480 – მომწოდებელზე გადახდილი ავანსები. ეს ანგარიში გამოიყენება მომწოდებლისათვის ავანსად გადახდილი თანხების აღსარიცხავად.

მაგალითად: ა) მომწოდებლისათვის ავანსად გაცემულია 500 ლარი ნაღდი ფული ნედლეულის და მასალების შესაძენად. ამ ოპერაციაზე გატარდება ბუღალტრული მუხლი

დ 1480 კ 1110 – 500 ლარი,

ბ) მომწოდებელმა შემოიტანა 500 ლარის ნედლეული და მასალა

დ 1620 კ 1480 – 500 ლარი.

1490 – სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები. ეს ანგარიში გამოიყენება იმ დებიტორული დავალიანების აღსარიცხავად, რომელიც არ არის გათვალისწინებული ზემოთ განხილულ ანგარიშებში

მოკლევადიან სათამასუქო მოთხოვნების 1500 სინოეზური ანგარიში განკუთვნილია მყიდველების, დამკვეთებისა და დებიტორების მიმართ წარმოშობილი ისეთი მოთხოვნების აღსარიცხავად, რომელიც უზრუნველყოფილია თამასუქებით. სათამასუქო მოთხოვნების წარმოშობა დაკავშირებულია საქონლის კრედიტით რეალიზაციასთან. თამასუქი შეიძლება მიღებული იქნას გაცემული სესხის ან აქტივების სანაცვლოდ.

თამასუქი არის კანონით დადგენილი წერილობითი ვალდებულება, რომლის საშუალებითაც თამასუქის მფლობელს ეძლევა უფლება მოსთხოვოს თამასუქის გამცემს განსაზღვრული ოდენობის თანხა დათქმულ ვადაში.

თამასუქებით უზრუნველყოფილი მოთხოვნა შეიძლება იყოს როგორც მოკლე, ისე გრძელვადიანი.

თამასუქეს გააჩნია ნომინალი (დაწყებითი დირებულება), საპროცენტო განაკვეთი, რომელიც დადგენილია ერთი წლისათვის.

მოცემულ სინოეზურ ანგარიშს ეხსნება შემდეგი ანალიზური ანგარიშები:

1510 – მიღებული მოკლევადიანი თამასუქი

1520 – მიღებული მოკლევადიანი თამასუქის მიმდინარე ნაწილი

მაგალითად: რეალიზებულია კრედიტით 5000 ლარის საქონელი 60 დღეში გადახდის პირობით.

დ 1410 კ 6110 – 5000 ლარი.

კოქვათ დებიტორმა დროზე ვერ აანაზღაურა თავისი დავალიანება, კონტრაქტი საქონლის კრედიტით რეალიზებაზე იცვლება მოკლევადიანი სათამასუქო მოთხოვნით შემდეგი ბუღალტრული გატარებით:

დ 1510 კ 1410 – 5000 ლარი.

ვთქვათ აღნიშნული თამასუქი არის წლიური საპროცენტო განაკვეთი 6%, საპროცენტო თანხა გადახდილი უნდა იქნას ყოველი თვის ბოლოს. ყოველთვიურად საპროცენტო შემოსავლის დარიცხვაზე გატარდება ბუდალტრული მუხლი.

დ 1820 კ 8110 – 25 ლარი.

(5000-ის 6% = 300 ლ ერთი წლის საპროცენტო შემოსავალი. ერთი თვის საპროცენტო შემოსავალი 300 : 12 = 25)

აღნიშნული საპროცენტო თანხის მიღების შემთხვევაში გატარდება ბუდალტრული მუხლი

დ 1110 კ 1820 – 25 ლარი.

წლის ბოლოს თამასუქის ძირითადი თანხის ანაზღაურების შემთხვევაში გვექნება ბუდალტრული გატარება:

დ 1110 კ 1510 – 5000 ლარი.

მომავალში თუ არის გასაწევი ხარჯი, მაშინ მას ეხსნება შემდეგი ანგარიში – 1700. აღნიშნული სინთეზური ანგარიში განკუთვნილია მომავალი პერიოდში მისაღების ეკონომიკური სარგებლისათვის გაწეული გასავლების აღსარიცხავად. მას ეხსნება შემდეგი ანგარიშები:

1710 წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება.

1720 წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა.

1790 სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები.

1710 წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება. აღნიშნული ანგარიში გამოიყენება საწარმოს მიერ წინასწარ ანაზღაურებული მომსახურების აღსარიცხავად. მაგალითად: წინასწარ გადახდილია 3 თვის მომსახურების ღირებულება 1000 ლარი.

დ 1710 კ 1110 – 1000 ლარი.

1720 წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა. აღნიშნული ანგარიში გამოიყენება იმ საიჯარო ქირის აღსარიცხავად, რომელიც წინასწარ არის გადახდილი.

მაგალითად: წინასწარ გადახდილია შენობის საიჯარო ქირა 5000 ლარი

დ 1720 კ 1210 – 5000 ლარი.

1790 სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები. ამ ანგარიშზე აღირიცხება ის წინასწარ გაწეული ხარჯები, რომლებიც ზემოთ მოცემულ ანგარიშებში არ არის გათვალისწინებული.

დარიცხული ნიშნავს გამომუშავებულ, მაგრამ მიუღებელ შემოსავალს, რომელიც დარიცხვის მეთოდით აღიარებული უნდა იქნას შემოსავლად და მოთხოვნად. არიცხულ მოთხოვნებს მინიჭებული აქვთ ანგარიში 1800.

აღნიშნული სინთეზური ანგარიში განკუთვნილია პროცენტისა და დივიდენდის სახის წარმოშობილი მოთხოვნების აღსარიცხავად, მას ეხსნება შემდეგი ანგარიშები:

1810 – მისაღები დივიდენდები,

1820 – მისაღები პროცენტები,

1890 – სხვა დარიცხული მოთხოვნები.

1810 – მისაღები დივიდენდები. საწარმოები სხვადასხვა ორგანიზაციები, მათი სამეურნეო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო სახსრების მოსაზიდად სარეალიზაციოდ უშვებენ აქციებს – ფასიან ქაღალდებს. ის ფიზიკური და

იურიდიული პირები, რომლებიც იძენენ გამოშვებულ აქციებს, იწოდებიან აქციონერებად. სამეურნეო შედეგებიდან გამომდინარე, ისინი მიიღებენ მოგებიდან გარკვეულ თანხას შეძენილი აქციების პროპორციულად. აქციონერთა მიერ აქციების მფლობელობის გამო საწარმოთა და ორგანიზაციებიდან მიღებულ მოგებას ეწოდება დივიდენდი.

როდესაც სააქციო საზოგადოება გამოაცხადებს დივიდენდების გაცემას, დივიდენდის მიმღები ორგანიზაცია აფიქსირებს, რომ მას ეკუთვნის სააქციო საზოგადოებიდან დივიდენდი. დივიდენდის ოდენობას საწარმო განსაზღვრავს ერთ აქციაზე გამოცხადებული დივიდენდის გამრავლებით დივიდენდის გამოცხადების მომენტში მის ხელთ არსებული აქციების რაოდენობაზე.

მიმღები საწარმო სააქციო საზოგადოების მიერ დივიდენდების გამოცხადების შემდეგ. კუთვნილი დივიდენდების მიღებაზე ასახავს შემდეგი ბუდალტრული გატარებულ, ვთქვათ აქციონერების მისაღები დივიდენდი შეადგენს 400 ლარს.

დ 1810 კ 8120 – 400 ლარი.

საგადასახადო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, აქციონერების მისაღების დივიდენდებიდან ხდება დივიდენდზე გადასახადის გამოქვითვა (10%), რომელიც აქციონერ საწარმოს შეუძლია ჩაითვალოს მოგების გადასახადის გადახდაში სათანადო დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, აქციონერი საწარმოში დაკავებული დივიდენდის გადახდას ასახავს ბუდალტრული გატარებით:

დ 3390 კ 1810 – 40 ლარი.

კუთვნილი დივიდენდის მიღებაზე გატარდება ბუდალტრული მუხლი

დ 1110 კ 1810 – 360 ლარი.

1820 – მისაღები პროცენტები. ეს ანგარიში გამოიყენება დებიტორზე დარიცხული პროცენტის აღსარიცხავად.

მაგალითად: დაერიცხა თამასუქს ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთი 4% (თამასუქის ნომინალური დირებულებაა 2000 ლარი)

დ 1820 კ 8110 – 80 ლარი.

1890 – სხვა დარიცხული მოთხოვნები. ეს ანგარიში გამოიყენება სხვა დარიცხული მოთხოვნების აღსანიშნავად, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ზემოთ გახსნილ ანგარიშებში.

მისაღები საურავის დარიცხვაზე გატარდება ბუდალტრული მუხლი, ვთქვათ, 100 ლარით

დ 1890 კ 8190 – 100 ლარი.

ხოლო საურავის მიღება საღაროში აისახება ბუდალტრული გატარებით

დ 1110 კ 1890 – 100 ლარი.

სხვა მიმდინარე აქტივების აღრიცხვა მიმდინარეობს ანგარიშზე 1900.

ეს ანგარიში განკუთვნილია იმ მიმდინარე აქტივების აღსარიცხავად, რომლებიც ზემოთ განხილულ 1000 – „მიმდინარე აქტივები“-ს ანგარიშებში არ არის გათვალისწინებული.

VIII. გრძელვადიანი აქტივები

გრძელვადიანი აქტივების ღირებულების დაზღენა.
საშემოსავლო გადასახადი.
ფასეულობების ანფასება.
აქტივების დაგეგმვის ხარჯები.
ბუნებრივი რესურსები.

გრძელვადიანი აქტივების ღირებულების დაზღენა. გრძელვადიან აქტივებს ეხსნებათ ანგარიში 2000. საწარმო თავისი საქმიანობის განხორციელებისას იყენებს როგორც გრძელვადიან, ისე მოკლევადიან აქტივებს.

გრძელვადიანი აქტივები შედგება მატერიალური და არამატერიალური გრძელვადიანი აქტივებისგან. მატერიალურ გრძელვადიან აქტივებს განეკუთვნება ძირითადი საშუალებები.

ბუნებრივი აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით – ძირითადი საშუალებები, ანგარიში 2100, არის მატერიალური აქტივები, რომლებიც: а) იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებისა და მომსახურების გასაწევად. იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის; ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

ძირითადი საშუალებები საწარმოს აქტივების შემადგენლობაში შესატანად უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ მოთხოვნებს, ბასს 16-ის (ბასს – ბუნებრივი აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები) მიხედვით, ძირითადი საშუალებები აღიარებულ უნდა იქნეს აქტივად, თუ:

ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;

ბ) საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედო შეფასება.

საგადასახადო კოდექსის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ძირითად საშუალებებს მიეკუთვნება აქტივები, რომელთა ღირებულება უნდა შეადგენდეს მოცემული მომენტისათვის დაწესებულ ლიმიტზე მეტს (დღისათვის 10000 ლარი).

ძირითადი საშუალებები საწარმოში შეიძლება მიღებულ იქნას სხვადასხვა გზით. კერძოდ, ნაღდი ფულის გადახდით, განვადებით – სათანადო პროცენტის გადახდით, უსასყიდლოდ, სხვა აქტივზე გაცვლით. საწარმომ ძირითადი საშუალებები შეიძლება შექმნას საკუთარი ძალით (მაგალითად: ააშენოს შენობა), მიიღოს გრანტის სახით და სხვა.

ძირითადი საშუალებების შეძენა ხდება მისი ფაქტიური თვითდირებულებით, რომელიც შეიცავს აქტივის შეძენისა და მის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანაზე გაწეულ ხარჯებს: ნასყიდობის ფასი, საწარმომდე ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა პირდაპირი ხარჯები.

სინთეზური ანგარიში 2100 – „ძირითადი საშუალებები“ – განკუთვნილია ძირითადი საშუალებების აღსარიცხავად. მოცემულ სინთეზურ ანგარიშს ეხსნება შემდეგი ანგარიშები:

- 2110 – მიწის ნაკვეთები
- 2120 – დაუმთავრებელი მშენებლობა
- 2130 – სენობები
- 2140 – ნაგებობები
- 2150 – მანქანა-დანადგარები
- 2160 – ოფისის აღჭურვილობა
- 21170 – ავეჯი და სხვა ინვენტარი

21180 – სატრანსპორტო საშუალებები

2190 – იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა

ძირითადი საშუალებები შეიძლება შეფასდეს თავდაპირველი ნარჩენი და აღდგენითი ღირებულებებით.

თავდაპირველი ღირებულებება – არის ყველა იმ ხარჯის ჯამი, რაც გაწეული იქნა მოცემული ობიექტის შეძენაზე.

აღდგენითი ღირებულებება – გულისხმობს ძირითადი საშუალებების რეალურ ღირებულებას თავისუფალი ფასებიდან გამომდინარე. აღდგენითი ღირებულების დადგენის მიზნით პერიოდულად ტარდება ძირითადი საშუალებების გადაფასება.

ნარჩენი (საბალანსო) ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც აისახება ძირითადი საშუალება ბალანსში დაგროვილი ცვეთის თანხის გამოკლებით ანუ ეს არის ექსპლოატაციაში მყოფი ძირითადი საშუალებების ღირებულების ის ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ჩამოწერილი ამორტიზაციის (ცვეთის) დარიცხვის გზით.

„ძირითადი საშუალებების“ ანგარიშზე აქტივების აღრიცხვა ხდება მათი შეზენის თვითდირებულებით, რომელიც შეძენის შემდგომი პერიოდის ბალანსში, მისი რეალური ღირებულებიდან გამომდინარე, ნარჩენი ღირებულებით აისახება. ეს იმას ნიშნავს, რომ ძირითადი საშუალებების ღირებულება იცვლება მისი საბაზრო ფასების ცვალებადობის გამო. ამიტომ ძირითადი საშუალებების ღირებულების გაზრდა ან შემცირება შესაძლებელია ჩამოფასების ან აფასების გზით.

ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება შესაბამისი დოკუმენტაციის (ანგარიშ-ფაქტურას, სასაქონლო ზედდებული, შესყისვის აქტი და სხვა) საფუძველზე და ფორმდება „ძირითადი საშუალებების მიღება-ჩაბარების“ აქტით, რომელშიც მითითებულია მათი ღირებულება და ძირითადი ტექნიკური მახსიათებლები.

ძირითადი საშუალებების შეძენა, უმრავლეს შემთხვევაში, ხორციელდება მომწოდებელთან ხელშეკრულების გაფორმებით, რომელშიც აღინიშნება ანგარიშსწორების ფორმა (ნადი ან უნადი), აქტივის ღირებულება, განადდების ვადა და სხვა.

მაგალითად: 1) შეძენილია მანქანა-დანადგარები 5000 ლარად

დ 2150 კ 1210 – 50000 ლარი,

2) კომპანიამ უსასყიდლოდ (ჩუქება) მიიღო სატრანსპორტო საშუალება 7000 ლარად (ნაჩუქარი ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება განისაზღვრება რეალური საბაზრო ღირებულებით)

დ 2180 კ 8190 – 7000 ლარი.

ნებისმიერი ობიექტი, რომელიც მიეკუთვნება ძირითად საშუალებებს (გარდა მიწის ნაკვეთებისა და დაუმთავრებელი მშენებლობისა), განიცდის ცვეთას, აღიარდება ხარჯად. ხარჯად აღიარება ხდება ცვეთის დარიცხვით, ცვეთის დარიცხვა არის პროცესი, რომლის დროსაც დგება აქტივის პირვანდელი ღირებულების სისტემატიური განაწილება მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

პერიოდს, რომლის განმავლობაში ძირითად საშუალებას შეუძლია მოიტანოს ეკონომიკური სარგებელი, სასარგებლო მომსახურების ვადა ეწოდება.

ძირითადი საშუალების ცვეთის აღსარიცხვად გამოიყენება სინთეზური ანგარიში 2200. „ძირითადი საშუალებების ცვეთა“, რომელიც კონტრალური ანგარიშია ანგარიშისათვის 2100 ძირითადი საშუალებები“.

„ძირითადი საშუალებების ცვეთა“ ანგარიში ემსახურება ძირითადი საშუალებების საბალანსო (ნარჩენი) ღირებულების დადგენას.

მოცემულ სინთეზური ანგარიშს ეხსნება შემდეგი ანგარიშები:

2230 – შენობების ცვეთა

- 2240 – ნაგებობების ცვეთა
 2250 – მანქანა-დანადგარების ცვეთა
 2260 – ოფისის აღჭურვილობის ცვეთა
 2270 – ავეჯის და სხვა ინვენტარის ცვეთა
 2280 – სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა
 2290 – იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობის ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის გეგმის შესადგენად აუცილებელია ცვეთის მეთოდის შერჩევა. ძირითადი საშუალებების გარკვეული ჯგუფისათვის შერჩეული ცვეთის მეთოდი უცვლელად უნდა იყოს გამოყენებული წლების მანძილზე. სამეწარმეო თვალსაზრისით, ცვეთის მეთოდების შერჩევაში შეზღუდვა არ არსებობს, მეთოდის შერჩევა დამოკიდებულია მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლობის ხასიათზე და იგი არ უნდა შეიცვალოს მანამ, სანამ არ შეიცვლება მოცემული აქტივიდან მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის ხასიათი.

მსოფლიო სააღრიცხვო პრაქტიკაში ყველაზე მეტად გავრცელებული მეთოდებია:

I. წრფივი ცვეთის მეთოდი. იგი გულისხმობს ობიექტის დირებულების თანაბარზომიერად ჩამოწერას მისი მომსახურების პერიოდში. აღნიშნული მეთოდი ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ ცვეთა დამოკიდებულია მხოლოდ მომსახურების ვადის ხანგრძლივობაზე. თითოეული პერიოდისათვის ცვეთა გაიანგარიშება ცვეთადი დირებულების გაყოფით ობიექტის ექსპლუატაციის ვადაზე.

წრფივი ცვეთის მეთოდის მიხედვით:

$$\text{წლიური ცვეთა} = \frac{\text{პირვანდელი დირებულება - სალიკვიდაციო დირებულება}}{\text{მომსახურების ვადა}}$$

სალიკვიდაციო დირებულება ეწოდება თანხას, რომელიც ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადის გასვლის შემდეგ მისი გაყიდვიდან ან ლიკვიდაციიდან მიღება.

ძირითადი საშუალებების პირვანდელ დირებულებასა და სალიკვიდაციო დირებულებას შორის სხვაობა წარმოადგენს ცვეთად დირებულებას.

მაგალითად დაუშვათ, ძირითადი საშუალებების პირვანდელი დირებულება 20000 ლარს შეადგენს, მისი სალიკვიდაციო დირებულება გათვალისწინებულია 5000 ლარის ოდენობით, ხოლო მისი მომსახურების ვადა ნავარაუდევია 5 წლის ხანგრძლივობით.

5 წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა შემდეგ სახეს მიიღებს:

შეძენის თარიღი	პირვანდელი დირებულება	ცვეთის წლიური ნორმა	ცვეთა ნაზარდი ჯამით	ნარჩენი დირებულება
I წელი	20 000	3 000	3 000	17 000
II წელი	20 000	3 000	6 000	14 000
III წელი	20 000	3 000	9 000	11 000
IV წელი	20 000	3 000	12 000	8 000
V წელი	20 000	3 000	15 000	5 000

როგორც ცხრილიდან ჩანს, 5 წლის განმავლობაში ცვეთის თანხა ერთნაირია, ჯამური (დაგროვილი) ცვეთა იზრდება თანაბარზომიერად და ასევე თანაბარზომიერად მცირდება ნარჩენი დირებულება.

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვაზე დგება ბუღალტრული მუხლი: დ 7170, 7350 ან 7455 „ცვეთა და ამორტიზაცია“, პ 2200.

მოცემული მაგალითის მიხედვით, ძირითად საშუალებას ცვეთა დაერიცხება ყოველწლიურად 5 წლის განმავლობაში შემდეგი ბუდალტრული გატარებით დ 7170 კ 2200 – 3000 ლარი.

II. მწარმოებლების პროპორციულად ცვეთის დარიცხვის მეთოდი

ეს მეთოდი გულისხმობს, რომ ყოველი პროდუქციის ერტეულის წარმოებისას თანაბარზომიერად ცვდება მის წარმოებაზე გამოყენებული ძირითადი საშუალებები.

ცვეთა პროდუქციის ერთეულზე გაიანგარიშება ფორმულით:

$$\text{ცვეთა პროდუქციის ერთეულზე} = \frac{\text{პირვანდელი ღირებულება} - \text{სალიკვიდაციო ღირებულება}}{\text{პროდუქციის წარმოების სავარაუდო მოცულობა}}$$

დაგუშვათ, მოცემული მაგალითის მიხედვით, ძირითადი საშუალების ზემოთ მოტანილი ობიექტი, მოემსახურება 150 000 ერთეული ნაწარმის შექმნას. მათ შორის I წელს გათვალისწინებულია 40 000 პროდუქციის ერთეულის, მეორე წელს – 35 000, III წელს – 32 000, IV წელს – 28 000, V წელს – 15 000 ერთეულის წარმოება.

ცვეთის დარიცხვა ყოველწლიურად ამ მეთოდის მიხედვით შემდეგნაირად მოხდება:

$$\text{ცვეთა პროდუქციის ერთეულზე} = \frac{20000 - 5000}{150000} = 0,1 \text{ ლარი}$$

ე. 1 ერთეული ნაწარმის შექმნაზე ძირითადი საშუალება ცვდება 0,1 ლარით

შეძენის თარიღი	პირვანდელი ღირებულება	ნაწარმის რაოდენობა	ცვეთის წლიური ნორმა	ცვეთა ნაზარდი ჯამით	ნარჩენი ღირებულება
I წელი	20 000	40 000	4 000	4 000	16 000
II წელი	20 000	35 000	3 500	7 500	12 500
III წელი	20 000	32 000	3 200	10 700	9 300
IV წელი	20 000	28 000	2 800	13 500	6 500
V წელი	20 000	15 000	1 500	15 000	5 000

როგორც ცხრილიდან ჩანს, აღნიშნული მეთოდის მიხედვით ცვეთის თანხა იზრდება შექმნილი პროდუქციის მოცულობის პროპორციულად, ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება მცირდება ასევე შექმნილი პროდუქციის მოცულობის პროპორციულად სალიკვიდაციო ღირებულებამდე.

ცვეთის დარიცხვაზე გატარდება ბუდალტრული მუხლი:

დ 7170 კ 220 – 4000 ლარი I წელს

დ 7170 კ 220 – 3500 ლარი II წელს

და ა.შ.

III. რიცხვთა ჯამის მეთოდი

აღნიშნული მეთოდის მიხედვით ყოველწლიური ვცეთის თანხა იანგარიშება ფორმულით:

$$\text{წლიური ცვეთა} = \frac{\text{დარჩენილი წლების რაოდენობა}}{\text{რიცხვთა ჯამი}} * \text{ცვეთადი ღირებულება}$$

სადაც რიცხვთა ჯამი – ეს არის ძირითადი საშუალების ექსპლუატაციის პერიოდში ყველა წლის რიცხვითი მნიშვნელობის ჯამი. მაგალითად: თუ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა 3 წელია, მაშინ რიცხვთა ჯამი $1+2+3=6$. რიცხვთა ჯამი გამოითვლება ფორმულით:

$$\text{რიცხვთა ჯამი} = \frac{n(n+1)}{2}$$

სადაც n – არის ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა.

ზემოთ მოყვანილი მაგალითის მიხედვით ყოველწლიური ცვეთის თანხის გაანგარიშება რიცხვთა ჯამის მეთოდით შემდეგნაირად მოხდება:

$$\text{რიცხვთა ჯამი} = \frac{5(5+1)}{2} = 15 \quad \text{ცვეთადი ღირებულება} = 20000 - 5000 = 15000$$

შეძენის თარიღი	პირვანდელი ღირებულება	ცვეთის წლიური ნორმა	ცვეთა ნაზარდი ჯამით	ნარჩენი ღირებულება
I წელი	20 000	$\frac{5}{15} * 15000 = 5000$	5 000	15 000
II წელი	20 000	$\frac{4}{15} * 15000 = 4000$	9 000	11 000
III წელი	20 000	$\frac{3}{15} * 15000 = 3000$	12 000	8 000
IV წელი	20 000	$\frac{2}{15} * 15000 = 2000$	14 000	6 000
V წელი	20 000	$\frac{1}{15} * 15000 = 1000$	15 000	5 000

როგორც ცხრილიდან ჩანს, ცვეთის თანხა ყველაზე მეტია ექსპლუატაციის პირველ წელს, მომდევნო წლებში კი თანდათანობით მცირდება

რიცხვთა ჯამის მეთოდს დაჩარებული ცვეთის მეთოდსაც უწოდებენ. დაჩარებული ცვეთის მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ძირითად საშუალებას ექსპლუატაციის დასაწყისში უფრო მეტი ცვეთა ერიცხება, ვიდრე მომსახურების ვადის ბოლოს. ამ მეთოდის გამოყენება გამართლებულია იმ თვალსაზრისით, რომ საწარმოო დანიშნულების ძირითადი საშუალებების მეტი ნაწილი უფრო ეფექტურად მოქმედებს ექსპლუატაციის პირველ წლებში. ცვეთის მეტი ნაწილის ჩამოწერა ხდება ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის დასაწყისში, რადგან მისი სარგებლიანობა და მწარმოებლობა ბევრად უფრო მაღალია პირველ წლებში, ვიდრე მომდევნო და ბოლო წლებში.

ცვეთის დარიცხვაზე გატარდება ბუღალტრული მუხლი

დ 7170 კ 2200 – 5000 ლარი I წელი

დ 7170 კ 2200 – 4000 ლარი II წელი

და ა.შ.

IV. საბადანსო ღირებულების შემცირების გეთოდი

საგადასახადო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, ძირითადი საშუალებები, რომლებიც ექვემდებარებიან ამორტიზაციას, დაყოფილია 5 ჯგუფად. თითოეულ ჯგუფს შეესაბამება ამორტიზაციის დადგენილი ნორმა პროცენტებში. ძირითადი საშუალებების ცვეთის წლიური დარიცხვის გაანგარიშება ხდება ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებიდან ჯგუფის შესაბამისი პროცენტის გაანგარიშებით.

მაგალითად: შეძენილია მსუბუქი ავტომანქანა ადმინისტრაციული საჭიროებისათვის 20 000 ლარად. (საგადასახადო კოდექსით მსუბუქი ავტომანქანა მოთავსებულია I ჯგუფში და ერიცხება ცვეთა ნარჩენი ღირებულების 20%). დაგარიცხოთ ცვეთა ავტომანქანას პირველი 5 წლის განმავლობაში.

შეძენის თარიღი	პირვანდელი ღირებულება	ცვეთის წლიური ნორმა	ცვეთა ნაზარდი ჯამით	ნარჩენი ღირებულება
I წელი	20 000	4 000	4 000	16 000
II წელი	20 000	3 200	7 200	12 800
III წელი	20 000	2 560	9 760	10 240
IV წელი	20 000	2 048	11 808	8 192
V წელი	20 000	1 638,4	13 446,4	6 553,6

გატარდება: I წ. 7170 კ 2280 – 4000 ლარი

II წ. 7170 კ 2280 – 3200 ლარი და ა.შ.

პრაქტიკაში აქტივის მიღება ხშირად არ ემთხვევა წლის დასაწყისს ან თვის პირველ რიცხვს. თუ ძირითადი საშუალება მიღებულია 15 რიცხვის ჩათვლით, მას ცვეთა ერიცხება მიმდინარე თვიდან, ხოლო თუ ძირითადი საშუალება მიღებულია 16 რიცხვიდან, მას ცვეთა ერიცხება მომდევნო თვიდან.

არასრული წლისათვის ცვეთის გამოთვლა ყველაზე მარტივია მწარმოებლობის მიხედვით., ვინაიდან ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა არა აქვს მიღების მომენტს.

არასრული წლისათვის წრფივი მეთოდით დასარიცხი ცვეთის თანხის დასადგენად ცვეთის წლიური თანხა (ჩვენი მაგალითის მიხედვით 3 000) იყოფა 12-ზე და მრავლდება მიღებიდან წლის ბოლომდე დარჩენილი თვეების რაოდენობაზე. თუ ჩვენს მაგალითში დაგუშვებთ, რომ აქტივი შეძენილი იყო 20 მარტს, მაშინ I არასრული წლის ცვეთის თანხა იქნება $\frac{3000}{12} * 9 = 2250$ ლარი

მომდევნო სრული წლებისათვის ცვეთის დარიცხვა იქნება:

$$20000 - 2250 = 17750; \quad \frac{17750 - 5000}{4} = 3187,5 \text{ ლარი.}$$

ანალოგიურად იანგარიშება პირველი არასრული წლის ცვეთა რიცხვთა ჯამის მეთოდით. თუ ვისარგებლებთ რიცხვთა ჯამის მეთოდის ზემოთ მოყვანილი პირობით და დაგუშვებთ, რომ აქტივი შეძენილი იყო 10 აპრილის, მაშინ I არასრული წლისათვის ცვეთის თანხა იქნება $\frac{5000}{12} * 9 = 3750$ ლარი, მომდევნო ცვეთა შეადგენს

$$\frac{(5000 - 3750) + 4000 * 9}{12} = 4250,$$

ანალოგიურად გაგრძელდება მომდევნო წლების ცვეთის თანხის გამოთვლა:

$$\text{III წელს: } \frac{4000 - 3000(*) + 3000 * 9}{12} = 3250 \quad \frac{*(4000 * 9)}{12} = 3000,$$

$$\text{IV წელს: } \frac{3000 - 2250(*) + 2000 * 9}{12} = 2250 \quad \frac{*(3000 * 9)}{12} = 2250,$$

$$\text{IV წელს: } \frac{2000 - 1500(*) + 1000 * 9}{12} = 1250 \quad \frac{*(2000 * 9)}{12} = 1500.$$

ცვეთის ჩამოწერა ხდება შემდეგი ბუღალტრული გატარებით:
დ 2200 კ 2100.

სინთეზური ანგარიში გრძელვადიანი მოთხოვნები – 2300 - განკუთვნილია იმ მოთხოვნების ადსარიცხავად, რომელთა განაღდება გათვალისწინებულია ბალანსის შედგენის თარიღიდან ერთი წლის ვადით. ასეთი მოთხოვნები შეიძლება დაკავშირებული იყოს გრძელვადიანი კრედიტით საქონლის გაყიდვასთან, ქონების ფინანსური იჯარით გაცემასთან და სხვა.

„გრძელვადიანი მოთხოვნების“ სინთეზურ ანგარიშს ეხსნება შემდეგი ანგარიშები:

2310 – მიღებული გრძელვადიანი თამასუქები.

2320 – ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები.

2330 – მოთხოვნები საწესდებო კაპიტალის შევსებაზე

2340 – გადავადებული საგადასახადო აქტივი

2390 – სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები

2310 – მიღებული გრძელვადიანი თამასუქები. გრძელვადიანი თამასუქების აღრიცხვა ხორციელდება მოკლევადიანი თამასუქების მსგავსად. გრძელვადიანი სათამასუქო მოთხოვნა წარმოიქმნება გაცემულ სესხების წარმოდგენის დროს, აგრეთვე აქტივების გრძელვადიანი კრედიტით რეალიზაციის დროს დებიტორის მიერ დავალიანების დროულად აუნაზღაურებლობის შემთხვევაში.

მაგალითად: რეალიზებული გრძელვადიანი კრედიტი 6000 ლარის საქონელი, რაზედაც შედგება ბუღალტრული მუხლი:

დ 2390 კ 6110 – 6000 ლარი.

ვთქვათ, დებიტორმა ვერ აანაზღაურა აღნიშნული დავალიანება და ხელშეკრულება შეიცვალა გრძელვადიანი თამასუქით წლიური საპროცენტო განაკვეთით 10% ვადა სამი წელი.

დ 2310 კ 2390 – 6000 ლარი.

პროცენტის შემოსავლად აღიარება მოხდება შემდეგი ბუღალტრული გატარებით

დ 1820 კ 8110 – 600 ლარი.

დაუშვათ, დებიტორმა მიმდინარე წელს უნდა აანაზღაუროს გრძელვადიანი თამასუქის ნაწილი 2000 ლარი. ამ ოპერაციაზე გატარდება ბუღალტრული მუხლი

დ 1520 კ 2310 – 2000 ლარი.

დებიტორის მიერ თამასუქის აღნიშნული ნაწილის დაფარვის დროს გატარდება ბუღალტრული მუხლი

დ 1110 კ 1520 – 2000 ლარი,

ხოლო საპროცენტო თანხის მიღება აისახება შემდეგი გატარებით

დ 1110 კ 1820 – 600 ლარი.

2320 – ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები. იჯარა ეს არის მხარეთა ურთიერთშეთანხმება, რომლის თანახმად მეიჯარე (ქონების იჯარით გამცემი) შემოსავლის გაცემის მიზნით, მოიჯარეს (ქონების იჯარით მიმღები)

გადასცემს აქტივის გამოყენების უფლებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში.

საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით არსებობს ორი ტიპის იჯარა. ფინანსური იჯარა და საოპერაციო იჯარა. საიჯარო ურთიერთობების ასეთი კლასიფიკაცია ეყრდნობა იმას, თუ როგორ არის განაწილებული იჯარით გაცემულ აქტივთან დაკავშირებული რისკები და ეკონომიკური სარგებელი მეიჯარესა და მოიჯარეს შორის.

ფინანსური იჯარა, როდესაც აქტივებთან დაკავშირებული გველა მნიშვნელოვანი რისკი და ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა მოიჯარეს. საკუთრების უფლება შეიძლება გაცემული იქნას ან არა.

რისკი გულისხმობს სიმძლავრეთა მოცდენის ან ტექნიკურად მოძველების გამო ზარალის მიღების ალბათობას, ასევე ეკონომიკური პირობების გამო მოგების მერყეობას.

ეკონომიკური სარგებელი არის აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადაში საგარაუდო მომგებიანი ოპერაციის, ასევე აქტივების გაძვირების ან სალიკვიდაციო დირებულების რეალიზაციიდან შემოსავლების მიღების ალბათობა.

ფინანსურია იჯარა, თუ ხრულდება რომელიმე პირობა:

ხელშეკრულების თანახმად, მოიჯარეს გადაეცემა აქტივის საკუთრების უფლება იჯარის ვადის დამთავრების შემდეგ.

ხელშეკრულების თანახმად, მოიჯარეს უფლება აქვს შეიძინოს აქტივი იმ რეალურ დირებულებაზე მნიშვნელოვანად დაბალი ფასით, რომელიც აქტივს გააჩნია უფლების გამოყენების მომენტში, ხოლო იჯარის ვადის დასაწყისში არსებობს ამ უფლების გამოყენების დიდი ალბათობა.

იჯარის ვადა მოიცავს აქტივის სასარგებლო მოხმარების ვადის მირითად, მნიშვნელოვან ნაწილს მიუხედავდ იმისა, რომ საკუთრების უფლება არ გადაეცემა.

იჯარის ვადის დასაწყისისათვის მიმდინარე საიჯარო გადასახადის დისკონტირებული დირებულება უკიდურეს შემთხვევაში შეადგენს იჯარით აღებული აქტივის პრაქტიკულად მთლიან რეალურ დირებულებას.

თუ მოიჯარეს შეუძლია გააუქმოს იჯარა, გაუქმებასთან დაკავშირებული ზარალის ანაზღაურება ეკისრება მოიჯარეს.

მოიჯარეს უფლება აქვს გააგრძელოს იჯარა მეორე ვადის საბაზრო დონეზე მნიშვნელოვანად დაბალი საიჯარო გადასახადით.

მაგალითად: გაცემულია ფინანსური იჯარით მანქანა-დანადგარი 5 წლის ვადით 10 000 ლარად, ეს ოპერაცია აისახება ბულალტრული გატარებით

დ 2320 კ 2150 – 10 000 ლარი.

ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაფარვა ხდება ყოველწლიურად მიმდინარე ნაწილის მოკლევადიან მოთხოვნაში გადატანით.

ვთქვათ, მოცემულ მაგალითში მოიჯარის მიერ მიმდინარე წელს გადასახდელია საიჯარო ქირის ნაწილი 2.000 ლარი, რაზედაც გატარდება ბულალტრული მუხლი

დ 1470 კ 2320 – 2000 ლარი.

როდესაც მოიჯარეს მიერ შემოტანილი იქნება მიმდინარე წლის საიჯარო გადასახდელი 2000 ლარი, გატარდება ბულალტრული მუხლი:

დ 1110 კ 1470 – 2000 ლარი

ფინანსური იჯარის დროს აქტივი აისახება მოიჯარის ბალანსზე და მათ ცვეთა ერიცხება ჩვეულებრივ.

ყველა იჯარა, როგორიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად, წარმოადგენს ჩვეულებრივ იჯარას.

ჩვეულებრივი (საოპერაციო) იჯარის შემთხვევაში აქტივის გადაცემით მოიჯარეს არ გადაეცემა ამ აქტივთან დაკავშირებული რისკი და ეკონომიკური სარგებელი. აქტივი აღირიცხება მეიჯარესთან.

მაგალითად: გაცემულია ჩვეულებრივი იჯარით შენობა 2 000 ლარად, ეს ოპერაცია აისახება დარიცხული მოთხოვნების სახით შემდეგი ბუღალტრული გატარებით:

დ 1890 კ 8190 – 2000 ლარი.

საიჯარო ქირის მიღების შემთხვევაში გატარდება ბუღალტრული მუხლი დ 1110 კ 1890 – 2000 ლარი.

2330 – მოთხოვნები საწესდებო კაპიტალის შევსებაზე. საწესდებო კაპიტალის შევსებასთან დაკავშირებული მოთხოვნები წარმოიშობა მაშინ, როდესაც პარტნიორს სრული ოდენობით არა აქვს საწესდებო მოთხოვნა შესრულებული. თუ წესდებით განსაზღვრული არ არის საწესდებო მოთხოვნის შესრულების ვადა, იგი თავიდან გრძელვადიან მოთხოვნებს მიეკუთვნება. პარტნიორის მიერ საწესდებო კაპიტალის შევსებაზე მოთხოვნა, ვთქვათ 10 000 ლარზე, გატარდება შემდეგი ბუღალტრული მუხლით

დ 2330 კ 5100 – 10000 ლარი.

თუ პარტნიორი თავისი ინიციატივით შეასრულებს საწესდებო მოთხოვნას, გატარდება ბუღალტრული მუხლი

დ 1210 კ 2330 – 10000 ლარი.

შესაძლებელია, პარტნიორების გადაწყვეტილების საფუძველზე აღნიშნული მოთხოვნა გადავიდეს მოკლევადიანი მოთხოვნების ანგარიშზე, რათა კაპიტალის შევსება მოხდეს ნაწილ-ნაწილ. ვთქვათ მიმდინარე წელს პარტნიორს მოეთხოვოს საწესდებო კაპიტალის შევსება 50 000 ლარით, რაზედაც გატარდება ბუღალტრული მუხლი

დ 1460 კ 2330 – 5000 ლარი.

მოთხოვნის დაფარვა შეიძლება მოხდეს ფულის ან სხვა აქტივების შეტანით
დ 1210 კ 1460 – 5000 ლარი..

2340 – გადავადებული საგადასახადო აქტივი. ამ ანგარიშზე აისახება გადავადებული საგადასახადო აქტივი, რომლის წარმოშობა გამოწვეულია საფინანსო (სააღრიცხვო) და საგადასახადო მოგებას შორის სხვაობით. თუ სააღრიცხვო მოგების მიხედვით გაანგარიშებული მოგების გადასახადი ნაკლებია საგადასახადო მოგებიდან გაანგარიშებულ მოგების გადასახადზე, მაშინ წარმოიქმნება მოთხოვნა გადავადებულ საგადასახადო აქტივზე.

ვთქვათ, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით გაანგარიშებული მოგების გადასახადი შეადგენს 200 ლარს, ხოლო საგადასახადო კოდექსის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მოგების გადასახადი შეადგენს 220 ლარს, მაშინ გვექნება ბუღალტრული გატარება

დ 9210 კ 3310 – 200 ლარი,

დ 2340 კ 3310 – 20 ლარი.

2390 – სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები. ამ ანგარიშზე აღირიცხება ის გრძელვადიანი მოთხოვნები, რომელიც ზემოთ განხილულ ანგარიშებში არ არის გათვალისწინებული.

ბასეს-ის მიხედვით არამატერიალური აქტივები ანგარიში **2500** არის იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი, რომელსაც არ გააჩნია ფიზიკური ფორმა და საწარმო ფლობს საქონლის ან მომსახურების, წარმოებისა და მიწოდების პროცესში გამოსაყენებლად, სხვაზე იჯარით გადასაცემად ან აღმინისტრაციული მიზნებისათვის. არამატერიალური აქტივები უნდა აქმაყოფილებდეს შემდეგ 3 პირობას: 1) როგორც აქტივი იგი უნდა იყოს საწარმოს მიერ კონტროლირებადი; 2) უნდა იძლეოდეს ეკონომიკურ სარგებელს; 3) უნდა იყოს იდენტიფიცირებადი.

საწარმო აქტივს აკონტროლებს მაშინ, თუ მას გააჩნია უფლება მოცემული რესურსიდან მიიღოს მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამავე დროს შეუძლია, სხვას აუკრძალოს ამ აქტივის გამოყენება.

არამატერიალური აქტივებიდან მომავალში მისაღები ეკონომიკური სარგებელი მოიცავს საქონლის ან მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებს, დანახარჯების ეკონომიას ან სხვა სარგებელს, რომელიც ამ აქტივების გამოყენების შედეგია.

– არამატერიალური აქტივის იდენტიფიცირებადობა მოითხოვს მის მკვეთრად გამიჯვნას გუდვილისაგან, რომელიც წარმოიშობა საწარმოთა გაერთიანების შედეგად და იგი წარმოადგენს მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოლოდინში გადახდილ საფასურს.

არამატერიალური აქტივები იყოფა კლასებად, როგორიცაა: а) სავაჭრო ნიშანი; 2) პერიოდული გამომცემლობისა და პუბლიკაციის დასახელება; გ) კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა; დ) ლიცენზია და ფრანჩაიზი; ე) საავტორო უფლება, პატენტი და უფლება სამრეწველო საკუთრებაზე, მომსახურებისა და ექსპლუატაციის უფლება; ვ) რეცეპტი, ფორმულა, ნახატი და პროტოტიპი; ზ) დამუშავების პროცესში მყოფი არამატერიალური აქტივი.

განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

სავაჭრო ნიშანი – არის კომპანიების, მათი პროდუქციის დასახელება, ტერმინი, რომელიც განკუთვნილია ამა თუ იმ საქონლის (მომსახურების) იდენტიფიცირებისა და სხვა საწარმოთა საქონლისაგან განსხვავებისათვის.

საავტორო უფლება წარმოადგენს ლიტერატურაში, ხელოვნებაში და მეცნიერებაში შესრულებული ნაშრომების ავტორთა უფლებას ამ ნაშრომების მონოპოლიაზე. ეს უფლება დაცულია კანონით და საავტორო უფლების დარღვევა სისხლის სამართლის საქმედ ითვლება. საავტორო უფლების სხვაზე გადაცემა ფორმდება კონტრაქტით.

ფრანჩაიზი – წარმოადგენს უფლების გადაცემას ძირითადი საშუალებების, სავაჭრო მარკების, მატერიალური და არამატერიალური აქტივების გამოყენებაზე. იგი გაიცემა მეწარმეზე და უფლებას აძლევს, აწარმოოს ან ივაჭროს განსაზღვრული სახის საქონლით ან მომსახურებით განსაზღვრულ რეგიონში შეთანხმებული პერიოდის განმავლობაში. მეწარმე ამ უფლებისათვის გარდამაშვილ საზღაურს იხდის. ფრანჩაიზი თავისი ბუნებით ლიცენზიის იდენტურია.

კოპირაიტი (*Copy right* - უფლება ტირაჟირებაზე) – წარმოადგენს სახელმწიფოსაგან ლიტერატურის, მუსიკის, კონოს, ხელოვნების ნიმუშების და სხვა მასალების გამოცემასა და რეალიზაციაზე უფლების მოპოვებას.

ინტელექტუალური საკუთრება (ნოუ ჰაუ - ვიცი, როგორ) არის სამეცნიერო, მმართველობითი, კომერციული, ფინანსური და სხვა სახის გამოცდილება ან ცოდნა, რომელიც გამოყენებული იქნება სამეცნიერო გამოკვლევებში და სხვა.

არამატერიალური აქტივი საწარმოში შეიძლება შემოვიდეს სხვადასხვა გზით, საწარმომ შეიძლება იგი შეიძინოს, გაცვალოს სხვა მატერიალურ და არამატერიალურ აქტივზე, მიიღოს სახელმწიფო გრანტის სახით ან შექმნას თვითონ.

არამატერიალური აქტივები თავდაპირველად ფასდება მათი შეძენის თვითდირებულებით, რომელიც მოიცავს ყველა დანახარჯს, რაც დაკავშირებულია ამ აქტივის შეძენასთან.

არამატერიალური აქტივების აღსარიცხავად გამოყენებულია სინთეზური ანგარიში 2500 „არამატერიალური აქტივები“. მას ეხსნება შემდეგი ანგარიშები:

2510 – ლიცენზიები

2520 – კონცესიები

2530 – პატენტები

2540 – გუდვილი

2590 – სხვა არამატერიალური აქტივები.

2510 – ლიცენზიები. ლიცენზია არის სახელმწიფო ორგანოსაგან მიღებული ნებართვა გარკვეული სახის საქმიანობის განსახორციელებლად. საქართველოს კანონი სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ განსაზღვრულია ლიცენზიით ნებადართული საქმიანობის სახეები და ლიცენზიის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოები.

2520 – კონცესიები. კონცესია წარმოადგენს სახელმწიფოსაგან მიღებულ უფლებას ბუნებრივი სიმდიდრეების, საბადოების, წიაღისეულისა და მიწის ნაკვეთების განსაზღვრული პირობებით ექსპლუატაციაში გადაცემაზე. სელშეკრულება ფორმდება სახელმწიფო ან მუნიციპალურ ხელისუფლებასა და კერძო მეწარმეებს ან უცხოურ ფირმას შორის.

2530 – პატენტები. პატენტი არის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გამოგონების სახელმწიფოებრივ აღიარებას და ანიჭებს მის ავტორს ამ გამოგონებაზე საავტორო უფლებას. პატენტის მფლობელი უფლებამოსილია გამოგონების გამოყენების უფლება გადასცეს სხვა პირს.

არამატერიალური აქტივების შეძენაზე გატარდება ბუდალტრული მუხლი. მაგალითად: შეძენილია არამატერიალური აქტივი, ფული გადარიცხულია საბანკო ანგარიშიდან

დ 2500 კ 1200.

2540 – გუდვილი. საწარმოს შეიძლება ჰქონდეს კარგი საქმიანი რეპუტაცია, რომლის წარმოშობის მიზეზებია: პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია, მათი საქმიანი კულტურა, გამოცდილება და პროფესიონალიზმი, საწარმოს კავშირები მომწოდებლებთან, საწარმო შეიძლება ცნობილი იყოს როგორც მაღალი ხარისხის პროდუქციის ან მომსახურების მიმწოდებელი, საწარმოს შეიძლება ჰქონდეს კარგი ტერიტორიული მდებარეობა და სხვა. ყველა ეს ფაქტორი მონაწილეობას დებულობს დამატებითი ეკონომიკური სარგებლის მიღებაში.

ზოგადად, ფირმის რეპუტაციას უწოდებენ გუდვილს. გუდვილი შეიძლება იყოს ჩამოყალიბებული საწარმოს შიგნით, მას უწოდებენ თანდართულ გუდვილს და შეძენილი, რომელიც მიღება სხვა საწარმოს შეძენის ან სხვა საწარმოსთან გაერთიანების დროს. შიდა გუდვილის შეფასება პრაქტიკულად შეუძლებელია, მისი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი გაიყიდება საწარმოსთან ერთად. როდესაც იყიდება მაღალი საქმიანი რეპუტაციის საწარმო, მყიდველი მასში ამ რეპუტაციის გამო იხდის უფრო მეტს, ვიდრე მისი წმინდა აქტივების რეალური დირებულებაა. მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღების იმედით მყიდველი შეძენილ საწარმოში თავისი ნებით იხდის უფრო მეტს, ვიდრე მისი წმინდა აქტივის რეალური დირებულებაა, ამიტომ საწარმოს ყიდვის დროს საბაზრო ფასზე ზევით გადახდილი ნამატი თანხა მყიდველისათვის წარმოადგენს არამატერიალურ აქტივს. სხვაობა შესყიდვის თვითდირებულებასა და წმინდა აქტივების რეალურ დირებულებას შორის წარმოადგენს გუდვილს.

გუდვილი წარმოიშობა საწარმოთა გაერთიანების შედეგად, რომელიც განიხილება როგორც შეძენა და წარმოადგენს სხვაობას შესყიდვის თვითდირებულებასა და შეძენილი აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ დირებულებას შორის.

მაგალითად: საწარმომ შეიძინა საწარმო 50 000 ლარად. სინამდვილეში საწარმოს აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ფასია 40 000 ლარი. ამ ოპერაციაზე გატარდება ბუდალტრული მუხლი

დ 2100 კ 1210 – 40 000 ლარი,

დ 2540 კ 1210 – 10 000 ლარი.

შესყიდვების შედეგად შეიძლება წარმოიშვას უარყოფითი გუდვილი მაშინ, როდესაც შესყიდვის თვითლირებულება ნაკლები აღმოჩნდება შესყიდული წმინდა აქტივის რეალურ ღირებულებაზე.

უარყოფითი გუდვილი ფაქტობრივად ასახავს წმინდა აქტივების შეძენას ფასდათმობით. მაგალითად: მოცემულ მაგალითში დავუშვათ, რომ მყიდველმა საწარმომ გადაიხადა 35 000 ლარი, მაშინ მივიღებთ უარყოფით გუდვილს

დ 2100 კ 1210 – 35 000 ლარი,

დ 2110 კ 2540 – 5 000 ლარი.

2590 – სხვა არამატერიალური აქტივები. ამ ანგარიშზე აისახება ის არამატერიალური აქტივები, რომელიც ზემოთ განხილულ ანგარიშებში არ არის გათვალისწინებული.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია - **ანგარიში 2600** - არის ამორტიზირებადი თანხის სისტემური განაწილება მისი სასარგებლო მოხმარების ვადაში. ზოგიერთ აქტივზე გამოყენების ვადა განისაზღვრება იურიდიული უფლებით (მაგალითად: საავტორო უფლება, ლიცენზია), ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ვადა არ არის შეზღუდული იურიდიულად, მაშინ გამოყენების ვადა დგინდება ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, მაგრამ ბასს 38-ის თანახმად, სასარგებლო მოხმარების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 20 წელიწადს, მისი გამოყენების დაწყების დროიდან.

არამატერიალური აქტივის ამორტიზაცია შეიძლება დაირიცხოს სხვადასხვა მეთოდით, კერძოდ წრფივი დარიცხვის, რიცხვთა ჯამით, პროდუქციის ერთეულზე მწარმოებლობის მეთოდების გამოყენებით. ამორტიზაციის მეთოდის არჩევა ხდება წარმოების მიერ მისაღები ეკონომიკური სარგებლის გრაფიკის საფუძველზე. თუ შეუძლებელი იქნება ასეთი გრაფიკის საიმედოდ შეფასება, მაშინ გამოყენებული უნდა იქნეს წრფივი ამორტიზაციის მეთოდი.

2600 „არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია“. მას არამატერიალური აქტივების ანგარიშების შესაბამისად ეხსნება შემდეგი ანგარიშები.

2620 – ლიცენზიების ამორტიზაცია

2620 – კონცესიების ამორტიზაცია

2630 – პატენტების ამორტიზაცია

2640 – გუდვილის ამორტიზაცია

2690 – სხვა არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია

მაგალითად: კომპანიამ შეიძინა პატენტი, რომლის მოქმედების ვადა შეადგენს 5 წელს, 15 000 ლარად. ამ ოპერაციაზე გატარდება ბუღალტრული მუხლი

დ 2530 კ 1210 – 15 000 ლარით.

საწარმომ მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ გამოყენებულ იქნას ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი, რომლის თანახმად წლიური ცვეთა იქნება $15\ 000 / 5 = 3\ 000$ ლარია.

ყოველწლიურად პატენტებზე დარიცხული წლიური ამორტიზაცია ბუღალტრულად გაფორმდება შემდეგი გატარებით

დ 7455 კ 2630 – 3000 ლარი.

ვთქვათ, კომპანიამ პატენტი გამოიყენა მხოლოდ 3 წლის განმავლობაში, ამ პერიოდში პატენტს დაერიცხა ცვეთა

დ 7455 კ 2630 – 9000 ლარი.

პატენტის ნარჩენი დირებულება (15 000 – 9 000) უნდა ჩამოიწეროს და ვაღიაროთ, როგორც ზარალი

დ 2630 კ 2530 – 9000 ლარი,

დ 8221 კ 2530 – 6000 ლარი .

გრძელვადიან ინვესტიციებს წარმოგიდგენთ კაპიტალურ ინვესტიციებში ბუნებრივი რესურსები ხასიათდება მრავალფეროვანებით. საქართველოში ბუნებრივი რესურსები ხასიათდება საფრთხე ექმნება მათ არსებობას. საქმაო ზიანი მოაქვს მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას, ომს, შიდა სახელმწიფოებრივ კონფრონტაციებს. 1996 წელს 10 დეკემბერს იყო მიღებული კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, რომელიც ქმნის საქართველოს გარემოსდაცვით ერთიან სისტემას.

ისტორიიდან ვიცით, რომ ჯერ კიდევ თამარ მეფის კარზე იყო თანამდებობა „ტყეთუხუცესი“, რომელიც ხელმძღვანელობდა სტრატეგიული და სამონადირეო ტყის დაცვას. სამართლებრივი დაცვა აღწერილია ასევე ვახტანგ VI-ეს „დასტურლამალში“, „ჰელიულთა კრებულში“.

საქართველოში ჩართულია ბუნებათსარგებლობასთან ისეთ გლობალურ ხელშეკრულებებში როგორიცაა:

- ბიომრავალფეროვნების დაცვის კონცეფცია. მიღებულია 1992 წელს გაეროს რიო-დე-ჟანეიროს მსოფლიო სამიტზე, საქართველო შეურთდა 1994 წელს;
- კლიმატის ცვლილებები ჩარჩო-კონვენცია, მიღებულია 1992 წელს, საქართველო შეურთდა 1996 წელს. მიმდინარეობდა კლიმატის ცვლილებების ეროვნული პროგრამის შემუშავება გაეროს განვითარების პროგრამის გრანტით;
- ვენის კონვენცია ოზონის შრის შესახებ და მონიტორინგის ოქმი;
- ფლორისა და ფაუნას იშვიათი და გადაშენების პირას მისული სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის კონვენცია. საქართველო ამ კონვენციას შეუერთდა 1996 წელს. წყალჭაობიანი ტერიტორიების დაცვის კონვენცია (ე.წ. რამსის კონვენცია, 1992 წ.);

ასევე 1992 წელს იყო დადგებული რეგიონული ხელშეკრულება შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის კონვენცია (ე.წ. ბუქარესტის კონვენცია, 1992წ.). 1997 წელს დაიდო ორმხრივი სამთავრობო ხელშეკრულებები აზერბაიჯანთან, სასომხეთთან, თურქეთთან და საბერძნეთთან.

საქართველოს მოგებიანი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა განაპირობებს გარკვეული მასალების მოპოვების შესაძლებლობას. არსებობს მარმარილო, ტუფი, ნავთობი, მარგანეცი, ცემეტნის ნედლეული, ხის მასალა, თიხა და სხვა მრავალი.

IX. ვალდებულებები

განხილული საკითხები :
მიმდინარე ვალდებულებები
გადასახადები და მათ ანგარიში
გრძელვადიანი ვალდებულებები

მიმდინარე ვალდებულებების ანგარიში. ვალდებულება არის საწარმოს მოგალეობა ან პასუხიმგებლობა, რომლის შესრულება გარკვეულ ნორმებს ექვემდებარება.

ის წარმოიშვება ყოველდღიურად საწარმოო-ეკონომიკური საქმიანობის წარმართვასთან ერთად. საწარმო საქმიანობის დაწყებისთანავე განსაზღვრავს თუ რა დროით იდებს ამ ვალდებულებებს თავზე. ვალდებულებებინ წარმოიშვება ხელფასების და ავანსების გაცემასთან დაკავშირებით, მასალების შესყიდვის, შენახვის და ტრანსპორტირების დროს, სხვა კომპანიებთან ხელშეკრულებების დადების დროს და ა.შ.

ვალდებულებების დაფარვა სხვადასხვა გზით შეიძლება მოხდეს : ფულადი სახსრების გადახდით, სხვა აქტივების გადაცემით, მომსახურების გაწევით, ერთი ვალდებულების მეორეთი შეცვლით ან ვალდებულების საკუთარი კაპიტალად გადაქცევის გზით, ან კრედიტორის მიერ მისაღებ თანხაზე უარის თქმით, კრედიტორობის უფლების კონფისკაციით.

როგორც წესი ვალდებულება წარმოიშვება წარსულ პერიოდში სამეურნეო საქმიანობის შედეგად და მის დაფარვას ესაჭიროება გარკვეული დრო. მაგალითად, ბანკიდან აღებული სესხი უკვე წარმოშობს ვალდებულებას, რომელიც უნდა დაიფაროს სასესხო საბუთში აღნიშნულ დროში. ბალანსში ვალდებულების ასახვა მაშინ ხდება, როდესაც მისი დაფარვის ვადა გადადის მეორე წელზე ან დროულად არ ხერხდება მისი დაფარვა.

ვალდებულება როგორც სხვა ყველა ხარჯი საჭიროებს კლასიფიცირებას – დაჯგუფებას დანიშნულების და ფუნქციების მიხედვით.

ბასს 1-ს მოთხოვნის შესაბამისად ყოველმა საწარმომ, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, თვითონ უნდა გადაწყვიტოს ასახავს თუ არა გრძელვადიან და მოკლევადიან ვალდებულებებს ერთად თუ ცალკე, მაშინ თუ ის ვალდებულებებს ართად ასახავს, მაშინ მათი წარდგენა უნდა მოხდეს ლიკვიდობის მიხედვით.

ლიკვიდობა ნიშნავს რეალიზაციის, გაყიდვებს, მაგრიდალური ან სხვა ფასეულობების ფულად სახსრებად გადაქცევა ფინანსური ვალდებულებების დაფარვის მიზნით. ლიკვიდობა – აქტივების თვისებაა ფულად სახსრებად ქცევის, თავისი ფიქსირებული ნომინალური ღირებულების შენარჩუნებით.

აქტივების ნომინალური ღირებულება ნეტო ღირებულება არის ნარჩენი ღირებულება ყველა ვალების დაფარვის შემდეგ (Net Asset Value).

ბალანსის შედგენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში დასაფარავი ვალდებულებები არის მოკლევადიანი, სხვა დანარჩენი ითვლება გრძელვადიან ვალდებულებებად. (ბასს 1. პუქტი 60).

მოკლევადიანი ვალდებულებები ისევე როგორც მიმდინარე აქტივები იყოფა კატეგორიებად. მაგალითად, დასაფარი სახელფასო ვალდებულებები, დარიცხული საწარმოო ხარჯები და სავაჭრო ვალდებულებები ითვლებიან მოკლევადიან ვალდებულებებად მაშინაც კი, როდესაც მათი დაფარვის დრო გადადის მეორე სააგარიშებო წელიწადზე.

ვალდებულებებს მინიჭებული აქვს ანგარიშთა გეგმის კოდი – **3000**. ვალდებულებები საწარმოს მიმდინარე პერიოდის მოვალეობაა, რომელიც წარმოიშვა წარსული სამეურნეო ოპერაციის შედეგად და რომლის შესრულება გულისხმობს საწარმოს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასავალს საწარმოდან.

ვალდებულება წარმოიშობა ყოველდღიური სამეურნეო საქმიანობის პირობებში. ვალდებულების დაფარვა გულისხმობს საწარმოს ეკონომიკური რესურსების გადინებას მევალის ინტერსების დასაკმაყოფილებლად.

ვალდებულებები დაფარვის ვადის მიხედვით იყოფა მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად.

ცალკე გამოვყოფთ მოკლევადიან ვალდებულებებს.

მოკლევადიანია ვალდებულებები, მოკლევადიანია ვალდებულება, როდესაც მისი დაფარვა მოსალოდნელია მიმდინარე საწარმოო ციკლის ან ბალანსის შედგენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში.

ყველა სხვა ვალდებულება ითვლება გრძელვადიან ვალდებულებად. მოკლევადიანი ვალდებულებების აღსარიცხავად გამოიყენება სინთეზური ანგარიში 3100 „მოკლევადიანი ვალდებულებები“. აღნიშნული ვალდებულებები წარმოიშობა სახელშეკრულებო პირობებიდან და განსხვავებული ბუნების მატარებლები არიან. მოცემულ სინთეზურ ანგარიშს ეხსნება შემდეგი ანალიზური ანგარიშები:

3110 – მოწოდებიდან და მომსახურეობიდან წარმოქმნილი ვალდებულებები

3120 – მიღებული ავანსები

3130 – გადასახდელი ხელფასები

3140 – როიალტი

3150 – საკომისიო გადასახადები

3160 – ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე

3170 – ვალდებულებები მეკავშირე საწარმოების წინაშე

3190 – სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

3110 – მოწოდებიდან და მომსახურეობიდან წარმოქმნილი ვალდებულებები.

ეს ანგარიში განკუთვნილი მიღებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა, შესრულებულის სამუშაოებისა და მომსახურებისათვის მომწოდებლისათვის გადასახდელი თანხით წარმოშობილი კრედიტორული დავალიანების აღსარიცხად. სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას საწარმო გარეშე პირებისაგან შეიძენს საწარმოო მარაგს და მომსახურებას. შეძენა შეიძლება მოხდეს მომწოდებელზე ფულის შემდგომში გადახდით. შემდგომი გადახდით შეძენას კრედიტით შეძენას უწოდებენ და იგი გულისხმობს გადახდის გადავადებას სახელშეკრულებო პირობით და ვადით, მომწოდებლის ვალის დროული გადაუხდელობის სემთხვევაში წარმოშობა ვალდებულება, რომელსაც სავაჭრო ვალდებულებას უწოდებენ. სავაჭრო ვალდებულება მოიცავს ყველა იმ თანხას, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს მომწოდებლის სასარგებლოდ. სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება ანგარიშზე – 3110 „მოწოდებიდან და მომსახურეობიდან წარმოქმნილი ვალდებულებები“. ეს ანგარიში პასიურია, მის კრედიტი იწერება ვალდებულებების წარმოქმნა, ხოლო დებეტში დაფარვა.

მაგალითად: 1) მომწოდებელისგან კრედიტით შეძენილია 5 000 ლარის ღირებულების საქონელი. მისი დაფარვა უნდა მოხდეს 30 დღეში. ამ ოპერაციაზე გატარდება ბუღალტრული მუხლი

დ 1610 კ 3110 – 5 000 ლარი.

2) დაფარული მომწოდებლის ვალი 5 000 ლარი ეროვნული ვალუტის საბანკო ანგარიშიდან

დ 3110 კ 1210 – 5000 ლარი.

3120 – მიღებული ავანსები. მყიდველსა და მომწოდებელს შორის სავაჭრო ურთიერთობებში ხშირად გამოიყენება წინასწარი გადახდა. მყიდველის მიერ წინასწარ გადახდილი თანხები მომწოდებელ საწარმოში აისახება მიღებული ავანსების სახით. საწარმოს ევალება მიღებული ავანსის სანაცვლოდ აქტივის მიწოდება ან მომსახურების გაწევა. მაგალითად: 1) მყიდველის მიერ გადახდილია ავანსი 1 000 ლარი საქონლის შესაძენად. ავანსის მიღება ბუღალტრულად გატარდება

დ 1110 კ 3120 – 1 000 ლარი.

2) როდესაც საქონელი მიეწოდება მყიდველს, გატარდება ბუღალტრული მუხლი

დ 1320 კ 6110 – 1 000 ლარი.

3130 – გადასახდელი ხელფასები. შრომითი კანონმდებლობის შესაბამისად, მუშა-მოსამსახურებს დახარჯული შრომისათვის ეძლევათ ხელფასი, ხელფასი გაიცემა პერიოდულად. ხელფასის გაცემის პერიოდებს შორის საწარმოს

ყოველდღიურად წარმოეშობა ვალდებულება მომუშავის წინაშე. მომუშავის მიერ ყველთვიურად გამომუშავებული თანხა ვალდებულების სახით დარიცხვას ექვემდებარება. ხელფასი, ერთი მხრივ, წარმოადგენს საწარმოს ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს, ხოლო მეორე მხრივ – ვალდებულებას. მოცემულ ანგარიშზე აღირიცხება პერსონალისათვის გადასახდელი ხელფასები, პრემიები, ანაზღაურებადი გაცდენები და სხვა. მის კრედიტში იწერება პერსონალისათვის დარიცხული მთელი თანხა, ხოციალური დაზღვევის ორგანოებიდან სწარმოს მუშაკებისათვის კუთვნილი დროებითი შრომისუუნარობის დახმარებები, ხოლო დებეტში – ყოველგვარი დაკავებები ხელფასიდან.

ხელფასის დარიცხვაზე გატარდება ბუღალტრული მუხლი

დ 7120, 7150, 7320 ან 7410 კ 3130.

ხელფასის დარიცხვის დროს ხარჯი აისახება იმის მიხედვით, თუ საწარმოს რომელ პერსონალზე ხდება ხელფასის დარიცხვა:

7120 – პირდაპირი ხელფასი;

7150 – არაპირდაპირი ხელფასი;

7320 – შრომის ანაზრაურება და საკომისიო გასამრჯელო (მიწოდების ხარჯები);

7410 – შრომის ანაზრაურება (ადმინისტრაციის პერსონალისათვის).

ხელფასიდან საშემოსავლო გადასახადის დაკავება, რითაც წარმოიშობა ვალდებულება ბიუჯეტისა და სხვა სუბიექტების წინაშე. აისახება შემდეგი ბუღალტრული გატარებით

დ 3130 კ 3320.

ხელფასის გაცემაზე გატარდება ბუღალტრული მუხლი:

დ 3130 კ 1110.

3140 – როიალტი. ეს ანგარიში გამოიყენება არამატერიალური აქტივებზე (პატენტები, ლიცენზიები და სხვა) გადასახდელი საიჯარო ქირის აღსარიცხვად.

როიალტი არის საწარმოს კუტვნილი არამატერიალური აქტივების სხვა პირების მიერ გამოყენებიდან მიღებული შემოსავალი. იგი საწარმოს ეძლევა პატენტის, სავაჭრო ნიშნების, საავტორო უფლებების, კომპიუტერული უზრუნველყოფისა და სხვათა გამოყენებაზე.

3150 – საკომისიო გადასახადები. ეს ანგარიში გამოიყენება იმ გადასახდელების აღსარიცხვად, რომლის გადახდაც ხდება შეამავალზე კრედიტით გაწეული მომსახურებისათვის. მაგალითად: მოკლევადიანი ინვესტიციის შეძენის დროს საწარმოთა ფასიან ქაღალდებში, ბროკერი მოგვემსაურა კრედიტით, მას უნდა გადავუხადოთ 3 000 ლარი სამ თვეში, ეს ოპერაცია შემდეგნაირად აისახება:

დ 1310 კ 3150 – 3 000 ლარი.

ხოლო როდესაც გადაუხდით ბროკერს საკომისიო გადასახდელს, გატარდება ბუღალტრული მუხლი

დ 3150 კ 1110 – 3 000 ლარი.

3160 – ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე. ეს ანგარიში გამოიყენება საწარმოს ნებისმირი პერსონალის წინაშე წარმოქმნილი ვალდებულებების აღსარიცხვად.

მაგალითად: ანგარიშვალდებულ პირზე გაიცა სალაროდან 2 000 ლარი მანქანა-დანადგარების შესაძენად:

დ 1430 კ 1110 – 2 000 ლარი.

ანგარიშვალდებულმა პირმა შეიძინა მანქანა-დანადგარი 2 200 ლარად, რაზედაც გატარდება ბუღალტრული მუხლი:

დ 1250 კ 1430 – 2 000 ლარი,

დ 2150 კ 3160 – 200 ლარი.

იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმო დაფარავს დაგალიანებას, გვექნება ბუღალტრული გატარება:

დ 3160 კ 1110 – 200 ლარი .

3170 – ვალდებულებები მექავშირე საწარმოების წინაშე. ამ ანგარიშზე აღირიცხება შვილობილ საწარმოებთან და ფილიალებთან ანგარიშსწორების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებები.

მაგალითად: შვილობილმა საწარმომ სათაო კომპანიისაგან შეიძინა 1 000 ლარის ნედლეული და მასალა კრედიტით, რაზედაც გატარდება ბუღალტრული მუხლი:

დ 1620 კ 3170 – 1 000 ლარი

ხოლო დაგალიანების გასტუმრების შემთხვევაში გვექნება ბუღალტრული გატარება:

დ 3190 კ 1110 – 1 000 ლარი.

3190 – სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები. ამ ანგარიშზე აღირიცხება ის ვალდებულებები, რომლებიც ზემოთ განხილულ ანგარიშებში არ არის გათვალისწინებული.

განვიხილოთ მოკლევადიანი სესხები. სინთეზური ანგარიში „მოკლევადიანი სესხები“ განკუთვნილია საწარმოს იმ სასესხო ვალდებულებების აღსარიცხავად, რომელთა გადახდა უნდა მოხდეს სესხის მიღებიდან 1 წლამდე ვადაში, მოცემულ ანგარიშზე აღირიცხება აგრეთვე გრძელვადიანი სესხის ის ნაწილი, რომელიც უნდა დაივაროს ბალანსის შედგენის თარიღიდან 1 წლის განმავლობაში. აღნიშნული ფუნქციიდან გამომდინარე, მოკლევადიანი სესხების სინთეზურ ანგარიშს ეხსენება შემდეგი ანალიზური ანგარიშები:

3210 – მოკლევადიანი სესხები

3220 – სესხები პარტნიორებისაგან

3230 – გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი

3210 – მოკლევადიანი სესხები. ამ ანგარიშზე აღირიცხება კრედიტები, რომლებიც მიღებულია ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში, როგორც ქვეყნის ტერიტორიის, ისე საზღვარგარეთ მოქმედი ბანკებიდან და რომელთა გადახდა უნდა მოხდეს სესხის მიღებიდან 1 წლამდე ვადაში.

მაგალითად: არსებულია ბანკის მოკლევადიანი სესხი 5 000 ლარი, თანხა ჩარიცხულია საბანკო ანგარიშზე. ამ ოპერაციაზე გატარდება ბუღალტრული მუხლი:

დ 1210 კ 3210 – 500 ლარი.

სესხის გასტუმრებამდე შედგება ბუღალტრული მუხლი:

დ 3210 კ 1210 – 5 000 ლარი.

3220 – სესხები პარტნიორებისაგან. ამ ანგარიშზე აღირიცხება პარტნიორების ანუ დამფუძნებლებისაგან ან ნებისმიერი სხვა პირებისაგან მიღებული მოკლევადიანი სესხები.

მაგალითად: აღებულია მოკლევადიანი სესხი 1 000 ლარი პარტნიორისაგან, თანხა შემოტანილია სალაროში

დ 1110 კ 3220 – 1 000 ლარი.

სესხის გასტუმრების შემთხვევაში შედგება ბუღალტრული მუხლი:

დ 3220 კ 1110 – 1 000 ლარი.

3230 – გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი. ამ ანგარიშზე აღირიცხება გრძელვადიანი სესხების ის ნაწილი, რომლის დაფარვაც უნდა მოხდეს მიმდინარე წელს.

მოკლევადიან სესხებში ცალკე აისახება საგადასახადო ვალდებულებები. აღნიშნული სინთეზური ანგარიში განკუთვნილია საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადების აღსარიცხავად. გადასახადები აღირიცხება ცალ-ცალკე სახეების მიხედვით. მოცემულ სინთეზურ ანგარიშს ეხსნება ანგარიშები:

- 3310 – გადასახდელი მოგების გადასახადი
- 3320 – გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი
- 3330 – გადასახდელი დღგ
- 3340 – გადახდილი აქციზი
- 3350 – გადასახდელი აქციზი
- 3360 – გადახდილი აქციზი
- 3370 – სოციალური გადასახადი
- 3390 – სხვა საგადასახადო ვალდებულებები

არაპირდაპირი გადასახადების (დღგ, აქციზი) აღრიცხვის მიზნით მოცემული სინთეზური ანგარიშის შემადგენლობაში ცალკე გამოიყოფა აქტიური ანგარიშები მიწოდებასთან დაკავშირებით გადახდილი და ბიუჯეტთან ურთიერთობაში ჩასათვლელი გადასახადებისათვის.

დამატებული დირებულების გადასახადი (დღგ). დამატებული დირებულების გადასახადის (დღგ), როგორც არაპირდაპირი გადასახადი, არის საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის, სამუშაოს, მომსახურების წარმოებისა და მიმოქცევის პროცესში შექმნილი დირებულების ნაწილის, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი ყველა დასაბეგრი დირებულების ნაწილის ბიუჯეტში სავალდებულო შენატანი.

დღგ-ს განაკვეთი შეადგენს დასაბეგრი ბრუნვის ან დასაბეგრი იმპორტის თანხის 18%-ს. (საგ. კოდექსი – თავი 16, მუხლი 245). წარმოებულ პროდუქციას ან საქონელს დღგ ერიცხება 18%-ის ოდენობით, ხოლო საქონლის შეძენისას გადახდილ მთლიან თანხაში დღგ შეადგენს ამ თანხის 15,25%-ს (მაგალითად, ვთქვათ, საქონლის გასაყიდი ფასი არის 100 ლარი დღგ-ს გარეშე, თუ დაემატება დღგ 18%, მაშინ გასაყიდი ფასი იქნება $100 + 100 * \frac{18}{100} = 118$ ლ. თუ გვაინტერსებს შეძენილი საქონლის დირებულებაში (118 ლარში) რამდენი პროცენტია დღგ, მისი გაანგარიშება შეიძლება შემდეგნაირად, ჩვენ ვიცით რომ 118 ლარში დღგ არის 18 ლარი. მართლაც $118 * \frac{v}{100} = 18$ ლარს, საიდანაც $v = 18 * \frac{100}{118} = 15,25\%$). დღგ არის არაპირდაპირი გადასახადი, ამიტომ საწარმოს ევალება ფასეულობათა შეძენის დროს მომწოდებელს ფასეულობის დირებულებასთან ერთად გადაუხადოს დღგ, რომლის ჩათვლის უფლება აქვს ფასეულობის გაყიდვასთან დაკავშირებით ბიუჯეტისათვის დღგ-ს გადახდის ვალდებულებების წარმოშობის დროს.

ბიუჯეტისადმი კუთვნილი დღგ უდრის პერიოდის განმავლობაში გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ გამოკლებული პერიოდის განმავლობაში შესყიდვებთან დაკავშირებული დრგ.

დღგ-თან დაკავშირებით პერიოდი მოიცავს ერთ თვეს. პერიოდის განმავლობაში გაყიდვებთან დაკავშირებული დრგ იწოდება როგორც გადასახდელი დღგ, ხოლო შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ, როგორც ჩასათვლელი დღგ. ხოლო მათ შორის სხვაობა არის ბიუჯეტის კუთვნილი ან ბიუჯეტიდან დასაბრუნებელი დღგ.

საანგარიშო თვის განმავლობაში საწარმო შესყიდულ ფასეულობაზე იხდის დღგ-ს ამ ფასეულობათა დირებულებასთან ერთად, რომელიც ექვემდებარება ჩათვლას ან რაც წარმოშობს მოთხოვნას ბიუჯეტისადმი, ხოლო ფასეულობის გაყიდვით მიღებული ამონაგები მოიცავს ბიუჯეტისათვის გადასახდელ დღგ-ს თანხას, ე.ი. ერთდროულად წარმოიშობა შემოსავალი რეალიზაციიდან და ვალდებულება ბიუჯეტის წინაშე.

ბაას-ის თანახმად, დარიცხვის მეთოდით სამეურნეო მოვლენების და ოპერაციების აღიარება ხდება მათი მოხდენისთანავე. ამასთან დაკავშირებით, საგადასახადო უშვებს შედაგათს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ რეალიზებულად ითვლება განაღდებული ან 90 დღის შემდეგ გასანაღდებელი საქონელი, ამასთან, საწარმოს არა აქვს შეძენასთან დაკავშირებული დღგ-ს ჩათვლის უფლება მანამ, სანამ არ გადაიხდის მოწოდებლის ვალს. ღირებულება არ არის გადახდილი, იგი არ ითვლება მიწოდებად სანამ არ ანაზღაურდება ან არ ამოიწურება 45 დრე. თუ საწარმოს მოცემულ თვეში არა აქვს ჩასათვლელი დღგ, მაშინ იგი სრულიად გადაიხდის გადასახდელ დღგ-ს.

დღგ-ს მიხედვით ბიუჯეტთან ანგარიშსწორების აღრიცხვის მოწესრიგების მიზნით ანგარიშს 3330 „გადასახდელი დღგ“ – ეს ნება შემდეგი 2 ანგარიში;

3330/1 – გადადამდგარი გადასახდელი დღგ;

3330/2 – გადავადებული გადასახდელი დღგ.

3330/1 – გადა დამდგარი გადასახდელი დღგ-ს ანგარიშში თავს მოიყრის დღგ-ს ის თანხები, რომლის გადახდის ვადა დამდგარია საგადასახადო კოდექსის მოთხოვნებიდან გამომდინარე (წინასწარი გადახდის, მიწოდებისთანავე გადახდის, მიწოდებიდან 45 დღეში გადახდის ან მიწოდებიდან 45 დღის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში). ამ ანგარიშის კრედიტში აღირიცხება ვალდებულება, რომლის გადახდის ვადა დამდგარია მყიდველის მიერ 45 დღეში ვალდებულების განაღდების დროიდან.

მიმდინარე მაგალითებიდან თითოეული ანგარიშზე 3330/1, 3330/2, 3340/1, 3340/2 გავიგოთ საბოლოო ნაშთები:

3330/1		3330/2		3340/1		3340/2	
დ	გ	დ	გ	დ	გ	დ	გ
1525		915	915	1220		610	610
915				610			
1830	2440	-	-	1830	1830	-	-
610	610			-	-		
-	-						

პერიოდის ბოლოს აუცილებელია ერთმანეთს შეუდარდეს 3330/1 და 3340/1 ანგარიშის ბრუნვები

დ 3330/1 კ 3340/1 1830 ლარი.

(ანუ 1830 ლარის ჩათვლას ვახდენთ), ხოლო დარჩენილ 610 ლ კი გიხდით სალაროდან:

დ 3330/1 კ 1110 610 ლარი.

თუ 3340/1, 3340/2, 3330/2 ანგარიშებზე დაგერჩა ნაშთები, იგი გადადის მომდევნო პერიოდის შესაბამის ანგარიშებზე.

3350 – გადასახდელი აქციზი;

3360 – გადახდილი აქციზი.

აქციზი დღგ-ს მსგავსად არის არაპირდაპირი გადასახადი. მისი გადახდა ხდება აქციზური საქონლის მიწოდებისას. აქციზის გადამხდელები არიან ის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც აწარმოებენ აქციზური საქონელს ან ეწევიან მის იმპორტს. აქციზური საქონელი იბეგრება საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული განაკვეთებით. აქციზის აღრიცვა ხდება დღგ-ს აღრიცხვის ანალოგიურად. აქციზების ცხრილი მოცემულია საქართველოს საგადასახადო კოდექსში.

დარიცხული გალდებულებები. აღნიშნული სინოზური ანგარიში განკუთვნილია საწარმოს მიერ აღიარებული გალდებულებების აღსარიცხავად. დარიცხული გალდებულება საწარმოს იმ მიმდინარე გალდებულების ნაწილია, რომლის გადახდა უნდა მოხდეს ბალანსის შედგენიდან 12 თვეში. მას მიეკუთვნება გადასახდელი პროცენტები, გადასახდელი დივიდენდები, ის საგარანტო და საიჯარო გალდებულებები, რომლებიც ბალანსის შედგენიდან 12 თვეში გადახდას ექვემდებარებიან და სხვა დარიცხული გალდებულებები.

მოცემულ სინოზურ ანგარიშს ეხსნება შემდეგი ანგარიშები:

3410 – გადასახდელი პროცენტები

3420 – გადასახდელი დივიდენდები

3430 – გალდებულება საგარანტო მომსახურებზე

3490 – სხვა დარიცხული გალდებულებები.

3410 – გადასახდელი პროცენტები. საპროცენტო გალდებულების დარიცხვა წარმოებს სესხებზე, თამასუქებზე, ობლიგაციებზე და სხვა. მისი სიდიდე დამოკიდებულია სახელშეკრულებო გალდებულებებზე. გადასახდელი საპროცენტო გალდებულება წარმოადგენს ხარჯს და მისი დარიცხვა აისახება ბუდალტრული გატარებით.

მაგალითად: აღებულია მოკლევადიანი სესხი 5 000 ლარი ყოველთვიური 4%-იანი განაკვეთით. დავარიცხოთ 1 თვის საპროცენტო თანხა

დ 8210 კ 3410 – 200 ლარი ($200 = 5\,000 \cdot 0.04$).

საპროცენტო გალდებულების გადახდაზე გატარდება ბუდალტრული მუხლი დ 3410 კ 1110 – 200 ლარი.

3420 – გადასახდელი დივიდენდები. დივიდენდი მოგების ნაწილია, რომელიც ნაწილება საწარმოს პარტნიორებზე (აქციონერებზე). საწარმოს მიერ დივიდენდების გაცემის გამოცხადების დღიდან წარმოიქმნება საზოგადოების გალდებულება პარტნიორების მიმართ. დივიდენდის გაცემა ხდება გაუნაწილებელი მოგებიდან. გადასახდელი დივიდენდის ანგარიში წარმოებს წლიურად და საგადასახადო კოდექსის მიხედვით შეადგენს მისაღები დივიდენდის 10%-ს.

მაგალითად: სააქციო საზოგადოების მიერ გამოცხადებულია დივიდენდის გაცემა 5 000 ლარი, რაზედაც გატარდება ბუდალტრული მუხლი

დ 5310 კ 3420 – 5 000 ლარი.

დივიდენდიდან გადასახადის (10%) დაკავება აისახება ბუდალტრული გატარებით:

დ 3420 კ 3390 – 500 ლარი,

ხოლო დივიდენდის გაცემისას ხდება ბუდალტრული გატარება:

დ 3420 კ 1210 – 4 500 ლარი.

3430 – გალდებულება საგარანტო მომსახურებზე. საქონლის გაყიდვისას წარმოდგენილი გარანტია მოქმედებს საგარანტო პერიოდის განმავლობაში. გარანტის თანხა აისახება იმ პერიოდის ხარჯებში, როცა მოხდა ამ საქონლის რეალიზაცია.

ერთ წლამდე ვადით საგარანტო მომსახურებით გაყიდული საქონლისათვის საგარანტო პერიოდში მოსალოდნელი გასავლების ხარჯად აღიარება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება შემდეგი ბუდალტრული გატარებით:

დ 7480 კ 3430.

7480 – ეს არის საგარანტო მომსახურების ხარჯები.

საგარანტო გალდებულების შესრულება კი აისახება ბუდალტრული გატარებით:

დ 3430 კ 1110.

3490 – სხვა დარიცხული გალდებულებები. ამ ანგარიშზე აღირიცხება ის დარიცხული გალდებულებები, რომლებიც ზემოთ განხილულ ანგარიშებში არ არის გათვალისწინებული (მაგალითად: საურავი).

მაგალითად დაერიცხა საწარმოს საურავი 100 ლარი, რაზედაც გატარდება ბუღალტრული მუხლი
დ 8290 კ 3490 – 100 ლარი.

გრძელვადიანი ვალდებულებების ანგარიშია 4000. აღნიშნული სინოქური ანგარიში გათვალისწინებულია საწარმოს მიერ ერთ წელზე მეტი ვადით აღებული სასესხო ვალდებულებების აღსარიცხავად. იგი შეიძლება არსებობდეს გასანადდებელი ობლიგაციების, გასანადდებელი თამასუქების, ფინანსური იჯარის ვალდებულების ან გრძელვადიანი სესხების სახით. ეს არის ვალდებულების კლასიფიკაციის ზოგადი მიდგომა. მას გააჩნია კონკრეტული შემთხვევა, რომელიც მოითხოვს ზოგიერთი ვალდებულების დაფარვამდე გრძელვადიან ვალდებულებად აღრიცხვის აუცილებლობას. კერძოდ, საწარმომ პროცენტიანი გრძელვადიანი ვალდებულებები უნდა ჩათვალოს გრძელვადიან ვალდებულებებად მაშინაც კი, როდესაც ისინი უნდა დაიფაროს ბალანსის შედგენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში, თუ : მათი გადახდის პირგანდელი ვადა 12 თვეზე მეტი იყო ; საწარმო აპირებს აღნიშნული ვალდებულების გრძელვადიან საფუძველზე რეფინანსირებას ; ეს გადაწყვეტილება განმტკიცებულია ვალდებულების გადახდის ვადის შეცვლის ან რეფინანსირების ხელშეკრულებით, რომელიც გაფორმებულია ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე (ბასს 1, პუნქტი 63).

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებების – 4100 - სინოქურ ანგარიშს ეხსება შემდგენ ანალიზური ანგარიშები:

- 4110 – გასანადდებელი ობლიგაციები
- 4120 – გასანადდებელი თამასუქები
- 4130 – ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე
- 4140 – გრძელვადიანი სესხები
- 4190 – სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

4110 – გასანადდებელი ობლიგაციები. ობლიგაცია არის ფასიანი ქადალდი, რომელიც ადასტურებს მისი გამოშვების სასესხო ვალდებულებას, განსაზღვრულ ვადაში გადაუხადოს მის მფლობელს ობლიგაციის ნომინალური დირებულება და ფიქსირებული პროცენტი. ობლიგაცია, როგორც წესი, უნდა დაიფაროს 100%-ით, ხოლო პროცენტების გადახდა ხდება წელიწადში 2-ჯერ. ობლიგაცია ითვლება გამოშვებულად, როდესაც ის იქნება რეალიზებული. არსებობს სხვადასხვა სახის ობლიგაციები მათი დაფარვის პირობების და დროის მიხედვით. პიროვნებას, რომელიც იღებს თავის თავზე ობლიგაციის დაფარვის ვალდებულებას ეწოდება ემიტენტი. ობლიგაციის მფლობელს ეწოდება კრედიტორი. ობლიგაციების გამოშვების მიზანია დამატებითი მატერიალური საშუალებების მოზიდვა.

მაგალითად: გაყიდულია 5 წლიანი ობლიგაცია, რომლის ნომინალური დირებულებაა 50 000 ლარი. წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 4%-ს. პროცენტის გადახდა ხდება წელიწადში 2-ჯერ: 30 ივნისს და 31 დეკემბერს.

ობლიგაციის გაყიდვაზე შედგება ბუღალტრული მუხლი:

დ 1210 კ 4110 – 50 000 ლარი.

საპროცენტო განაკვეთის დარიცხვაზე შედგება ბუღალტრული მუხლი:

დ 8210 კ 3410 – 1 000 ლარი ($1000 = 5000\text{-ის } 4\% / 2$);

აღნიშნული პროცენტის განადება აისახება ბუღალტრული გატარებით

დ 3410 კ 1210 – 1 000 ლარი.

ობლიგაციების ძირითადი თანხა უცვლელი იქნება მის სრულ დაფარვამდე. ობლიგაციის დაფარვა აისახება ბუღალტრული გატარებით

დ 4110 კ 1210 – 50 000 ლარი.

ამის შემდეგ ობლიგაციის იურიდიული მოქმედება წყდება.

4120 – გასანადდებელი თამასუქები. თამასუქი არის კანონით დადგენილი წერილობითი ვალდებულება, რომლის საშუალებითაც თამასუქის მფლობელს ეძლევა უფლება, მოსთხოვოს თამასუქის გამცემს განსაზღვრული ოდენობის თანხა

დათქმულ ვადაში. ვექსელი შეიძლება ეპუთვნოდეს ერთ პიროვნებას, ან იყოს გადასაცემი, როდესაც ვექსელის მფლობელი გადასცემს მას სხვა პიროვნებას. ამ შემთხვევაში ვექსელის მეორე მხარეს კეთდება ჩანაწერი – **ინდოსამენტი.**

მაგალითად: 1) შეძენილია კრედიტით 10 000 ლარის საქონელი დ 1610 კ 3110 – 10 000 ლარი.

აღნიშნული კრედიტორული დავალიანება არ იქნა დროულად დაფარული, რის გამოც ხელშეკრულება შეიცვალა გრძელვადიანი სათამასუქო ვალდებულებით, რაზედაც გატარდება ბუღალტრული მუხლი დ 3110 კ 4120 – 10 000 ლარი.

ვთქვათ, მოცემული თამასუქის წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 8%. თამასუქზე პროცენტის დარიცხვა მოხდება ბუღალტრული გატარებით:

დ 8210 კ 3410 – 800 ლარი;

ხოლო საპროცენტო თანხის გადახდაზე გატარდება ბუღალტრული მუხლი

დ 3410 კ 1110 – 800 ლარი.

თუ აღნიშნული თამასუქის ნაწილი, ვთქვათ 5 000 ლარი დასაფარია მიმდინარე წელს, მაშინ გრძელვადიანი თამასუქი გადავა მოკლევადიან ვალდებულებაში, რაზედაც გატარდება ბუღალტრული მუხლი:

დ 4120 კ 3230 – 5 000 ლარი.

მისი განაღდების დროს გატარდება ბუღალტრული მუხლი:

დ 3230 კ 1110 – 5 000 ლარი.

2) კომპანიამ შეიძინა 20000 ლარის ლირებულების მანქანა-დანადგარი, რაზედაც გასცა თამასუქი 2 წლის ვადით, მისი წლიური საპროცენტო განაკვეთია 10%

ა) მანქანა-დანადგარის მიღებასა და სათამასუქო ვალდებულების წარმოშობაზე გატარდება ბუღალტრული მუხლი

დ 2150 კ 4120 – 20 000 ლარი.

ბ) გადასახდელი პროცენტის დარიცხვა მოხდება ბუღალტრული გატარებით: დ 8210 კ 3410 2 000 ლარი.

გ) საპროცენტო თანხის გადახდაზე გატარდება ბუღალტრული მუხლი:

დ 3410 კ 1210 – 2 000 ლარი.

დ) მთლიანად სათამასუქო დავალიანების გადახდაზე გატარდება ბუღალტრული მუხლი

დ 4120 კ 1210 – 20 000 ლარი.

4130 – ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე. აღნიშნული აგარიში გამოიყენება ფინანსური იჯარით წარმოქმნილი ვალდებულებების აღსარიცხვად.

ბასს 17-ის მიხედვით იჯარა არის მხარეთა ურთიერთშეთანხმება, რომლის თანახმად მეიჯარე შემოსავლის მიღების მიზნით მოიჯარეს გადასცმს აქტივის გამოყენების უფლებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში. ხელშეკრულების მხარეები შეთანხმებაში თავისუფალნი არიან. მიტომ არსებობს მრავალი სახის იჯარა. იჯარა შეიძლება ერთი თვით იყოს გათვალისწინებული ან ერთი წლით, ან უფრო მეტი დროით. როგორც წესი იჯარის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს უძრავი ან მოძრავი ქონება. უძრავი ქონების მაგალითების: საცხოვრებელი სახლი, ბინა, ოთახი, აგარაკი, გარაჟი და ა.შ. მოძრავი ქონების მაგალითია: მანქანა მსუბუქი ან სატვირთო, მოხმარების საგნები, მანქანა-დანადგარები, მოწყობილობები და ა.შ. იჯარით შესაძლებელია გაიცეს მიწაც. მოკლევადიან იჯარას უწოდებენ რენტინგს, საშუალოვადიან იჯარას – პაირინგს, გრძელვადიანს – ლიზინგს. გრძელვადიანი იჯარა წარმოადგენს ფინანსურ იჯარას, რადგანაც ითვალისწინებს ხანგრძლივი დროით გაცემული საიჯარო ობიექტის დაბრუნების ხელშეკრულებაში დადგენილი დირებულებით და ამასთან ერთად შეიცავს საიჯარო გადასახადს. თქმულიდან

გამომდინარე ლიზინგი და ფინანსური იჯარა განსხვავდებიან ერთიმეორისაგან. ფინანსური იჯარა არის აქტივებზე უფლებას გადაცემა ხანგრძლივი დროით. ლიზინგი კი გულისხმობს ორი კომპანიის შეთანხმებას საწარმოო დანიშნულების ობიექტებზე და ტექნიკაზე. იჯარის გადასახადის ოდენობის დადგენა დამოკიდებულია შეთანხმებაზე. **შემთხვევაში იჯარის გადასახადი უტოლდება სახელშეკრულებო საგნის ან საგნების სამორტიზაციო ანარიცხების და ამ საგნის გამოყენებით მიღებული მოგების ნაწილის ჯამს.**

იჯარით ქონების გაცემა დამოკიდებულია გარკვეულ რისკთან, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს საიჯარო ობიექტის მდგომარეობით ან გაუთვალისწინებელი შემთხვევებით, იჯარის საგანი შეიძლება იყოს მოგველებული ან გაუმართავი. რისკი შეიძლება იყოს გამოწვეული იჯარის საგნის ფასის ზრდით ან მოკლებით ახლო მომავალში, სანამ გავა იჯარის ვადა.

ფინანსურია იჯარა თუ სრულდება შემდეგი პირობები:

-ხელშეკრულების თანახმად მოიჯარეს გადაეცემა აქტივის საკუთრების უფლება იჯარის ვადის დამთავრების შემდეგ;

-ხელშეკრულების თანახმად მოიჯარეს უფლება აქვს შეიძინოს აქტივი იმ რეალურ დირებულებაზე მნიშვნელოვნად დაბალი ფასით, რომელიც აქტივს გააჩნია უფლების გამოყენების მომენტში, ხოლო იჯარის ვადის დასაწყისში არსებობს ამ უფლების გამოყენების დიდი ალბათობა;

-იჯარის ვადა მოიცავს აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის ძირითად, მნიშვნელოვან ნაწილს, მიუხედავად იმისა, რომ საკუთრების უფლება არ გადაეცემა;

-იჯარის ვადის დასაწყისისათვის მინიმალური საიჯარო გადასახდელის დისკონტირებული დირებულება უკიდერეს შემთხვევაში შეადგენს იჯარით აღებული აქტივის პრაქტიკულად მთლიან რეალურ დირებულებას;

-იჯარით აღებული აქტივი ხასიათდება სპეციფიკურობით ისე, რომ მხოლოდ მოიჯარეს შეუძლია მისი გამოყენება მოდიფიკაციის გარეშე.

ჩვეულებრივი საოპერაციო იჯარის შემთხვევაში მოიჯარეს აქტივთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს არ გადაცემენ.

დაგუშვათ მოიჯარემ 1 აგვისტოს გააფორმა ხელშეკრულება საოფისე შენობის იჯარაზე. იგი ვალდებულია მიერჩარეს გადაუხადოს იჯარის დაწყებიდან ყოველი 12 თვის გასვლისთანავე 3 600 ლარი. მოიჯარე თვლის, რომ იჯარით აღებული შენობა თანაბარი დატვირთვით იქნება გამოყენებული მთელი საიჯარო პერიოდის – 10 წლის მანძილზე. ესე იგი მთლიანი საიჯარო გადასახდელი თანაბრად იქნება განაწილებული ათ წელზე. აღნიშნულ შემთხვევაში ხელშეკრულების გაფორმების წელს მოიჯარე აღიარებს 5 თვის გადასახდელს 1 500 ლარის ოდენობით. აღიარება მოხდება ბულალტრული გატარებით:

დებეტი - 7420 – საიჯარო ქირა	1 500
კრედიტი - 3490 – სხავ დარიცხული ვალდებულებები	1 500
მომდევნო წელს გადახდილია საიჯარო გადასახადი 3 600 ლარი:	
დებეტი - 7420 – საიჯარო ქირა	1 500
კრედიტი - 3490 – სხვა დარიცხული ვალდებულებები	1 500
კრედიტი - 1210 – ეროვნული ვალუტა რეზივენტ ბანკში	3 600

მომდევნო წელს ასევე ვანგარიშობთ იჯარის გადასახდელს.

ჩვეულებრივი იჯარით გაცემული აქტივი მეიჯარის მიერ განიხილება როგორც ცვეთადი აქტივი და მის ბალანსში აისახება აქტივის შესაბამისად. (ბასს 17, პუნქტი 41).

მაგალითად: აღებულია ფინანსური იჯარით ძირითადი საშუალება 5 წლიანი ვადით 20 000 ლარად. ხელშეკრულების თანახმად, საიჯარო ქირა გადასახდელია 5

წლის განმავლობაში. ძირითადი საშუალებების ფინანსური იჯარით აღებაზე გატარდება ბუღალტრული მუხლი
დ 2100 კ 4130 – 20 000 ლარი.

ხელშეკრულების თანახმად მიმდინარე წელს გადახდილი უნდა იქნას 4 000 ლარი, რაზედაც გატარდება ბუღალტრული მუხლი
დ 1430 კ 3230 – 4 000 ლარი.

არებული საიჯარო ქირის გადახდაზე შედგება ბუღალტრული მუხლი
დ 3230 კ 1110 – 4 000 ლარი.

როდესაც ხდება ჩვეულებრივი იჯარით აქტივების აღება, საიჯარო ქირის დარიცხვაზე გატარდება ბუღალტრული მუხლი

დ 7420 კ 3490.

ხოლო საიჯარო ქირის გასტუმრება გატარდება შემდეგი ბუღალტრული გატარებით
3490 კ 1110.

4140 – გრძელვადიანი სესხები. აღნიშნულ ანგარიშზე აღირიცხება ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა 1 წელზე მეტი ვადით აღებული სესხის აღსარიცხავად.

მაგალითად: საწარმომ ბანკისაგან აიღო სესხი 50000 ლარით 3 წლის ვადით წლიური 10%-იანი განაპეოთო.

ა) სესხის აღებაზე გატარდება ბუღალტრული მუხლი
დ 1210 კ 4140 – 50 000 ლარი.

ბ) ვთქვათ მიმდინარე წელს დასაფარია აღნიშნული სესხის ნაწილი 10 000 ლარი, რაზედაც მოხდება ბუღალტრული გატარება:

დ 4140 კ 3230 – 10 000 ლარი.

გ) აღნიშნული თანხის გადახდა მოხდება ბუღალტრული გატარებით
დ 3230 კ 1210 – 10 000 ლარი.

დ) საპროცენტო თანხის დარიცხვაზე გატარდება ბუღალტრული მუხლი:
8210 კ 3410 – 5 000 ლარი.

ე) საპროცენტო თანხის გადახდა აისახება ბუღალტრული მუხლით:
3410 კ 1210 – 5 000 ლარი.

4190 – სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები. ამ ანგარიშზე აღირიცხება ის გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები, რომელიც ზემოთ განხილულ ანგარიშებზე არ არის გათვალისწინებული.

გადავადებული გადასახადები და სხვა გრძელვადიანი ვალდებულებების 4200 სინოეზური ანგარიშის გამოყენების აუცილებლობა განკირობებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის დადგენილი შეზღუდვების აღრიცხვაში გასათვალისწინებლად. იგი უმთავრესად უკავშირდება ხარჯებისა და შემოსავლების აღიარებისადმი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და საგადასახადო კოდექსის განსხვავებულ მიდგომას, კერძოდ სტანდარტების მოთხოვნით, მოგების გადასახადი ერიცხება საწარმოს მიერ არჩეული სააღრიცხო პოლიტიკით გამოთვლილ მოგებას, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში თუ საგადასახადო მიზნებისათვის დარიცხული ცვეთა და ამორტიზაცია მეტი აღმოჩნდება ფინანსური ანგარიშგების მიზნით დარიცხულზე, მაშინ საგადასახადო ხარჯი მეტი იქნება, ვიდრე საგადასახადო ვალდებულება, რომელიც მომავალ პერიოდში დროებითი სხვაობის გაწონასწორების გზით საგადასახადო ვალდებულებად იქცევა. სწორედ დროებითი სხვაობით გამოწვეული საგადასახადო ვალდებულება უნდა იქნას გადავადებული.

აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე მოცემულ სინთეზურ ანგარიშში გამოიყოფა ანგარიში 4210 „გადავადებული მოგების გადასახადი“.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ძირითად საშუალებას ცვეთა ერიცხება წარმოების მიერ არჩეული ერთ-ერთი მეთოდით, საგადასახადო კოდექსის მოთხოვნებიდან გამომდინარე გამოიყენება მხოლოდ ერთი მეთოდი. ეს იწვევს სხვაობას ხარჯების რაოდენობაში, რომელიც ცვლის მოგების სიდიდეს. ამდენად იცვლება დასაბეგრი მოგების თანხა. თუ სტანდარტების მოთხოვნით გამოთვლილი მოგების გადასახადი მეტია საგადასახადო კოდექსის მიხედვით გამოთვლილ მოგების გადასახადზე, მაშინ მოგების გადასახადის სხვაობა (მეტობა) გადაწევს მომდევნო წლისათვის და აღირიცხება ანგარიშზე 4210 „გადავადებული მოგების გადასახადი“. მაგალითად: საფინანსო მოგება შეადგენს 250 ლარს, საგადასახადო კი 2 000 ლარს, მათ შორის სხვაობა კი 50 ლარით აღიარდება როგორც გადავადებული მოგების გადასახადი, რაზედაც გატარდება ბუღალტრული მუხლი.

დ 9210 კ 4210 – 50 ლარი.

4220 – სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები – ამ ანგარიშზე აღირიცხება ის გრძელვადიანი ვალდებულებები, რომელიც ზემოთ განხილულ გრძელვადიან ვალდებულებებში არ არის გათვალისწინებული.

ანარიცხებს ეხსნებათ ანგარიში 4300. აღნიშნული სინთეზური ანგარიში განკუთვნილია მომავალ პერიოდში მოსალოდნელი ისეთი გასავლის აღსარიცხავად, რომელთა წარმოშობის საფუძვლები არსებობდა საანგარიში პერიოდში. ანარიცხები კეთდება საწარმოს მუშაკთა საპენსიო უზრუნველყოფის, ძირითად საშუალებათა რემონტის ან სხვა გრძელვადიანი მიზნებისათვის. ანარიცხები იქნება დარიცხვის მეთოდისა და წინდახედულობის პრინციპის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ანარიცხები კეთდება მაგალითად: საწარმოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, რათა მატერიალურად დაეხმაროს თავის თანამშრომლებს მომავალში. ანარიცხები იქნება მიმდინარე შემოსავლებიდან ანუ რეზერვიდან. აარიცხების სინთეზურ ანგარიშს ეხსნება ორი ანგარიში:

4310 – საპენსიო უზრუნველყოფის ანარიცხები.

4320 – სხვა ანარიცხები

ანარიცხები ექვემდებარება წინასწარ შეფასებას. ამასთან, საპენსიო ანარიცხები აღირიცხება ფაქტობრივად განხორციელებული ოდენობით და არა იმ თანხით, რომლის გადახდაც იყისრა საწარმომ მუშაკის წინაშე იგი გამოიყენება მიზნობრივი დანიშნულებით. სინთეზურ ანგარიშზე 4300 „ანარიცხები“ თავმოყრილია ისეთი ხარჯები, რომლებიც წინასწარ არის გათვალისწინებული და გამოქვითულია გასული ან მიმდინარე წლის შემოსავლებიდან.

გადავადებული შემოსავალი – 4400 არის გადავადებული შემოსავალი არარეალიზებული, არა ამორტიზებული ვალდებულებაა, რომელიც მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში შემოსავლად აღიარდება მომდევნო პერიოდებში. ამ ანგარიშის გამოყენება აუცილებელი ხდება გრანტთან დაკავშირებულ შემოსავლებთან.

სახელმწიფო გრანტი არის საწარმოსათვის დახმარების გაწევა რესურსების გადაცემის ფორმით, რომელიც ემყარება განსაზღვრული პირობების შესრულებას. საწარმომ სახელმწიფოსაგან გრანტი შეიძლება მიიღოს როგორც ფულადი, ისე არაფულადი ფორმით. სახელმწიფო გრანტის შემოსავლებად აღიარება მათი მიღებისთანავე ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც გრანტი არ გადანაწილდება სხვადასხვა საანგარიშგებო პერიოდებზე. მაგალითად: საწარმომ მიიღო სახელმწიფო გრანტი 5000 ლარი დამატებით 10 სამუშაო ადგილის შესაქმნელად. თუ საწარმო დარწმუნებულია იმაში, რომ ის შეასრულებს გრანტის პირობებს. მიღებული თანხა მიმდინარე პერიოდის შემოსავლად და გვექნება ბუღალტრული გატარება

დ 1210 კ 8190 – 5 000 ლარი.

თუ საწარმომ მიიღო მაგალითად: 10 000 ლარი გრანტი მომდევნო 2 წლის განმავლობაში რაიმე კონკრეტული მიზნით გამოსაყენებლად, მაშინ სახელმწიფო გრანტები შემოსავლებად აღიარებული უნდა იქნას იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომლებშიც გაიწევა დანახარჯები გრანტით დაფინანსებულ ღონისძიებებზე. გრანტის ოპერაცია ბუღალტრულად გატარდება.

დ 1110 კ 4410 – 10 000 ლარი,

ან დ 1210.

ამ გატარებით ხდება გრანტის აღიარება გადავადებულ შემოსავლად.

ყოველ საანგარიშგებო წელს გაწეული დანახარჯების დასაფინანსებლად მოხდება გადავადებული შემოსავლის აღიარება მიმდინარე პერიოდის შემოსაბლად და შედგება ბუღალტრული გატარება: მაგალითად 5000 ლარი)

დ 4410 კ 6190 – 5 000 ლარი (I საანგარიშგებო წელს)

ანალოგიური გატარებით გრანტის დანარჩენი ნაწილიც (5 000 ლარი) აღიარდება შესაბამისი პერიოდის (II საანგარიშგებო წელს) შემოსავლად.

დ 4410 კ 6190 – 5 000 ლარი (II საანგარიშგებო წელს)

სახელმწიფო გრანტი შეიძლება იყოს აქტივების შეძენასთან დაკავშირებით. მაგალითად: საწარმომ შეიძინა ძირითადი საშუალება სახელმწიფო გრანტით პირვანდელი ღირებულებით 5 000 ლარი. ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 5 წელი. გრანტით ძირითადი საშუალების შეძენაზე გატარდება ბუღალტრული მუხლი

დ 2100 კ 4410 – 5 000 ლარი.

ერთდროულად, ამავე საანგარიშგებო პერიოდში მოხდება სახელმწიფო გრანტებიდან შემოსავლის აღიარება ბუღალტრული გატარებით

დ 4410 კ 8190 – 1 000 ლარი.

სახელმწიფო გრანტი აღიარდება შემოსავლების სახით სისტემატურად 5 წლის განმავლობაში – თითოეული საანგარიშგებო პერიოდში 1 000 ლარი; მე-5 წლის ბოლოს ანგარიში 4410 „გადავადებული შემოსავლები“ დაიხურება.

X. საფინანსო ანგარიშის ანალიზი

ამ თავში განხილულია შემდეგი საკითხები :

მომსმარებლები

ინფორმაციის ანალიზი – პორიზონტალური ანალიზის მეთოდი, შედარებითი ანალიზი

გალების დაფარვა

ლიკვიდობა

საფინანსო ანგარიშის ლიმიტი

საწარმო დარგები

ეკონომიკური გარემოს ცვლილება.

მომსმარებლები. ფინანსური ანგარიშგების მომსმარებლები არიან შიდა და გარე. შიდა მომსმარებლებს განეკუთვნებიან მენეჯერი, მფლობელი, მუშა-

მოსამსახურები. ხოლო გარე მომხმარებლებს განეკუთვნებიან კრედიტორები, მომწოდებლები, მყიდველები, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანიზაციები, საზოგადოება.

მფლობელები და იგივე ინგესტორები დებენ ფულს წარმოებაში და წევენ გარკვეულ რისკს, ამიტომ მათთვის განკუთვნილი ინფორმაცია მოიცავს სრულ ფინანსურ ანგარიშგებას, მოგების/ზარალის ინფორმაციას, აქტივების მოძრაობის შეფასებას და წარმოშვებულ ვალდებულებებზე ინფორმაციას.

მუშა-მოსამსახურები დაინტერესებულნი არიან თავისი ანაზღაურებით – მისი ოდენობით გადახდის თავისდროულობით.

კრედიტორებს ესაჭიროებათ ყველა ინფორმაცია დაკავშირებული თანხის დაბრუნებასთან და რამდენად მომგებიანი არის მათი საქმიანობა მოცემულ ორგანიზაციასთან.

მომწოდებლები ითხოვენ ინფორმაციას დაკავშირებულს ორგანიზაციის მომგებიან საქმიანობაზე. რათა დარწმუნდნენ კონკურენტულ საქმიან ვითარებაში, რომ სწორად აირჩიეს პარტნიორი. აგრეთვე გარანტირებული უნდა იყოს მათ მიმართ არსებული ვალდებულებების დროულ დაფარვაში.

მყიდველებს უფრო მეტად აინტერესებთ, თუ რამდენად ფუნქციონირებადია ორგანიზაცია და მათთვის მიწოდებული პროდუქცია ან მომსახურება იქნება სარისხიანი და საიმედო, და რაც მთავარია არ იქნება მავნებელი.

სახელმწიფო ორგანიზაციები, საგადასახადო სამსახური დაინტერესებული იმაში, რომ ორგანიზაცია იყოს ფუნქციონირებადი, სტაბილური და მომგებიანი. მათ აინტერესებთ თუ რამდენად კარგად უძღვება ორგანიზაცია თავის სამეურნეო საქმიანობას. ეს ინფორმაცია ხელს უწყობს ეროვნული შემოსავლის აღრიცხვას.

საზოგადოება ვალდებულია იცოდეს თუ მოცემული ორგანიზაცია რაც ცვლილებებს შეიტანს მათ ცხოვრებაში და რამდენად შეცვლის მას. უფრო ზუსტად რა ეკონომიკური გავლენა ექნება მის სამეურნეო საქმიანობას. ნებისმიერი საწარმოები და მრეწველობის დარგები გავლენას ახდენენ საზოგადოების ცხოვრებაზე. საქროველოში ჩვენ გვაქვს ცოცხალი მაგალითი ამისა. თუნდაც ქალაქი რუსთავი გარდაიქმნა სამრეწველო ქალაქად, სადაც ბევრი მოქალაქე იყო დასაქმებული. ეს ეკონომიკურად იყო დადებითი მოვლენა.

ფინანსური ინფორმაცია საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ეხება მოგება/ზარალის ანგარიშის წარდგენას, მოიცავს აქტივების, კერძოდ ფულადი სახსრების შესახებ ინფორმაციას, და ავლენს ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობას საქმაოდ ცვალებად ეკონომიკურ გარემოში. ფინანსური ინფორმაცია წარმოადგენს მონაცემებს ასევე თვითღირებულების შესახებ, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია სამეურნეო საქმიანობის შემთხვევაში.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზის რამდენიმე მეთოდი არსებობს. **ჰორიზონტალური ანალიზის მეთოდის** გამოყენებისას ადარებენ ერთმანეთს სხვადასხვა პერიოდის ერთი და იგივე მონაცემებს. ეს შეიძლება იყოს რამდენიმე კვარტლის ან წლის მონაცემები. ერთი და იგივე ანგარიშზე თანხის ცვლილების ნახვა ერთ ანგარიშგებაში თვალსაჩინოა.

	2008	2007	2006	2005
გაყიდვები	900 000	800 000	750 000	600 000
რამდენად გაიზარდა 2005 წელთან შედარებით	50.0%	33.3%	25.0%	–
რამდენად გაიზარდა საწყისს წელთან შედარებით	12.5%	6.7%	25.0%	–

კურტიკალური ანალიზის მეთოდის გამოყენებისას შედარებას უკეთებენ ერთი და იმავე პერიოდის მონაცემებს პროცენტულად. მაგალითად შემოსავლების

მონაცემებში ცალკე გამოყოფს სხვადასხვა წყაროდან მიღებული შემოსავლების პროცენტულ დამოკიდებულებას მთლიან შემოსავალთან.

	2008		2007	
	თანხა (ლარი)	გაყიდვების პროცენტი	თანხა (ლარი)	გაყიდვების პროცენტი
გაყიდვები	900 000	100.0%	800 000	100.0%
გაყიდული პროდუქციის დირექტულება	610 000	67.8	480 000	60.0
საბითუმო მარჟა	290 000	32.2	320 000	40.0
საექსპლოატაციო ხარჯები	248 000	27.6	280 000	35.0
შემოსავალი გადასახადების გადახდამდე	42 000	4.7	40 000	5.0
შემოსავალი გადასახადების გადახდის შემდგება	17 000	1.9	18 000	2.3
წმინდა მოგება	25 000	2.8%	22 000	2.8%

შედარებითი ანალიზი ანალიზს უკეთებს სხვადასხვა ანაგარიშების ცვლილებას. მაგალითად შემოსავლის მონაცემებს ადარებენ აქტივებს.

ორგანიზაცია დროის მანძილზე სამეურნეო საქმიანობის შედეგად იძენს ვალებს, რომელთა დაფარვა წარმოებს. ვალია, როდესაც არსებობს უიმედო დებიტორული დავალიანება, ბანკის წინაშე არსებული დავალიანება აღებული სესხის გამო ან ვადაგადაცილებული პროცენტები.. ვალი შეიძლება ჰქონდეს ორგანიზაციას მფლობელების წინაშე.

ლიკვიდობა. ლიკვიდობას აქვს ბევრი განმარტება. ლიკვიდობა არის აქტივების მობილურობა, ფასეულობების ფულად გარდაქმნის შესაძლებლობა. (ლათინურიდან liquidus - დენადი).

განვიხილოთ ფინანსური ანგარიშგებების მაგალითები.

ბალანსი შპს „ომეგა“		
31 დეკემბერი 2007 წელი		
2006		2007

გრძელვადიანი აქტივები

შენობა-ნაგებობები	2086	2103
მოწყობილობები და მანქანა-დანადგარები	1381	1296
	<u>3467</u>	<u>3399</u>

მიმდინარე აქტივები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	1292	1952
დებიტორული მოთხოვნები	1763	2086
ფულადი და ფულის ეკვივალენტები	197	512
	<u>3252</u>	<u>4550</u>

სულ აქტივები

<u>6719</u>	<u>7949</u>
-------------	-------------

გაღდებულებები

კრედიტორული დავალიანება	899	903
გამოცხადებული დივიდენდები	132	154
გადასახადები	257	312
	<u>1288</u>	<u>1369</u>
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	4200	4500
საემისიო კაპიტალი	800	900
გაუნაწილებელი მოგება	<u>431</u>	<u>1180</u>
	<u>5431</u>	<u>6580</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	<u>6719</u>	<u>7949</u>

მოგება – ზარალის ანგარიშგება

2007 წელი

დასაბეგრი მოგება	1 381
გადასახადები	310
წმინდა მოგება	1 071

დივიდენდები :

შუალედურად (წინასწარ გადახდილი)	168
საბოლოოდ გამოცხადებული	154
დამატებითი ინფორმაცია	

1. შენობა, რომლის ნარჩენი დირებულება შეადგენდა 184-ს რეალიზებულ იქნა 203-ად. ამავე დროს შესყიდული იქნა ახალი შენობა 312-ად.
2. მოწყობილობა, რომლის საბალანსო დირებულებაა 100, რეალიზებული იქნა 95-ად. მოწყობილობებსა და მანქანა-დანადგარებზე დარიცხულმა ცვეთამ შეადგინა 351.
3. მანქანა-დანადგარების შეძენა – 366
4. შენობის ცვეთა – 11

შესადგენია ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება არაპირდაპირი მეთოდით

ფულადი სახსრების ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

წმინდა მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	1381
დაბეგვრამდე	111
შენობის ცვეთა	351
მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	(19)
ზარალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	5
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთის ზრდა	(660)
დებიტორული მოთხოვნების ზრდა	(323)
კრედიტორული დავალიანების ზრდა	4
გადახდილი დივიდენდები	(300)
გადახდილი გადასახადები	(250)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	295

ფულადი სახსრების ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

შენობის შეძენა	(312)
მანქანა-დანადგარების შეძენა	(366)
შენობის გასვლა	203
მანქანა-დანადგარების გასვლა	95
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(380)

ფულადი სახსრების ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
აქციათა ამისია		400
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		400
ფულადი სახსრების და მისი ეკვივალენტის ცვლილება		315
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტი წლის დასაწყისში		197
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტი წლის დასასრულს		512.

საფინანსო ანგარიშის ლიმიტი. კარგ საფინანსო ანგარიშგებას შეუძლია ძალიან კარგად წარმართოს ორგანიზაციის საქმიანობა. მაგარამ რამდენადაც დაწვრილებითი არ უნდა გვეჩენოს ის მაინც ვერ ასახავს ორგანიზაციის მთლიან შესაძლებლობებს. ამიტომ ორგანიზაციების მენეჯერები, როგორც წესი, ხელმძღვანელობენ საფინანსო ანგარიშგებით როგორც გიდით, რომელიც შეიძლება გვიჩვენებს მიმართულებას, მაგარამ მოქმედების დაწვრილებითი გეგმა დამოკიდებულია მენეჯერების უნარზე, ცოდნაზე და გამოცდილებაზე. მიტომ ამბობენ, რომ საფინანსო ანგარიში ლიმიტირებულია.

საწარმოო დარგები. ორგანიზაციის საქმიანობაზე გავლენას ახდენს მოცემულ ტერიტორიაზე მოქმედი ბევრი ელემენტი : სპეციფიკური საანგარიშგებო პროცედურები, საწარმოო გარემო და ა.შ. ორგანიზაციების ურთიერთობაზე მსჯელობა ძნელია, თუ არ ვიცნობთ საწარმო – სამრეწველო გარემოს. საწარმო გარემო განისაზღვრება მოთხოვნებით, რომელსაც განაპირობებს ადგილობრივი საწარმოო განვითარების ბაზა. სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული სავალდებულო საწევ-დებო კაპიტალია. შესაძლებელია საბრუნავ საშუალებებზე მეტი მოთხოვნა იყოს საჭირო. საბანკო დაწესებულებები განსაკუთრებულად შეისწავლიან სამრეწველო-საფინანსო გარემოს. მათი ინტერესი ეხება საბადოებს, ქიმიურ, საბანკო, სადაზღვევო, სატრანსპორტო წარმოებას და საბაზრო უპირატესობებს მოცემულ ტერიტორიაზე.

კონკრეტური გარემოს ცვლილება. მოცემული საწარმოო-სამრეწველო გარემოს შესწავლა იწვევს კომერციული ინტერესების ცვლილებას. საფინანსო ანგარიშების შესწავლა წარმოადგენს მოცემულ ადგილას არსებულ ორგანიზაციებთან შესას-წავლი ორგანიზაციის მომგებიანობას და ეკონომიკურ პოტენციალს. ახალი კომპანიების, პროდუქციის და ინვესტიციების გამოჩენა იწვევს საერთო ეკონომიკური გარემოს ცვლილებას.

XI. მმართველობითი გულალტერია

პროექტი და სამუშაოების ღირებულება ;
საწარმოო ორგანიზაციის პროდუქტი ;
სამშენებლო ორგანიზაციის ანგარიშის სპეციფიკურობა ;
მართვის ხარისხი და ეთიკა

სამუშაოების ღირებულება დამოკიდებულია დარგზე, რომელშის საქმიანობს ორგანიზაცია. საწარმოო საქმიანობის პროცესში გამოყოფენ საწარმოო და

არსაწარმოო ხარჯებს. სამუშაოს ღირებულებაში შედის ორივე სახის ხარჯი. მასალა არის საწარმოსათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტი. მასალა შეიძლება იყოს ძირითადი – **ეს არის ნედლეული, რისგანაც მზადდება პროდუქცია.** ისეთი მასალა, როგორიცაა საწვავი გენერატორისათვის, მანაქანების დეტალები მიეკუთვნება ზედნადებ ხარჯებს. საწარმოო – სამრეწველო სფეროში მასალების მოცულობა საერთო ხარჯებში ძალიან დიდია, ამიტომ აუცილებელია წარმოებაში მათი შემოსვლის და გასვლის კონტროლი. წიგნის ბოლოში მოყვანილია ასეთი რამდენიმე ფორმა.

დაგუბრუნდეთ ღირებულებას. მნიშვნელოვანია წარმოებული პროდუქციის ერთეულის ღირებულების გაანგარიშება. თუ მმართველობას თავაზობენ ახალი პროდუქციის წარმოებას, პირველი შეკითხვა იქნება – რა მოგებას მოიტანს ეს პროდუქტი. შეუძლებელია ერთეული პროდუქციის ღირებულების დადგენა ზუსტად, ნებისმიერ წარმოებას თან ახლავს დანაკარგები. წარმოების მენეჯერმა შეიძლება თქვას, რომ მას მაგიდის წარმოება უჯდება 225 ლარი (900 : 4). თუ მას შეუკვეთეს 4 მაგიდა და მთლიანად დაიხარჯა 900 ლარი. ერთეულის ფასი გამოყვანილია საერთო ხარჯიდან.

არის შემთხვევები, როდესაც ინვენტარის გარკვეული რაოდენობა ჩაიწერება ხარჯებში, რომელიც შეადგენს შემდეგ პროდუქციის თვითღირებულებას. დანახარჯი არის ის აქტივი, რომელიც მონაწილეობს შემოსავლის მიღებაში. ფული, რომელსაც უხდიან მუშებს მიღის ინვენტარის შესყიდვაზე და არა შემოსავლის მიღებაზე. შემოსავლს მიიღებენ მხოლოდ ინვენტარის რეალიზაციის შემდეგ.

სამშენებლო ორგანიზაციის წარმოების პროდუქტს წარმოადგენს სამშენებლო ობიექტი, რომლის ღირებულების დადგენას აწარმოებს საპროექტო განყოფილება. სამშენებლო ორგანიზაციაში შესასრულებელი სამუშაოები ჩამოიწერება ხარჯთაღრიცხვაში. ეს არის შესასრულებელ სამუშაოებზე ხარჯების ჩამონათვალი. ამიტომაც ეწოდება ხარჯთაღრიცხვა. სამშენებლო სამუშაოებზე ანგარიშობენ პირდაპირ და ზედნადებ ხარჯებს, რომელიც წარმოადგენს თვითღირებულებას.

გასხვავება იმაში მდგომარეობს, რომ მშენებლობაზე გამოყოფენ სამუშაოთა შესრულების რამდენიმე სტადიას და ამის მიხედვით ადგენენ დანახარჯების კატეგორიებს. ასევე ცალკე ანგარიშობენ დანახარჯებს ბრიგადების მიხედვით. ბოლოს აჯამებენ ყველა დანახარჯს, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მის ხარჯთაღრიცხვას.

მმართველობითი აღრიცხვის სპეციფიურობის გასარკვევად შევადაროთ ფინანსურ აღრიცხვას.

ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის შედარება

შედარების სფეროები	ფინანსური აღრიცხვა	მმართველობითი აღრიცხვა
1.ინფორმაციის ძირითადი მომხმარებლები	სამეურნეო ერთეულის გარეშე პირები	შიდასაფირმო მმართველობის სხვადასხვა დონეები
2.ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის სახეობები	ორმაგი ჩაწერის სისტემა	არ არის შეზღუდული ორმაგი ჩაწერის სისტემით
3. არჩევანის თავისუფლება	ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაო პრინ-	არ არის ნორმები და შეზღუდვები ; ერთადერთი

<p>4. გამოყენებული საზომი ერთეული</p>	<p>ციპების დაცვა ფულადი ფაქტის მომენტში კურსია</p> <p>აუცილებელი – სამეურნეო საქმიანობის წარმოშობის მოქმედი</p>	<p>კრიტერიუმი და ზომის ნებისმიერი ფულადი თუ ნატურალური ერთეული : კაც-საათი, მანქანა-საათი და ა. შ. თუ შეფასება ხორციელდება ლარებში, მაშინ შეიძლება გამოყენებულ იქნას ლარის ფაქტიური ან მომავალი ღირებულება.</p> <p>სამეურნეო ერთეულის სხვადასხვა სტრუქტურული ქვედანაყოფები</p> <p>როდესაც საჭიროა, შეიძლება შედგენილ იქნას არარეგულარულადაც</p> <p>ძლიერადაა დამოკიდებული დაგეგმვის მიზნებზე, მაგრამ როდესაც საჭიროა, გამოიყენება ზუსტი მონაცემები ; ძირითადად მომავალზეა ორიენტირებული.</p>
<p>5. ანალიზის ძირითადი ობიექტი</p>	<p>მთლიანად ერთეული</p>	<p>სამეურნეო ერთეულის სხვადასხვა სტრუქტურული ქვედანაყოფები</p>
<p>6. ანგარიშგების შედგენის სიხშირე</p>	<p>პერიოდული, რეგულარულ საფუძველზე</p>	<p>როდესაც საჭიროა, შეიძლება შედგენილ იქნას არარეგულარულადაც</p>
<p>7. საიმედოობის ხარისხი</p>	<p>მოითხოვს ობიექტურობას ; ასახავს ისტორიულ ფაქტებს</p>	<p>ძლიერადაა დამოკიდებული დაგეგმვის მიზნებზე, მაგრამ როდესაც საჭიროა, გამოიყენება ზუსტი მონაცემები ; ძირითადად მომავალზეა ორიენტირებული.</p>

მმართვლობითი პროცესი შედგება წესებისაგან, ბრძანებებისაგან, რომლებიც აკავშირებენ ადამიანებს სამუშაო პროცესში. ამის შედეგად იქმნება პროდუქტი ან იწარმოება მომსახურება. სამუშაო პროცესი დაყოფილია სხვა და სხვა ეტაპებად. ხოლო ადამიანებს ეკისრებათ სამუშაოზე გარკვეული ფუნქციების შესრულება. ამიტომ ძალზედ მნიშვნელოვანია გარკვეული ეთიკის ნორმების დაცვა. ეთიკის ნორმები არ ითვალისწინებს ადამიანების ემოციურ მხარეს და მათ მოქმედებას გადადლის ან ნერვიულობის შედეგად. ეთიკის ნორმების არის საზოგადოებაში ქცევის ნორმები – წესები., რომლის დაცვა უზრუნველყოფს სამუშაოს ხარისხიან შესრულებას.

XII. დაბროვება, აღდგენა და განაწილება

ლოკალიზება.

რეალური ღირებულება.

კლასიფიკაციების ღირებულება.

საბიუჯეტო გადაწყვეტის ლოკალოზაციის ღირებულების გამოყენება.

ლოკალიზება. ლოკალიზებაში იგულისხმება ხარჯების მიკუთვნება წარმოებულ პროდუქციაზე. საფინანსო ანგარიშგების მომზადება დამოკიდებულია დირებულების დადგენაზე. ამიტომ ხარჯების სწორი ანგარიში განაპირობებს ყველა მომდევნო საბუღლატრო – საფინანსო დოკუმენტის მომზადებას. ძირითადი ხარჯების გარდა წარმოებას უწევს ადმინისტრაციის, მომსახურების, სამეურნეო საქმიანობის ხარჯების გაწევაც. ასევე არც თუ ისე უმნიშვნელო ხარჯია რეკლამაზე და წახალისებაზე დანახარჯი, რომელიც ამცირებს მოგებას.

იჯარის გადასახადის მიკუთვნება პროდუქციის დანახარჯებზე ხდება 2 მონაცემის ბაზაზე. ჯერ ანგარიშობენ მთლიანი საიჯარო გადასახადის მონაცემიდან და საიჯარო საგნის მოცულობიდან თითო კვადრატულ მეტრზე საიჯარო გადასახადს. წლიური საიჯარო გადასახადი შეადგენს 21 600 ლარს. საიჯარო საგნი იკავებს 300 კვადრატულ მეტრს :

$$21\ 600 : 300 = 72 \text{ (ლარი)}$$

საიდანაც 40 უკავია ადმინისტრაციას, დანარჩენზე განლაგებულია ცენტები. ადმინისტრაციაზე მოდის : $72 \times 40 = 2\ 880$ (ლარი)

საწარმოო უბანზე მოდის : $260 \times 72 = 15\ 600$ (ლარი)

ეს არის წლიური ანგარიში. ასევე ანგარიშობენ დამხმარე ფართობზე გადასახადს. ხშირ შემთხვევაში ჩვენი საწარმოები ანგარიშობენ საერთო საიჯარო გადასახადს და მთლიანად შეაქვთ საერთო ღირებულებაში. იჯარით აღებული ფართობი მონაწილეობას ღებულობს წარმოების პროცესში, მაგრამ არ წარმოადგენს პირდაპირ დანახარჯს. ის თავის ღირებულებას თანდათან გადაიტანს შესრულებულ სამუშაოებზე საიჯარო გადასახადის სახით. თუ იჯარით არის აღებული მანქანა-დანადგარები, მოწყობილობა, მათ ერიცხებათ ცვეთა წლიურად და ცვეთის ეს ღირებულება გადადის პროდუქციაზე საშუალო სიდიდით.

რეალური ღირებულება. რეალური ღირებულების დადგენა წარმოებს ყველა ანგარიშის დაწვრილებით აღრიცხვის შედეგად. რეალური ღირებულება არის აქტივების, დამატებითი ღირებულების, საამორტიზაციო ანარიცხების და ა.შ. ჯამი.

კლასიფიკაციების ღირებულება. ხარჯების კლასიფიკაციები მიმდინარეობს ყველა დანახარჯის კალკულაციის შედგენით. კალკულაცია არის დანახარჯების ჩამონათვალი კატეგორიების მიხედვით.

საბიუჯეტო გადაწყვეტის ლოკალიზაციის ღირებულების გამოყენება. როგორც ზემოთ აღინიშნა რომ ლოკალიზაცია გულისხმობს ხარჯების სწორ მიკუთვნებას. ბიუჯეტის შედგენა დამოკიდებულია ასეთ გადაწყვეტილებაზე. ჩვენ განვიხილეთ იჯარის გადახდის მაგალითი. აქ შესაძლებელია დამოუკიდებლად განხილულ იქნეს განსხვავებული შემთხვევებიც. მაგალითად იჯარის გადასახადის გაზრდა ან პირიქით შემცირება, რაც შეიძლება გამოწვიული იყოს იჯარის ობიექტის შეკეთებასთან. ეს ცვლილებები გამოიწვევენ ცვლილებას ბიუჯეტშიც.

ბიუჯეტის შედგენის დროს უნდა იყოს გათვალისწინებული არსებული თანხები, რასაც ფლობს ორგანიზაცია. მაგალითისათვის განვიხილოთ სასწავლო ორგანიზაცია. ინსტიტუტის მმართველობითი საბჭო განიხილავს ბიუჯეტის განაწილების საკითხებს. მათ გამოყოფილი აქვთ წლიური ბიუჯეტი $43\ 200$ ლარის ოპერატორით. წინა წლის ბიუჯეტში მათ უკვე ქონდათ ბიუჯეტის განაწილების გამოცდილება. ამ შეხვედრაზე ერთ-ერთი დეპარტამენტის უფროსმა საყვედური

გამოხატა ვინაიდან მისი დეპარტამენტი გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანია და ამიტომ მათ წლის განმავლობაში მეტი ხარჯის გაწევა უწევთ. ამიტომ სხდომაზე გადაწყდა ახალი ბიუჯეტის შედგენა. მათ გაანაწილეს ბიუჯეტის თანხები რაოდენობის მიხედვით. ინსტიტუტი არის 36 ფაკულტეტი და 4 დეპარტამენტი (I დეპარტამენტის შემდაგენლობაში არის 12 ფაკულტეტი, II-ის შემადგენლობაშია – 9, III-შია – 7 და IV-ში - 8). რაოდენობრივი დამოკიდებულებიდან განაწილები მიიღებს შემდეგ სახეს : 43 200 : 36 = 1 200 (ლარი).

ბიუჯეტის განაწილება მიიღებს შემდეგ სახეს. :	
I დეპარტამენტი	1 200 X 12 = 14 400 (ლარი),
II დეპარტამენტი	1 200 X 9 = 10 800 (ლარი),
III დეპარტამენტი	1 200 X 7 = 8 400 (ლარი),
IV დეპარტამენტი	1 200 X 8 = 9 600 (ლარი).
	36 43 200 ლარი.

XIII. მობების და ღირებულების პონტოლის დაბებმვა

მოგების და ღირებულების დაგეგმვა
ღირებულების განსაზღვრა
ბიუჯეტის უპირატესობა
დაგეგმვა
გაყიდვების ბიუჯეტი
გაყიდვების და ადმინისტრაციული ხარჯები

მოგება / ზარალის აღსარიცხავად გამოიყენება ანგარიშს 5330. მოცემული სინთეზური ანგარიში განკუთვნილია საწარმოში მიღებული მოგების (ზარალის) აღსარიცხავად. აღნიშნულ ანგარიშში გროვდება მონაცემები, როგორც მიმდინარე წლის ფინანსურ შედეგზე, ასევე გასულ წლებში მიღებულ და გაუნაწილებელ მოგებაზე და მიღებულ და დაუფარავ ზარალზე. შესაბამისად მოცემულ სინთეზურ ანგარიშს ეხსნება შემდეგი ანგარიშები:

- 5310 – გაუნაწილებელი მოგება
- 5320 – დაუფარავი ზარალი
- 5330 – სანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი

5310 – გაუნაწილებელი მოგება. ეს ანგარიში გამოიყენება საწარმოში მიღებული მოგების იმ ნაწილის აღსარიცხავად, რომელიც ბალანსის შეგენის თარიღისათვის გამოიყენებული არ არის.

5320 – დაუფარავი ზარალი. ეს ანგარიში განკუთვნილია მიღებული ზარალისა და მისი მომდევნო პერიოდში დაფარვის აღსარიცხავად. საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ზარალის დაფარვის პრინციპებიდან გამომდინარე, მოცემულ ანგარიშში დაფიქსირებული დაუფარავი ზარალი ცალკე უნდა იქნას აღრიცხული იმ შემთხვევაშიც, თუ ზარალის მიღების მომდევნო წლებში მიღებული მოგება აღემატება დასაფარავ ზარალს. ე.ი. დაუფარავი ზარალის ჩამოწერა არ ხდება ერთბაშად და მისი დაფარვა მოხდება ყოველწლიურად კოდექსით დადგენილი ოდენობით 5 წლის განმავლობაში (20%).

5330 – საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი. ეს ანგარიში გამოიყენება საანგარიშო პერიოდის ფინანსური შედეგის (მოგება ან ზარალის) დასადგენად. ამ ანგარიშის კრედიტში თავს იყრის საანგარიშგებო პერიოდში მიღებული შემოსავლები, ხოლო დებეტში ხარჯები, რომლებიც ამ შემოსავლების მისაღებად იქნა გაწეული. იგი დროებითი ხასიათის ანგარიშია და იხურება 5310 – „გაუნაწილებული მოგება“ ანგარიშით, როცა წელი მოგებით მთავრდება ან 5320 – „დაუფარავი ზარალი“ ანგარიშთან კორესპონდენციით, როცა წელი ზარალით მთავრდება.

თუ საანგარიშგებო წელი მთავრდება მოგებით, ადგილი აქვს ბუღალტრულ გატარებას

დ 5330 კ 5310

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯებს ეხსნებათ ანგარიში **7400**. მოცემული ანგარიში განკუთვნილია იმ დანახარჯების აღსარიცხავად, რომელიც შესული არ არის მზა პროდუქციისა და რეალიზებული საქონლის თვითორებულებაში. ასეთი დანახარჯებია ადმინისტრაციის ხელფასი დანარიცხებით, მივლინების ხარჯები, საერთო დანიშნულების ძირითადი საშუალებების ცვეთის და რემონტის დანახარჯები, არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის, ტელესაკომუნიკაციო მომსახურების დანახარჯები, იურიდიული, აუდიტორიული, საკონსულტაციო და სხვა მმსახურების ხარჯები, საეჭვო მოთხოვნების ჩამოწერის, საერთო დანიშნულების ტერიტორიის (ეზო) კეთილმოწყობის, დაცვის, კადრების მომზადების და სხვა ხარჯები. აღნიშნულ სინთეზურ ანგარიშს ეხსნება შემდეგი ანგარიშები:

7410 – შრომის ანაზღაურება

7415 – სოციალური დანარიცხები

7420 – საიჯარო ქირა

7425 – საოფისე ინვენტარი

7430 – კომუნიკაციის ხარჯი

7435 – დაზღვევა

7440 – რემონტი

7445 – კომპიუტერის ხარჯები

7450 – საკონსულტაციო ხარჯები

7455 – ცვეთა და ამორტიზაცია

7460 საეჭვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები

7465 – სხვა საგადასახადო ხარჯი

7490 – სხვა საერთო ხარჯი

7435 – დაზღვევა. (საწარმო ბალანსის ჩაბარების პერიოდში უნდა იყოს დაზღვეული რომელიმე სადაზღვევო კომპანიაში, იგი შეადგენს საწარმოს ქონების 0,4%-ს).

7449 – რემონტი. საგადასახადო კოდექსის მიხედვით ძირითადი საშუალებები საბალანსო ღირებულებიდან გამომდინარე, დაყოფილია 5 ჯგუფად, თუ რემონტის დანახარჯი არ აღემატება მთლიანად თავისი ჯგუფის ღირებულების 5%-ს, მაშინ

ის გატარდება რემონტის ხარჯებში, ხოლო თუ რემონტის დანახარჯები აღემატება ძირითადი საშუალებების ღირებულების 5%-ს, განსხვავება ემატება ჯგუფის საბალანსო ღირებულებას. მაგალითად: ჯგუფის საბალანსო ღირებულება 1000 ლარი ჯგუფის ერთ-ერთი დასახელების ძირითადი საშუალების (ვთქვათ ჩარხის) რემონტზე დაიხარჯა 150 ლარი. დანარჩენი 100 ლარი ემატება ჯგუფის საბალანსო ღირებულებას 1000 ლარს, ცვეთის დარიცხვა მოხდება 1100 ლარზე.

მაგალითად: 1. დარიცხულია ადმინისტრაციის მუშაკთა ხელფასი 2000 ლარი დ 7410 კ 3130 – 2000 ლარი

2. გადახდილია სატელეფონო ხარჯი
დ 7430 კ 1110 – 200 ლარი

3. დარიცხულია ადმინისტრაციული შენობის ცვეთა, 1000 ლარი, საოფისე აღჭურვილობის ცვეთა 800 ლარი.

დ 7455 კ 2230 – 1000 ლარი

დ 7455 კ 2260 – 800 ლარი

4. გადახდილია საკონსულტაციო მომსახურებისათვის 500 ლარი

დ 7450 კ 1110 – 500 ლარი

5. საეჭვო ცალი 1000 ლარი აღიარდება ხარჯად

დ 7460 კ 1415 – 1000 ლარი

საწარმო, ეკონომიკური საქმიანობიდან გამომდინარე, იხდის სხვადასხვა გადასახადებს, როგორც არის საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები: ქონების, მიწისს, ბუნებრივი რესურსების სარგებლობისათვის, საერთო სარგებლის საავტომობილო გზების სარგებლობისათვის (საგზაო ფონდი), ადგილობრივ გადასახდელებს ეკონომიკური საქმიანობისთვის, რეკლამის, სიმბოლიკის გამოყენებისათვის და სხვა. ოთოვეული მათგანი გაიანგარიშება საგადასახადო კდექსით დადგენილი განაკვეთის მიხედვით. ისინი საწარმოსთვის წარმოადგენს საგადასახადო ხარჯსა საანგარიშგებო პერიოდის ხარჯებში აისახებიან შემდეგი ბუღალტრული გატარებით:

დ 7465 კ 3390.

ამ გადასახადებისათვის გამოიყენება ანგარიშები გადასახადის სახეების მიხედვით 3391 3392 და ა.შ. მათ გადახდაზე გატარდება ბუღალტრული მუხლი:

დ 3390 კ 1210.

განსაკუთრებულ ანგარიშებს განეკუთვნებათ ანგარიში არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები – **8000**. აღნიშნული ანგარიში განკუთვნილია საწარმოს არასაოპერაციო ეკონომიკური საქმიანობის მიღებული შემოსავლების აღსარიცხავდ. მოცემულ სითოვზურ ანგარიშს ეხსნება შემდეგი ანგარიშები:

8110 – საპროცენტო შემოსავალი

8120 – დივიდენდი

8130 – არასაოპერაციო მოგება

8190 – სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

8110 – საპროცენტო შემოსავალი. ანგარიში გამოიყენება იმ არასაოპერაციო შემოსავლების აღსარიცხავდ, რომელიც მიიღება საწარმოში თამასუქზე, ინვესტიციებზე გაცემულ სესხებზე დარიცხული პროცენტების სახით.

თამასუქზე, ინვესტიციებზე, სესხებზე მისაღები პროცენტის დარიცხვა ხდება ბუღალტრული გატარებით.

დ 1820 კ 8110

8120 – დივიდენდი. ეს ანგარიში გამოიყენება აქციონერი საწარმოს მიერ კუთვნილი დივიდენდის მიღების გამოცხადების დროს, რაზედაც გატარდება ბუღალტრული მუხლი

დ 1810 კ 8120.

8130 – არასაოპერაციო მოგება. ეს ანგარიში გამოიყენება მაგალითად, საწარმოს ძირითადი საშუალების ან არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან, უცხოური ვალუტით განხორციელებული სამეურნეო ოპერაციებიდან მიღებული მოგების აღსარიცხვად. ამ ანგარიშზე აღირიცხება აგრეთვე საიჯარო შემოსავლები, საიჯარო ქირა შეიძლება პირდაპირ მივაკუთვნოთ არასაოპერაციო მოგებას შემდეგი ბუღალტრული გატარებით:

დ 2320 კ 8130.

წლის ბოლოს არასაოპერაციო მოგება იხურება მიმდინავ საანგარიშგებო წლის მოგება-ზარალით.

8190 – სხვა არასაოპერაციო შემოსავალი. ამ ანგარიშზე აღირიცხება ის არასაოპერაციო შემოსავლები, რომლებიც ზემოთ მოცემულ ანგარიშებში არ არის გათვალისწინებული.

არასაოპრეაციო ხარჯების ანგარიშია განკუთვნილია არასამეწარმეო საქმიანობასთან აღსარიცხვად, მას ეხსნება შემდეგი ანგარიშები:

8210 – საპროცენტო ხარჯები

8220 – არასაოპერაციო ზარალი

8290 – სხვა არასაოპერაციო ხარჯები

8200. აღნიშნული ანგარიში დაკავშირებული ხარჯების

8210 – საპროცენტო ხარჯები. ამ ანგარიშზე აღირიცხება სესხის შესაბამისი საპროცენტო განაკვეთის გადახდაზე დარიცხვა შემდეგი ბუღალტრული გატარებით:

დ 8210 კ 3410.

8220 – არასაოპერაციო ზარალი. ეს ანგარიში გამოიყენება არასაოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ზარალის აღსარიცხვად, რომელიც მიიღება, მაგალითად, საწარმოს ძირითადი საშუალებების ან არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან, უცხოური ვალუტით გამხორციელებული სამეურნეო ოპერაციიდან.

8290 – სხვა არასაოპერაციო ხარჯები. ეს ანგარიში გამოიყენება იმ არასაოპერაციო ხარჯების აღსარიცხვად, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ზემოთ განხილულ ანგარიშებში.

ანგარიში **9000** ეხსნება განსაკუთრებულ შემოსავლებსა და ხარჯებს. მოცემული ანგარიში განკუთვნილია იმ სამეურნეო მოვლენების ფინანსური შედეგების აღსარიცხვად, რომელიც უჩვეულოა თავისი ბუნებით და იშვიათად შეიძლება მოხდეს (მაგალითად: აქტივების კონფისკაცია, მიწისძვრა ან სხვა სტიქიური უბედურება).

მოცემულ სინთეზურ ანგარიშს ეხსნება შემდეგი ანგარიშები:

9110 – განსაკუთრებული შემოსავლები

9120 – განსაკუთრებული ხარჯები

მაგალითად: მიწისძვრის შედეგად დაინგრა საწარმოს მშენებარე შენობა, რომლის დანახარჯი შეადგენს 120 000 ლარს. ექსპერტის შეფასებით, შენობის ნაგრევებიდან შესაძლებელია გამოსაყენებლად ვარგისი იყოს 10 000 ლარის სამშენებლო მასალები, რისთვისაც საჭიროა 3000 ლარის დანახარჯები. ეს ოპერაცია ბუღალტრულად შემდეგნაირად აისახება:

დ 9120 კ 2120 – 113 000 ლარი

(ხარჯი 120 000 + 3 000 = 123 000 123 000 – 10 000 = 113 000)

მომდევნო წელს საწარმომ ზარალის კომპენსაციისთვის მიიღო სახელმწიფო გრანტი 50 000 ლარი, რაზედაც გატარდება ბუღალტრული მუხლი:

დ 1210 კ 9110 50 000 ლარი.

ცალკე ანგარიშად არის გამოყოფილი სხვა ხარჯები 9200. 9210 – მოგების გადასახადი – აღნიშნული ანგარიში განკუთვნილია მოგებიდან გადასახადის ხარჯის აღსარიცხავად მისი ოდენობა განისაზღვრება საწარმოს წმინდა შემოსავლიდან საგადასახადო კოდექსით დადგენილი მოგების გადასახადის ტარიფიდან (20%) გამომდინარე.

მოგების გადასახადის დარიცხვაზე გატარდება ბუღალტრული მუხლი:

დ 9210 კ 3310.

დ 5330 კ 9210.

ხოლო ზარალის შემთხვევაში გატარდება ბუღალტრული მუხლი

დ 5320 კ 5330.

ცალკე საკითხად გვინდა გამოვყოთ შემდეგი ანგარიშები.

შვებულების თანხის ანგარიში. შვებულება არის 18, 24, 36, 48 დღიანი, უფრო ხშირად გვხვდება 24 დღიანი შვებულება:

მაგალითად: თანამშრომელი მიდის შვებულებაში (24 დღიანი) 20 ივლისიდან. მისი ხელფასი შეადგენს 180 ლარს (შვებულების დღეებში შედის შაბათიც). ვთქვათ 24 სამუშაო დღე არის 15 აგვისტოს ჩათვლით. ვიანგარიშოთ შვებულების თანხა:

ა) თანამშრომელს უნდა მიეცეს ხელფასი 1-დან 20 ივლისამდე. ვთქვათ, ივლისის თვეში არის 23 სამუშაო დღე, 20 ივლისამდე კი სამუშაო დღეებმა შეადგინა 13, მაშინ 20 ივლისამდე გასაცემი ხელფასი იქნება:

$$\frac{180}{23} * 13 = 101,74 \text{ ლარი;}$$

ბ) შვებულების თანხა შეადგენს:

$$\frac{180}{25,4} * 24 = 170,08 \text{ ლარს,}$$

სადაც 25,4 არის მუდმივი კოეფიციენტი, როელიც გამოიყენება შვებულების თანხის გაანგარიშების დროს.

365 დღე გავყოთ 12 უდრის 25,4

სულ გასაცემი თანხა შეადგენს დაკავების გარეშე:

$$101,74 + 170,08 = 271,82 \text{ ლარს.}$$

საშემოსავლო გადასახადი შეადგენს 271,82 ლარის 25 % = 67,95 ლარს

$$\text{ხელზე გასაცემი თანხა შეადგენს } 271,82 - 67,95 = 203,85 \text{ ლარი}$$

დახმარება დროებით შრომისუუნარობისთვის. აღნიშნული დახმარება მიეცემა მუშაკებს სოცდაზღვევის ფონდიდან. არსებობს დროებითი შრომისუუნარობისთვის გასაცემი ხელფასის შემდეგი განაკვეთი:

სტაჟი 5 წლამდე – ეძლევათ ხელფასის 60%

სტაჟი 5-8 წლამდე – ეძლევა ხელფასის 80%

სტაჟი 8 წლის ზევით – ეძლევა ხელფასის 100%

100% ეძლევათ აგრეთვე 18 წლამდე მომზადებას, მრავალშეილიან დედებს, დეკრეტულ შვებულებაში მყოფს.

მაგალითად: ვთქვათ, თანამშრომელმა წარმოადგინა 5 დღის საავადმყოფო ფურცელი, მისი ხელფასი შეადგენს 100 კარს, ვიანგარიშოთ საავადმყოფო ფურცელით მუშაკის დახმარება. მისი სტაჟი შეადგენს 6 წელს.

ა) ბოლო 2 თვის მიხედვით ვიგებთ ერთი დღის სამუშაო ხელფასს, ვთქვათ 2 თვეში სამუშაო დრეებმა შეადგინა 45, მაშინ მუშაკის 1 დღის საშუალო ხელფასი იქნება

$$200 / 45 = 4,44 \text{ ლარი}$$

ბ) სტაჟის მიხედვით მუშაკს დახმარება ეძლევა ხელფასის 80%. 1 დღეში გასაცემი დახმარება შეადგენს:

$$4,44\text{-ის } 80\% = 3,55;$$

გ) საავადმყოფო ფურცლით მუშაკს 5 დღეზე მიეცემა დახმარება
 $3,55 \times 5 = 17,75 \text{ ლარი.}$

XIV. კაპიტალური ინვესტიციების დაგენერაცია

ამ თავში განიხილება შემდეგი საკითხები :

კაპიტალური ინვესტიციების დაგენერაცია
კაპიტალის ანალიზის ტექნიკა ; საინვესტიციო გადასახადი
სალაროს მოძრაობა / ბრუნვა
კაპიტალური ინვესტიციების შესაძლებლობები
საგადასახადო გალდებულებები
აუდიტი

გრძელვადიანი საოპერაციო აქტივებისათვის შესყიდვებს ეწოდება კაპიტალური ინვესტიცია. კაპიტალური ინვესტიცია განსხვავდება სააქციო კაპიტალისაგან. აქციები შეიძლება გაიყიდოს ბირჟაზე. აპიტალური ინვესტიცია კი ჩანს მხოლოდ მაშინ, როდესაც მათი გამოყენება ხდება. კაპიტალური ინვესტიციების გამოყენება ხდება, მაშინ როდესაც მიღებულია გადაწყვეტილება შეიცვალოს მიმდინარე სალაროში ფულის მოძრაობა მომავალში ფულის შემოდინების ზრდის მიზნით. მაგალითად, კომპანია წყვიტავს პროდუქციის შესყიდვას იმიტომ, რომ მომავალში მოელის შემოსავალს 20 000 ლარის ოდენობით. კომპანია წყვიტავს ამ საკითხს, როდესაც იცის, რომ თუ ახლა გაიღებს 75 000 ლარს, მომდევნო 4 წლის მანძილზე მიიღებს ყოველწლიურად 20 000 ლარს

შემოსავალს. დღეს ის ხარჯავს 75 000 ლარს და 4 წელიწადში მიიღებს ჯამურად 80 000 ლარს (20 000 X 4). თუ 20 000 ლარის მაგივრად ის შეაგროვებს წლიურად მხოლოდ 18 750 ლარს. მაშინ კომპანია მიიღებს 75 000 ლარს (18 750 X 4). თუ კომპანია არაა დარწმუნებული, რომ ასეთ ხარჯს აქვს გამართლება, მაშინ შეიძლება გაიღოს მხოლოდ 50 000 ლარი. გადაწყვეტილების მიღებას წინ უსწრებს ბაზრის უფრადლებით შესწავლა.

ამ გადაწყვეტილებაზე ასევე იმოქმედებს ლარის შემსყვიდველობითი უნარი. თუ დღეს ლარი დოლართან მიმართებაში 1.45 – ია, 4 წლის შემდეგ შესაძლებელია მისი კურსი შეიცვალოს. აქტივებში განივთებული ინვესტიცია სამომავლოდ შეიძლება იძლეოდეს გაცილებით დიდ შემოსავალს. თუ კურსი შეიცვლება მომავალში 10%-ით, მაშინ მისი ზრდის შემთხვევაში ყოველი 100 ლარი მოიტანს 10 ლარს. კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვის დროს უნდა გაითვალოს ამ ინვესტიციის მინიმალური და მაქსიმალური შესაძლებლობა.

ქვემოთ მოყვანილია კაპიტალური ინვესტიციების ანგარიშები და მაგალითები და ფულის მოძრაობა სალაროს ანგარიშზე.

გრძელვადიან ინვესტიციებს ეხსნებათ სინოჟური ანგარიში **2400**. აღნიშნული სინოჟური ანგარიში განკუთვნილია სხვა მეურნე სუბიექტის კაპიტალში ხანგრძლივი ვადით (ერთი წელზე მეტი) დაბანდებული თანხების აღსარიცხავად. ინვესტიცია შეიძლება განხორციელებული იყოს ობლიგაციების, აქციების ან სხვა ფასიანი ქაღალდების შეძენის გზით, შპა-ში წილობრივი მონაწილეობით ან სხვა ფორმით. მათი აღრიცხვა ხდება შეძენის ღირებულებით შეძენის დღიდან, ხოლო ბალანსში ასახვას შესაძლებელია თვითდირებულებით, გადაფასებული ღირებულებით ან თვითდირებულებასა და საბაზრო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

„გრძელვადიანი ინვესტიციების“ სინოჟურ ანგარიშს ეხსნება შემდეგი ანგარიშები:

- 2410 – გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში
- 2420 – გრძელვადიანი ინვესტიციები სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში
- 2430 – მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში
- 2490 – სხვა გრძელვადიანი ინვესტიციები

2430 – მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში – გრძელვადიანი ინვესტიცია შესაძლებელია არსებობდეს სხვა საწარმოში წილობრივი მონაწილეობის ისეთი სახით, რომელიც იშვიათად შეიძლება იყოს გაყიდვის ობიექტი, ასეთი გრძელვადიანი ინვესტიციის რეალური ღირებულების დადგენა ძნელია, ამიტომ ისინი უმთავრესად თვითდირებულებით აისახება როგორც ბუღალტრულ ანგარიშებში, ასევე ბალანსში.

2410 – გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში – აღირიცხება გრძელვადიანი ინვესტიციების შეძენა. ვთქვათ შევიძინეთ გრძელვადიანი ინვესტიცია აქციებში 50000 ლარად 4 წლის ვადით. გადავიხდეთ საბროკერო მომსახურებისათვის 3000 ლარი. ოპერაციას მივცეთ ბუღალტრული გატარება:

დ 2410 კ 1210 – 53000 ლარი.

მიმდინარე წელს გადასახდელია ინვესტიციის ღირებულების ნაწილი:

დ 1330 კ 2410 – 12500 ლარი,

თუ გადაგვიხდიან ინვესტიციის ღირებულებას:

დ 1210 კ 1330 - 12500 ლარი.

შესაბამისად ხდება მასზე პროცენტის დარიცხვა და პროცენტის შემოსავლის აღრიცხვა.

ბროკერის მომსახურების თანხა უნდა ჩამოიწეროს საპროცენტო შემოსავლიდან.

რაც შეეხება – 2420 – გრძელვადიანი ინვესტიციები სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში აღირიცხება როგორც 2410 ანგარიში.

კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვა.

ინვესტიცია არის აქტივი, რომელსაც ფლობს საწარმო საკუთარი სიმდიდრის გასაზრდელად შემოსავლების (პროცენტების, როიალტის, დივიდენდებისა და საიჯარო ქირის) განაწილების საშუალებით, კაპიტალის ან სხვა ახის სარგებლობის (როგორიცაა სარგებელი კომერციული საქმიანობიდან) გასაძიდებლად ინვესტიციების ჩამდები საწარმოსათვის.

ინვესტიცია სხვადასხვა სახით არსებობს : ივესტიციების შემადგენლობაში უდიდესი ხვედრითი წილი უკავია ინვესტიციებს ფასიან ქაღალდებში. ფასიანი ქაღალდები გამოხატავენ გარკვეულ ქონებრივ დამოკიდებულებას ფასიანი ქაღალდების გამოშვებასა და მის მფლობელს შორის. ფასიან ქაღალდებს მიეკუთვნება აქციები, ობლიგაციები, სერთიფიკატები და სხვა. ინვესტორი საკუთარი სიმდიდრის გასაზრდელად შეიძლება იყენებდეს მატერიალური სახით არსებულ საკუთრებას, რომელიც საინვესტიციო ქონებად იწოდება. საინვესტიციო ქონება არის ინვესტიცია განხორციელებული მიწასა და შენობა-ნაგებობებში.

საწარმო ინვესტიციას სხვადასხვა მიზნით ახორციელებს. ზოგიერთი საწარმოპათვის სინვესტიციო საქმიანობა წარმოადგენს მისი ეკონომიკური საქმიანობის მნიშვნელოვან ელემენტს, ზოგიერთი საწარმო ინვესტიციებს დებს დამატებითი ფულად სახსრების მიღების მიზნით, კომერციული ურთიერთობების გასაძლიერებლად ან კომერციული უპირატესობების მისაღებად.

თავისი მოქმდების ვადის მიხედვით ინვესტიცია არის მოკლევადიანი და გრძელვადიანი.

მოკლევადიანი (მიმდინარე) ინვესტიცია არის ისეთი ტიპის ინვესტიცია, რომელიც თავისი ბუნებით ადვილად რეალიზებადია და მისი შენარჩუნება არ არის გათვალისწინებული ერთ წელზე მეტი ხნით.

მოკლევადიანი ინვესტიციების აღსარიცხვად გამოიყენება სინთეზური ანგარიში 1300 „ მოკლევადიანი ინვესტიციები“: ეს ანგარიში ითვალისწინებს ბაზარზე მოქმედი ფასიანი ქაღალდების ცალკე აღრიცხვას მათი 2 ჯგუფად დაყოფით: ერთი ჯგუფი აერთიანებს საწარმოთა ფასიან ქაღალდებს, მეორე – სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს. მოკლევადიანი ინვესტიციების ანგარიშში ცალკე ანგარიშია გამოყოფილი გრძელვადიანი ინვესტიციების იმ ნაწილის აღსარიცხვად, რომელთა განსხვავებაც გადაწყვეტილის საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წელს. შესაბამისად მოცემულ სინთეზურ ანგარიშს ეხსნება შემდეგი ანგარიშები:

1310 – მოკლევადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში

1320 - მოკლევადიანი ინვესტიციები სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში

1330 - გრძელვადიანი ინვესტიციების მიმდინარე ნაწილი

1390 – სხვა მოკლევადიანი ინვესტიციები.

მოკლევადიანი ინვესტიციების ანალიზური აღრიცხვა ხდება სესხების მიხედვით არა ნომინალური ღირებულებით არამედ, შეძენის თვითღირებულებით (შეძენის მომენტში) ან საბაზრო ღირებულებით ან საბაზრო ღირებულებისა და ინვესტიციების თვითღირებულებას შორის ღირებულებით.

ინვესტიციების თვითღირებულება შეიძლება იყოს მისი ფასისა და შეძენასთან დაკავშირებული ისეთი დანახარჯებისაგან, როგორიცაა: ბროკერის გასამრჯელო, ბაჟი, საკომისიო გადასახადები და საბანკო მომსახურების დანახარჯები.

ინვესტიცია შეიძლება შეძენილი იყოს ფულზე ან სხვა აქტივზე გაცვლით. ინვესტიციების თვითღირებულება მცირდება მისაღები პროცენტებისა და

დივიდენდების თანხით იმ შემთხვევაში, თუ მათი გადახდა ხდება ინვესტიციის შეძენამდე მიღებული მოგებიდან და მათი მკაფიოდ გამიჯვნა შესაძლებელია.

მაგ.: 1. საწარმომ შეიძინა საწარმოსაგან 1 000 ცალი აქცია, ცალი 20 ლარად. მომსახურებისათვის ბროკერს გადაუხადა 500 ლარი. ესე იგი შეძენის თვითორებულებამ შეადგინა 20 500 ლარი ($1\ 000*20+500$). ს ოპერაცია შემდეგნაირად აისახება:

დ 1310 კ 1110 – 20 500 ლარი.

2. 2002 წლის მარტში ერთმა საწარმომ შეიძინა სხვა საწარმოსაგან 500 აქცია. ერთი აქცია 20 ლარად, მომსახურებისათვის ბროკერს გადაუხადა 300 ლარი. შეძენის თარიღისათვის საწარმოს გამოცხადებული ჰქონდა დივიდენდი 1 აქციაზე 2 ლარით. დივიდენდების გაცემა დაიწყება 1 მაისიდან.

შეძენილი აქციის თვითორებულება შეადგენს:

აქციების ღირებულებას ($500*20$) დამატებული შეძანასთან დაკავშირებული ხარჯები (300)

დ 1310 კ 1110 – 10 300 ლარი

აქციაზე გამოცხადებული დივიდენდი ($500*2$) ე.ი.

დ 1810 კ 8120 – 1 000 ლარი

დივიდენდის მიღებას საწარმო ასახავს ბუღალტრული გატარებით:

დ 1110 კ 1310 – 10 000 ლარი

3. ერთმა საწარმომ შეიძინა სხვა საწარმოსაგან 100 ობლიგაცია 50 000 ლარად. ბროკერს გადაუხადა საკომისიო 1 200 ლარი. ობლიგაციის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 12%-ს. პროცენტის გადახდა წელიწადში 2-ჯერ. ვთქვათ შეძენილია 2002 წელს და მისი განაღდება უნდა მოხდეს 2003 წლის 31 დეკემბერს.

მოცემული ოპერაცია აისახება შემდეგნაირად:

1. ობლიგაციის შეძენა:

დ 1310 კ 1210 – 51 200 ლარი ($50\ 000 + 1\ 200$)

2. ინვესტიციაზე პროცენტის დარიცხვა:

დ 1820 კ 8110 – 6 000 ლარი ;

3. ობლიგაციის შეძენასთან დაკავშირებული გაწეული ხარჯის (ბროკერის საკომისიო ანაზღაურება) ჩაიწერება :

დ 8110 კ 1310 – 1 200 ლარი ;

4. ინვესტიციაზე დარიცხული პროცენტის განაღდება :

დ 1210 კ 1820 – 6 000 ლარი ;

5. ინვესტიციის განაღდება :

დ 1210 კ 1310 – 50 000 ლარი.

არსებობს ინვესტიციაზე პროცენტის დარიცხვის ორი მეთოდი :

1. 360 დღიანი წლის მეთოდი. ამ მეთოდის მიხედვით ინვესტიციაზე პროცენტის დარიცხვა ხდება ყოველთვიურად თანაბარი თანხის რაოდენობით ($360:30=12$) მისაღები საპროცენტო თანხის გაყოფით 12-ზე ($\text{მოცემული მაგალითის } \frac{\text{მიხედვით}}{\text{მისაღები}} \text{ საპროცენტო } \frac{6\ 000}{50\ 000} \text{ ლარის } 12\% = 6\ 000 \text{ ლარს, ხოლო } \frac{6\ 000}{50\ 000} \text{ ლარის } 12\% = 6\ 000:12=500 \text{ ლარს.}$).

2. 365 დღიანი წლის მეთოდი. ამ მეთოდის მიხედვით წლის განმავლობაში მისაღები საპროცენტო თანხა იყოფა 365 დღეზე და იანგარიშება 1 დღის მისაღები საპროცენტო თანხა. მისაღები საპროცენტო თანხის დარიცხვა ყოველთვიურად ხდება შემდეგნაირად : იანგარი 31*1 დღის საპროცენტო თანხაზე. თებერვალი $28*1$ დღის მისაღებ საპროცენტო თანხაზე. არტი 31*1 დღის მისაღებ საპროცენტო თანხაზე და ასე შემდეგ. ზემოთ მოყვანილი მაგალითის მიხედვით 1 დღის მისაღებ საპროცენტო თანხა $6\ 000:365=16.4$ ლარის.

ყოველთვიურად მისადები საპროცენტო თანხა ტოლი იქნება:
 იანგარში 31*16.4=508.4 ლარი,
 თებერვალი 28*16.4=459.3 ლარი,
 მარტი 31*16.4=508.4 ლარი და ა.შ.

კაპიტალის ანალიზის ტექნიკა. საკუთარი კაპიტალი საწარმოს აქტივების ნაწილია, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების დაფარვის შემდეგ. მას ეს ნება ანგარიში **5000.** საკუთარ კაპიტალის სტრუქტურა დამოკიდებულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე და საქმიანობის სფეროზე. საკუთარი კაპიტალის ყველაზე რთული სტრუქტურა ახასიათებს სააქციო საზოგადოებას. მათი საკუთარი კაპიტალი ბალანსში შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად: აქციონერთა შენატანები, გაუნაწილებელი მოგება, გაუნაწილებელი მოგებიდან შექმნილი რეზერვები და რეზერვები, რომლებიც უზრუნველყოფენ კაპიტალის შენარჩუნებას.

საქართველოს სამეწარმეო კანონმდებლობის თანახმად, სააქციო საზოგადოებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საწყის კაპიტალს უწოდებენ საწესდებო კაპიტალს.

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს სააქციო საზოგადოების რეგისტრაციის მომენტისათვის პარტნიორი დამფუძნებლების მიერ განსაზღვრული თანხის ოდენობას, რომელიც არ შეიძლება 15000 ლარზე ნაკლები იყოს. მას ეს ნება ანგარიში **5100.** იგი არსებობს აქციების სახით. აქცია წარმოადგენს საბუთს, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის (აქციონერის) მიმართ და აქციონერის საკუთრების უფლებას კაპიტალზე. სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას აუცილებელია, საწესდებო კაპიტალის ნახევარი, ე.ი. 50%-ის დირებულება გადახდილი იყოს. დაუშვებელია აქციის პირველადი გაყიდვა ნომინალზე ნაკლები ღირებულებით.

სინთეზური ანგარიში **5100** – „საწესდებო კაპიტალი“ გამოიყენება შეზღუდული ქონებრივი პასუხისმგებლობის საზოგადოებების საწესდებო კაპიტალი აღსარიცხავად. განსხვავებული სახის აქციების არსებობის გამო მოცემულ სინთეზურ ანგარიშს ეს ნება შემდეგი ანგარიშები:

- 5110 – ჩვეულებრივი აქციები
- 51200 – პრივილეგიური აქციები
- 5130 – გამოსყიდული საკუთარი აქციები
- 5140 – საემისიო კაპიტალი
- 5150 – საწესდებო კაპიტალი შპს-ში

5110 – ჩვეულებრივი აქციები. ამ ანგარიშზე აღირიცხება საწარმოს მიერ გამოშვებული (აქციონერთა ხელთ არსებული) ჩვეულებრივი აქციები ნომინალური დირებულებით.

ჩვეულებრივი აქციის მფლობელს გააჩნია ხმის უფლება, ე.ი. უფლება – მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების საქმიანობის მართვაში (1 ჩვეულებრივი აქცია მის მფლობელს აქციონერთა საერთო კრებაზე აძლევს 1 ხმის უფლებას).

ჩვეულებრივი აქციის გამოშვება ბუღალტრულად გატარდება შემდეგნაირად, მაგალითად: რეალიზებულია 5000 ჩვეულებრივი აქცია 10 ლარის ნომინალური ფასით.

დ 1210 კ 5110 – 5000 ლარი

5120 – პრივილეგიური აქციები. აღნიშნული ანგარიში განკუთვნილია გამოშვებული პრივილიგიური აქციების აღსარიცხავად ნომინალური ღირებულებით.

სააქციო საზოგადოების დამფუძნებლები აქციების გაყიდვით იზიდავენ კაპიტალს, მაგრამ მათ არ უნდათ ხმის ანუ უფლების გადაცემა სააქციო საზოგადოების განკარგულებაში, ამიტომ ისინი აქციონერებს ხმის სანაცვლოდ სთავაზობენ პრივილეგიურ აქციებს, რომელიც მის მფლობელს უფლებას აძლევს პირველ რიგში მიიღოს დივიდენდი წინასწარ განსაზღვრული სიდიდით. საზოგადოების ლიკვიდაციის ან გაკოტრების შემთხვევაში იგი იძლევა უფლებას ქონებრივ პრეტენზიებზე, აქციების კონვერტაციის მოთხოვნების უფლებას სხვა ფასიან ქაღალდებზი, მაგალითად: ობლიგაციებში, ამავე დროს, ჩვეულებრივი აქციებისაგან განსხვავებით პრივილეგიური აქციები არ იძლევა ხმის უფლებას საერთო კრებაზე.

არსებობს კონვერტირებადი და არაკონვერტირებადი პრივილეგიური აქციები. კონვერტირებადი აქცია განსაზღვრულ ვადაში შეიძლება გაიცვალოს ჩვეულებრივ აქციაზე ან სხვა ფასიან ქაღალდზე.

არაკონვერტირებადი აქცია არ ითვალისწინებს მის გაცვლას სხვა ფასიან ქაღალდებზი.

ჩვეულებრივი აქციის მსგავსად პრივილეგიური აქციის გამოშვება ბუღალტრულად აისახება შემდეგნაირად: მაგალითად, საწარმომ გამოუშვა 1 000 ცალი პრივილეგიური აქცია ნომინალური ღირებულებით 10 ლარი.

დ 1210 კ 5120 – 10 000 ლარი.

5130 – გამოსყიდული საკუთარი აქციები. ამ ანგარიშზე აღირიცხება საწარმოს მიერ გამოსყიდული საკუთარი აქციები შეძენის ღირებულებით.

ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია ბრუნვაში მყოფი აქციების დაბრუნება, ასეთ აქციებს ეწოდება გამოსყიდული საკუთარი აქციები ან „პორტფელში მყოფი“ აქციები. საკუთარი აქციის გამოსყიდვა შესაძლებელია განხორციელდეს ნებაყოფლობით ან აქციონერის კანონზომიერი მოთხოვნით. საწარმო საკუთარ აქციას შეიძენს სხვადასხვა მოსაზრებით, ნებაყოფლობით როგორიცაა:

1) საწარმოს აქვიებისათვის ხელსაყრელი კორექტივის შენარჩუნება (ბაზარზე იგრძნობა საკუთარი აქციების ერთგვარი სიჭარბე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს აქციებზე ფასის დაცემა. გამოსყიდვის შემთხვევაში ბაზარზე აქციების რაოდენობა მცირდება და ფასიც არაპროპორციულად გაიზრდება).

2) სხვა საწარმოს მიერ საკონტროლო პაკეტის ხელში ჩაგდების გამორიცხვა.

3) აქციების მარაგის შექმნა საწარმოს მუშევბზე ოფციონით გასავრცელებლად (ოფციონი არის შეთანხმება კორპორაციასა და თანამშრომლებს შორის აქციის შედაგათიანი პირობით შესყიდვის შესახებ), კონვერტაციის უზრუნველსაყოფად ან სხვა საწარმოს შესაძენად და სხვა.

მაგალითად: საწარმომ გამოისყიდა 500 ცალი საკუთარი აქცია 2 000 ლარად, რაც ბუღალტრულად ასე აისახება:

დ 5130 კ 1210 – 2 000 ლარი.

5140 – საემისიო კაპიტალი. აქციების პირველადი გაყიდვა ხდება ნომინალურზე მაღალ ფასში ან უკიდურეს შემთხვევაში ნომინალური ღირებულებით. თუ აქცია იყიდება ნომინალური ღირებულებით, ეს იმას ნიშნავს, რომ აქციით მოზიდულია იმ ოდენობის კაპიტალი, რაც წინასწარ იყო დადგენილი, ხოლო მონიმაღურზე მაღალ ფასში გაყიდვისას აქციას მოაქვს დამატებითი კაპიტალი, რომელიც საემისი კაპიტალის სახით არის ცნობილი. საემისიო კაპიტალი საკუთარი კაპიტალია და მიეკუთვნება რეზერვების ჯგუფს.

პირველად ბაზარზე აქციების გაყიდვისას ნომინალურ ღირებულებასა და გასაყიდ ფასს შორის სხვაობა აღირიცხება 5140 ანგარიშზე – საემისიო კაპიტალი. საემისიო კაპიტალი არ ექვემდებარება აქციონერებს შორის განაწილებას და

გამოიყენება აქციების მეორად ბაზარზე გაყიდვის შემდეგ მიღებული ზარალის დასაფარავად.

მაგალითად: გამოშვებულია 500 ცალი ჩვეულებრივი აქცია ნომინალური დირებულებით 2ლარი, ხოლო მისი საბაზრო დირებულება შეადგენს 3 ლარს. ამ ოპერაციაზე გატარდება ბუღალტრული მუხლი:

დ 1210 კ 5110 – 10 000 ლარი;

დ 1210 კ 5140 – 5 000 ლარი,

ე.ი. სულ რეალიზებული 1 500 ლარის აქცია.

5150 – საწესდებო კაპიტალი შპს-ში. საკუთარი კაპიტალის აღრიცხვას შპს-ში ახასიათებს თავისებურებები, რომელსაც განაპირობებს სამეწარმეო კანონ-მდებლობით დადგენილი განსაკუთრებული დებულებები. ეს დებულებები კრძალავს პარტნიორის წილის თავისუფალ გაყიდვას, ასევე შპს-ში ადგილი არა აქს საწარმოს მიერ პარტნიორისაგან წილის გამოსყიდვას და პარტნიორთა პრივილეგიურ მონაწილეობას მოგების განაწილებაში, შესაბამისად არ წარმოიშობა საემისიო კაპიტალი.

საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონის თანახმად, საწესდებო კაპიტალის სიდიდე შპს-ში უნდა არანაკლებ 2000 ლარის.

სააქციო საზოგადოების მხებასად, შპს-ში საწესდებო კაპიტალში შესატანის ნახევარი შეტანილი უნდა იქნას წესდების ხელისმოწერისთანავე თუ წესდება მეტის შეტანას არ ითვალისწინებს.

მაგალითად: 3 პარტნიორის მიერ დაფუძნებულია შპს „---“, რომლის საწესდებო კაპიტალი 6000 ლარს შეადგენს. ისინი თანაბრად ფლობენ წილს კაპიტალში (2000 ლარი). I დამფუძნებელმა თავის წილად შემოიტანა 2000 ლარი, II-მ შემოიტანა 1500 ლარად შეფასებული მანქანა-დანადგარები და 500 ლარი ნაღდი ფული. III დამფუძნებელი იღებს ვალდებულებას იმაზე, რომ 6 თვეში შემოიტანოს თავის წილს 2000 ლარს.

შპს-ს რეგისტაციის დროს შექმნილი კაპიტალი და შპს-თან დაკავშირებული ოპერაციები აისახება შემდეგნაირად:

დ 1110 კ 5150 – 2000 ლარი – I დამფუძნებელი

დ 2150 კ 5150 1500 } II დამფუძნებელი
დ 1150 კ 5150 500 } III დამფუძნებელი

დ 1460 კ 5150 – 2000 ლარი – III დამფუძნებელი

6 თვის გასვლის შემდეგ III დამფუძნებელმა შემოიტანა თავისი წილი კაპიტალი საოფისე აღჭურვილობის სახით – შეფასებული 2000 ლარად.

დ 2160 კ 1460 – 2000 ლარი

დამფუძნებელი ვალდებულია, დათქმული ვადის ამოწურვაზე, შეავსოს კაპიტალი არანაკლებ დათქმული სიდიდისა. თუ პარტნიორს შემოაქვს შენატანი ვადის ამოწურვამდე, მას ეძლევა დამატებითი ვადა 1 თვე, ხოლო თუ დამატებით ვადაშიც ვერ მოხერხდება კაპიტალის შევსება, პარტნიორი გაირიცხება წევრობიდან. თუ შემონატანი აუცილებელი იყო საწესდებო კაპიტალის მინიმალური სიდიდის შესავსებათ (ჩვენი მაგალითის მიხედვით $6000/2=3000$), ის უნდა გადანაწილდეს არსებულ პარტნიორებს შორის.

მოცემულ მაგალითში

III პარტნიორს რომ არ შემოეტანა თავისი წილი, საწესდებო კაპიტალის მინიმალური სიდიდე, მაინც იქნებოდა უზრუნველყოფილი და შეადგენდა 4000 ლარს ($6000 - 2000$).

ამ შემთხვევაში წესდება ცვლილებების შეტანით უქმდება III პარტნიორის წილი 2000 ლარი. საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება შესრულებული

შემონატანის 4000 ლარის (20000 2000) ოდენობით. აღნიშნული გადაწყვეტილება ბუღატრულად გატარდება შემდეგნაირად:

დ 5150 კ 1460 – 2000 ლარი

საწესდებო კაპიტალი არის იურიდიულად (ნოტარიულად) რეგისტრირებული კაპიტალი და ნებისმიერი მისი ცვლილება (პარტნიორების წილების გადანაწილება, შემცირება, ზრდა) აუცილებლად უნდა აისახოს საზოგადოების წესდებაში, თუ რომელიმე პარტნიორი განიზრახავს საკუთარი წილის შემცირებას, საჭიროა დანარჩენი პარტნიორების თანხმობა. ვთქვათ მოცემულ მაგალითში II პარტნიორმა გადაწყვიტა საკუთარ შენატაბიდან დაიბრუნოს 5 000 ლარი, მაშინ წესდებაში ცვლილების შეტანის შემდეგ I პარტნიორის წილი საწესდებო კაპიტალი იქნება 2 000 ლარი, ხოლო II პარტნიორის წილი 1 500 ლარი. ეს ოპერაცია ბუღატრულად გატარდება შემდეგნაირად:

დ 5150 კ 1110 – 500 ლარი.

იგივე ბუღატრული გატარება ხდება მაშინ, როდესაც საზოგადოებიდან გადის ერთ-ერთი პარტნიორი და მას მიეცემა თავისი წილი ფულის სახით.

ცალკე არის განსახილველი პარტნიორთა კაპიტალი – 5200. აღნიშნული სინ-თეზური ანგარიში განკუთვნილია იმ საწარმოთა პარტნიორების საკუთარი კაპიტალის მოძრაობის აღსარიცხავად, რომელთაც შეზღუდული ქონებრივი პასუ-ხისმგებლობა არ გააჩნიათ (ინდივიდუალური საწარმო, სოლიდური პასუხის-მგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება).

ინდივიდუალური მეწარმე არის ფიზიკური პირი, რომლის სამეწარმეო საქმიანობისათვის აუცილებელია სამეწარმეო წესით მოწყობილი ორგანიზაცია, მოწესრიგებული სალარო და ბუღატრული აღრიცხვა. იგი პირადად აგებს პასუხს ვალდებულებებზე კრედიტორების წინაშე.

სოლიდური პასუხისმგებლობის საზოგადოებაში – რამდენიმე ფიზიკური პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას და პარტნიორები საზოგადოების ვალდებულე-ბებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვა-ლები – უშუალოდ, მთელი თავისი პირადი ქონებით.

კომანდიტურ საზოგადოებაში – რამდენიმე პირი ერთობლივად, ერთიანი საფინანსო სახელწოდებით ეწევა არაერთჯერადად და დამოუკიდებელ მეწარმეობას და პარტნიორები საზოგადოების კრედიტო-რების წინაშე განსაზღვრული საგარანტო თანხის გადახდით შემოიფარგლება. საგარანტო თანხა განისაზღვრება წესდებით.

ზემოთ ჩამოთვლილი საწარმოების „მეწარემეთა შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად არ გააჩნიათ რეზერვებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშები. ამდენად, მათი საკუთარი კაპიტალი წარმოდგენილი იქნება მხოლოდ ერთი ანგარიშით, რომელსაც ეხსნება ანალოგიური ანგარიშები პარტნიორთა პირადი ანგარიშების სახით (5211, 5212, 5213 და ასე შემდეგ).

საწარმოს ფინანსური ანგარიშგების **აუდიტის** ჩატარებისას ხელშეკრულების საგანს წარმოდგენს ფინანსური ანგარიშგების, ბუღატრული აღრიცხვის შემოწმება, მისი შესაბამისობა კანონმდებლობის მოთხოვნებთან, ასევე მატე-რიალური და ფულადი საშუალებების დაცულობის ხარისხის შეფასება. ხელშე-კრულების ამ საგნის შესასრულებლად აუდიტორი ვალდებულია შეისწავლოს და გაარკვიოს საწარმოს წესდებისა და სხვა საფინანსო მოთხოვნები, რომლებიც განსაზღვრავენ საწარმოში ორგანიზაციულ ურთიერთობებს, მისი საფინანსო საქმიანობის ნაწილში. ეტალურად შესწავლის და ანალიზის საგარანტო აგრეთვე:

- ❖ საწესდებო კაპიტალის საბალანსო მონაცემების რეალურობა, მისი ფორმირება და სისტორე;
- ❖ ბუღატრული რეასტრების, ბრუნვათა უწყისის, ფულადი სახსრებისა და დოკუმენტების მკაცრი აღრიცხვის ანგარიშგების ბლანკების, საბანკო

ანგარიშების მდგომარეობა, საკრედიტო რესურსების არსებობა და გამოყენება;

- ❖ მასალების, ქონების ინვენტარიზაცია, მათ შორის მცირეფასიანი აქტივები, რემონტები გაწიტალური დაბანდებები და დანახარჯები;
- ❖ შიდა კონტროლის ორგანიზაცია, წინა პერიოდის საგადასახადო ინსპექციის, სხვა მაკონტროლებელი ორგანოების აქტები და აუდიტორული დასკვნები.

„აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, აუდიტორული საქმიანობა ხორციელდება აუდიტორისა (აუდიტორული ფირმისა) და დამკვეთს შორის დადებული ხელშეკრულებით. ამასთან ერთად, კანონი ადგენს, რომ აუდიტორისა (აუდიტორულ ფირმას) და დამკვეთს შორის დადებულ ხელშეკრულებას შორის გათვალისწინებული უნდა იყოს აუდიტორის საგანი და შესრულების ვადები, აუდიტორული მომსახურების მოცულობა, ანაზღაურების ოდენობა და პირობები. მხარეთა პასუხისმგებლობა და სხვა საკითხები, რომლებიც ხელს შეუწყობს აუდიტორული შემოწმების სრულად და ობიექტურად ჩატარებას, და ამავე დროს დაცული იქნება ამ აუდიტორული საქმიანობის მონაწილეთა უფლებები.

კანონში ასევე მითითებულია, რომ აუდიტორის (აუდიტორული ფირმის) მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულება ფორმდება აუდიტორული დასკვნის მიღება-ჩაბარების აქტით. ამასთან აუდიტორული დასკვნა დგება შესაბამისი ფორმით და მოწმდება აუდიტორის ხელმოწერით.

ხელშეკრულების საგანი და პირობები კონფიდენციალური ინფორმაციაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს მხარეთა ვალდებულება საიდუმლოდ შეინახონ ხელშეკრულების არსებობა და შინაარსი, არ გაუმნილონ ინფორმაცია მესამე მხარეს, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი საყოველთაოდ მისაწვდომი საჯარო ინფორმაციის გამოკლებით.

სემინარები:

1. საფინანსო ანგარიშგების მაგალითები და ორგანიზაციის წესდება.
2. ორმაგი ჩაწერა.
3. შეხყიდვების და დაკვეთების გატარება.
4. საცდელი ბალანსის შედგენა.
5. სალაროს წიგნი, ორდერების შევსება.
6. ინვენტარიზაციის ფორმების შედგენა.
7. ღირებულების დადგენა.
8. ძირითადი ურნალის შევსება.
9. ფასეულობების ანფასება.
10. ვალდებულებების ნაგრიშები.
11. ანალიზის მეთოდები. : პორიზონტალური, გერტიკალური და შედარებითი.
12. შემოსავლების კლასიფიკაცია.
13. ბიუჯეტის შედგენა.
14. მოგების და ინვესტიციების გაანგარიშება.

ამოცანები.

1. ფინანსური ანგარიშგების კომპონენტი – საქართველოს საქმიანობის შედეგების შესახებ მოიცავს ფინანსური ანგარიშგების შემდეგ ელემენტებს : (შემოხაზეთ სწორი პასუხი)
 - ა) აქტივები ;
 - ბ) შემოსავლები ;
 - გ) კაპიტალი ;
 - დ) ვალდებულება ;
 - ე) ხარჯები.
2. ფინანსური ანგარიშგების კომპონენტი – საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ მოიცავს ფინანსური ანგარიშგების შემდეგ ელემენტებს : (შემოხაზეთ სწორი)
 - ა) კაპიტალი ;
 - ბ) ხარჯები ;
 - გ) შემოსავალი ;
 - დ) აქტივები ;
 - ე) ვალდებულებები.
3. მიუთითეთ რომელია ფინანსური ანგარიშგების მომზადების ძირითადი დაშვება :
 - ა) შესადარისობა ;
 - ბ) დარიცხვის მეთოდი ;
 - გ) არსებითობა ;
 - დ) შინაარსის ფორმაზე აღმატებულობა.

4. ბუდალტრული აღრიცხვის პრინციპები და ფინანსური ანგარისგების მომზადების ხარისხობრივი მახასიათებლები.

- ა) შესადარისობა ;
- ბ) ინფორმაციის სრული გახსნა ;
- გ) შინაარსის ფორმაზე აღმატებულობა;
- დ) არსებითობა ;
- ე) საიმედობა.

ყველა სიტუაციისათვის შეარჩიეთ შესაბამისი ბუდალტრული აღრიცხვის ხარისხობრივი მახასიათებლები და მიუთითეთ შესაბამისი პუნქტი.

1 _____ კომპანია იყენებდა მარაგების აღრიცხვის ერთი და იგივე მეთოდს 2006 და 2007 წლებში.

2 _____ მიუხედავათ იმისა, რომ ბალანსის შედგენის დღეს არ არსებობს ფორმალური ვალდებულება, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ჩართულია შენიშვნა შესაძლებელი სასამართლო პროცესის შესახებ.

3 _____ საწარმოში მცირე თანხების სხვადასხვა დანიშნულების მიხედვით ხარჯვა – ფინანსურ ანგარიშგებში ერთ ანგარიშზე ხარჯების მუხლში აისახება.

4 _____ მარაგის შეფასება ხდება თვითდირებულებას და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

5 _____ გრძელვადიანი ინვესტიციები პირვანდელი ღირებულებითაა შეფასებული.

6 _____ მსხვილი საწარმო მცირე ხელსაწყოებს შეძენისათანავე ხარჯად აღრიცხავს.

5. ქვემოთ ჩამოთვლილი ანგარიშგების ნაშთები სადებუტოა თუ საკრედიტო :

(შემოხაზეთ სწორი)

ანბარიში №	დებეტი	კრედიტი
1390	დ	კ
3230	დ	კ
3410	დ	კ
3120	დ	კ
1410	დ	კ

1690	დ	პ
5490	დ	პ
9110	დ	პ
9210	დ	პ
1820	დ	პ
5130	დ	პ

6. ბუღალტრული გატარების ჩაწერა. საწარმო : ბიზნეს სერვისი

- 1 მაისი : კრედიტით შეიძინა 1 000 ლარის დირებლების ოფისის აღჭურვილობა ;
- 3 მაისი : საკანცელარიო ნივთების შესაძენად ანგარიშვალდებულ პირზე გასცა ფულადი სახსრები 50 ლარი ;
- 12 ივნისი : სალაროში მიიღო 1 200 ლარი მომხმარებლისაგან ;
- 15 ივნისი : სალაროდან გადაიხადა 150 ლარი ადგილობრივ გაზეთში რეკლამის განთავსებისათვის ;
- 25 ივნისი : გადაუხადა ხელფასის სახით მომუშავეს 350 ლარი ;
- 27 ივნისი : ტელეფონის მომსახურებისათვის მიიღო მაისის თვის ანგარიშ-ფაქტურა 80 ლარზე, რომელსაც გადაიხდის ივნისის თვის ბოლომდე ;
- 30 ივნისი : გადახდილია დივიდენდები 1 200 ლარი.

7. საცდელი ბალანსი. გაუსვით ხაზი ანგარიშების დებეტს ან კრედიტს :

საცდელი ბალანსი
2007 წლის 31 დეკემბრის მდგრადარღვევი

		დებეტი	კრედიტი
1100	ფულადი სახსრები		
1410	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		
1790	სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები		
2160	ოფისის აღჭურვილობა		
3110	მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოშვებული ვალდებულება		
5110	ჩვეულებრივი აქციები		
5310	გაუნაწილებელი მოგება		
6110	შემოსავალი რეალიზაციიდან		
7310	რეკლამის ხარჯი		
7410	შრომის ანაზღაურება		
7430	კომუნიკაციის ხარჯი		
	სულ		

8. გაატარეთ შემდეგი ოპერაციები :

1. 500 ლარის საკანცელარიო საქონლის რეალიზაცია, საქონელი კრედიტი იქნა რეალიზებული ;

2. ორგანიზაციამ გადაიხადა საბაჟო გადასახადი მასალების შესყიდვის დროს.

3. წინასწარ იყო გადახდილი სამივლინებო ხარჯები.

4. გაიცა ავანსი მუშა-მოსამსახურეებზე.

5. ორგანიზაციამ შეისყიდა მასალა 4 500 ლარის ოდენობით და მოწყობილობები 35 000 ლარის.

6. რეალიზებულია საკუთარი წარმოების პროდუქცია 4 200 ლარის, შეავსეთ შესაბამისი ორდერი.

7. მასალის შეძენაზე გადახდილია 3 150 ლარი შპს „გოლიათზე“ 12 აპრილს. შეავსეთ შესაბამისი ორდერი.

8. დანახარჯთა აღრიცხვის სისტემაში მანქანათმშენებელ კომპანიას დარეგისტრირებული აქვს შემდეგი დანახარჯები :

1. მანქანების საპოხი მასალის ღირებულება ;
2. მანქანების და აღჭურვილობის ამორტიზაციის ღირებულება ;
3. ლაბორატორიაში გამოყენებული ქიმიკატების ღირებულება ;
4. პროდუქციის გასაღებაზე დაკავებული პერსონალის მოსაკრებელი ;
5. საწობის დაცვის ხელფასი ;
6. სარეკლამო სააგენტოს მომსახურების გადასახადი ;
7. საიჯარო გადასახადი მზა პროდუქციის საწყობისათვის ;
8. ქსეროქსის ხარჯი ;
9. დამლაგებლის ხელფასი.

მოთხოვთა : გავანაწილოთ აღნიშნული დანახარჯები კატეგორიების მიხედვით

- ა) საწარმოო ზედნადები ხარჯები ;
- ბ) დანახარჯები პროდუქციის ღირებულებაზე ;
- გ) ადმინისტრაციული ზედნადები დანახარჯები ;
- დ) დანახარჯები სამეცნიერო გამოკვლევებზე.

9. კომპიუტერების მწარმოებელმა საწარმომ შეიძინა ახალი დანადგარი, რომელიც წარმოების პროცესში იქნება გამოყენებული. ქვემოთ ჩამოთვლილია დანადგარის შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები. მიუთითეთ იმ ანგარიშის დასახელება და ნომერი, რომელშიც ხარჯი უნდა აღინიშნოს.

	თანხა (ლარი)	ანგარიშის დასახელება	ანგარიშის №
დანადგარის შესაძენად გადახდილი თანხა	150 000		
ტრანსპორტირება	1 200		
დანადგარის დამონტაჟების ხარჯი	2 000		
დანადგარის ქსელში ჩართვისას საჭირო ელექტრო გაყვანილობის ხარჯი	800		
დანადგარის დამონტაჟების დროს დაზიანებული კედლის შეკეთების ღირებულება	500		
დანადგარის გამოცდისას გამოყენებული მასალის ხარჯი	300		

10. დანახარჯი :

	დანახარჯი	ანგარიშის დასახელება	ანგარიშის №
1	ფაქსის მანქანის შეძენა ადმინისტრაციული ოფისისათვის		
2	მოქლი ოფისის შენობაში ხანძრის საწინააღმდეგო სისტემის დამონტაჟება		
3	ოფისის შენობის შიდა კედლების შედებვა		
4	იჯარით აღებული საწყობის რეკოსტრუქცია		
5	საწარმოს დანადგარების შეკეთება		
6	ქსეროქსის მიმდინარე შეკეთება		
7	კომპიუტერული სისტემის ეფექტურობის გაუმჯობესება		

11. ფირმა „_____“ -მ შეიძინა ავტომობილი, რომლის მეშვეობითაც მომხმარებლებს მიეწოდება კვების პროდუქტი. ავტომობილის ღირებულება 14 000 ლარია. ავტომობილის სასარგებლო მომსახურების ვადა 5 წელია. ხუთი წლის შემდეგ ავტომობილის სალიკვიდაციო ღირებულება 2 000 ლარს შეადგენს. ფირმა ვარაუდობს, რომ ავტომობილი ხუთი წლის განმავლობაში 80 000 კმ გაივლის.

- გამოითვალიერეთ ცვეთა ხუთივე წლისათვის. გამოიყენეთ ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდი.

12. 30 დეკემბერს საწარმომ გამოაცხადა, რომ მომავალი წლის 15 მარტს გადაიხდიდა 500 000 ლარის ოდენობის დივიდენდებს. აწარმოეთ შესაბამისი გატარება.

13. მოცემულია საცდელი ბალასი 20 — X წლის 31 დეკემბრისათვის

ანგარიში	ანგარიშის დასახელება	დებეტი	კრედიტი
1110	ნაღდი ფული სალაროში	17 000	
1410	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	15 800	
1610	საქონელი	23 400	
2160	ოფისის აღჭურვილობა	23 000	
2260	ოფისის მოწყობილობის ცვეთა		6 400
3110	ჩვეულებრივი აქციები		16 000
3130	გადასახადი ხელფასები		2 000
5110	ჩვეულებრივი აქციები		11 500
5310	გაუნაწილებელი მოგება		5 800
6110	შემოსავალი რეალიზაციიდან		189 300
6120	გაყიდული საქონლის დაბრუნება	1 700	
7200	რეალიზებული საქონლის თვითდირებულება	99 000	
7310	რეკლამის ხარჯები	7 800	
7320	რეალიზაციის მუშაკთა ხელფასის ხარჯები	17 000	
7410	ადმინისტრაციის ხელფასის ხარჯები	24 000	
7455	ცვეთა	2 300	
		23 100	23 100

2007 წლის 31 დეკემბერს მოახდინეთ საწარმოს „ _____“ -ს დასკვნითი გატარება.

14. სავაჭრო ორგანიზაციამ ადმინისტრაციული ნაწილის თანამშრომლებს დაარიცხა ოქტომბრის თვის ხელფასები 6 200 ლარის ოდენობით, ხოლო რეალიზატორებს – 12 000 ლარის ოდენობით.

მოთხოვთ :

გაატარეთ ბუღალტრულად :

1. ხელფასების დარიცხვა ადმინისტრაციული ნაწილის თანამშრომლებისათვის და რეალიზატორებისათვის ;

2. ხელფასების დაქვითვა (საშემოსავლო) ;

3. ხელფასების გადახდა და საბიუჯეტო გადასახადების დაფარვა.

15. მოცემულია საცდელი ბალანსი 20 — X წლის 31 დეკემბრისათვის

ანგარიში	ანგარიშის დასახელება	დებეტი	კრედიტი
1110	ნაღდი ფული სალაროში	700	
1210	ეროვნული ვალუტა რეზივუნტ ბანკში	18 000	
1620	ნედლეულის და მასალების მარაგი	48 000	
2140	მანქანა - დანადგარები	75 000	
2240	დანდგარებზე დარიცხული ცვეთა		25 000
2150	საოფისე აღჭურვილობა	10 000	
2250	საოფისე აღჭურვილობაზე დარიცხული ცვეთა		3 000
3130	გადასახადი ხელფასები		12 000
5110	ჩვეულებრივი აქციები		82 900
5320	გაუნაწილებელი მოგება		25 000
6110	შემოსავალი რეალიზაციიდან		18 000
7110	სარჯები მასალის შესაძენად	5 500	
7120	ხელფასი	2 500	
7170	ცვეთა	4 00	
7430	კომუნიკაციის ხარჯები	500	
7435	დაზღვევა	800	
7490	კომუნალური მომსახურების ხარჯები	900	
		165 900	165 900

დავალება

გააკეთეთ საცდელ ბალანსზე დაყრდნობით დასკვნითი გატარებები.

**მიზანის პარატი
CERTIFICATE OF MISSION**

გვარი **ნინიძე** Merab Ninidze
issued to ~გვარი, სახელი family name, first name`

შპს „პროექტინგია“, დოკუმენტი Ltd. “Project” Manager
(rjvfybbc lfccftkt,f6 sfyfvlt,j,f8 The name of Company, post)

მივლინებული
mission to თურქეთი, სტამბული Turkey, Istambul
~დანიშნულების ადგილი places of appointment)

მივლინების ვადა **“10”** დღე **06.07** დან **15.07** მდე **_____** 2008 წ.

საფუძველი: ბრძანება
№ 02.07.08 2008 წ.

პასპორტი TR-J 1 სერია, სერია

ვირმის გენ. დირექტორი შოთა ნიშნიანიძე Shota Nishnianidze
Gen. Director of the firm

დანიშნულ აღგილზე გამოცხადება

marks of arrival in place of appointment and departure from them

გასვლა	საქართველო	Georgia	ჩასვლა	თურქეთი	Turkey
arrival to			departure from		
“ 06	“ July	2008 წ.	“ 07	“ July	2008 წ.

ბ.ა. s. p.	ხელმოწერა signature	_____
ბ.ა. s. p.	ხელმოწერა signature	_____

გასვლა თურქეთი Turkey
arrival to _____
“ 14 “ July 2008 წ.

ჩასვლა საქართველო Georgia
departure from
“ 15 “ July 2008 წ.

ბ.ა.
s. p. ხელმოწერა
signature

ბ.ა. s. p.	ხელმოწერა signature
---------------	------------------------

გასევლა
arrival to _____
“ ” 2008 წ.

ჩასვლა
departure from
“ ” 2008 წ.

ბ.ძ.
s. p. ხელმოწერა
signature

ბ.ა.
s. p. ხელმოწერა
signature

გულალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის სტრუქტურა

აძლივები

1000 მიმღინარე აძლივები

1100 ნაღდი ფული სალაროში

1110 ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში

1120 ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში

1200 ფული საბანკო ანგარიშებზე

1210 ეროვნული ვალუტა რეზივენტ ბანკში

1220 უცხოური ვალუტა რეზივენტ ბანკში

1230 უცხოური ვალუტა არარეზივენტ ბანკში

1290 ფული სხვა საბანკო ანგარიშებზე

1300 მოკლევადიანი ინვესტიციები

1310 მოკლევადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში

1320 მოკლევადიანი ინვესტიციები სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში

1330 გრძელვადიანი ინვესტიციების მიმდინარე ნაწილი

1390 სხვა მოკლევადიანი ინვესტიციები

1400 მოკლევადიანი მოთხოვნები

1410 მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

1415 საეჭვო მოთხოვნების კორექტირება

1420 მოთხოვნები მეკავშირე საწარმოს მიმართ

1440 მოთხოვნები ხელმძღვანელებისა და სამეთვალყურეო ორგანოების წევრების მიმართ

1450 მოთხოვნები პარტნიორებზე გაცემული სესხებიდან

1460 კაპიტალის შევსებაზე პარტნიორების გრძელვადიანი მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი

1470 გრძელვადიანი მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი

1480 მომწოდებელზე გადახდილი ავანსები

1490 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

1500 მოკლევადიანი სათამასურო მოთხოვნები

1510 მიღებული მოკლევადიანი თამასუქები

1520 მიღებული გრძელვადიანი თამასუქების მიმდინარე ნაწილი

1600 სასაქონლო-მატერიალური მარაბი

1610 საქონელი

1620 ნედლეული და მასალები

1630 დაუმთავრებელი წარმოება

1640 მზა პროდუქცია

1690 სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაბი

1700 წინასწარ გაფული ხარჯები

1710 წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება

1720 წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა

1790 სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები

1800 დარიცხული მოთხოვები

- 1810 მისაღები დივიდენდები
- 1820 მისაღები პროცენტები
- 1890 სხვა დარიცხული მოთხოვნები

1900 სხვა მიმდინარე აქტივები

- 1910 სხვა მიმდინარე აქტივები

2000 ბრძელვადიანი აქტივები

2100 მირითადი საშუალებები

- 2110 მიწის ნაკვეთები
- 2120 დაუმთავრებელი მშენებლიბა
- 2130 შენობები
- 2140 ნაგებობები
- 2150 მანქანა-დანადგარები
- 2160 ოფისის აღჭურვილობა
- 2170 ავეჯი და სხვა ინვენტარი
- 2180 სატრანსპორტო საშუალებები
- 2190 იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა

2200 მირითადი საშუალებების ცვეთა

- 2210 მიწის ნაკვეთის ცვეთა
- 2230 შენობების ცვეთა
- 2240 ნაგებობის ცვეთა
- 2250 მანქანა-დანადგარების ცვეთა
- 2260 ოფისის აღჭურვილობს ცვეთა
- 2270 ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა
- 2280 სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა
- 2290 იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობის ცვეთა

2300 ბრძელვადიანი მოთხოვები

- 2310 მიღებული გრძელვადიანი თამასუქები
- 2320 ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები
- 2330 მოთხოვნები საწესდებო კაპიტალის შევსებაზე
- 2340 გადაგადებული საგადასახადო აქტივი
- 2390 სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები

2400 ბრძელვადიანი ინვესტიციები

- 2410 გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში
- 2420 გრძელვადიანი ინვესტიციები სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში
- 2430 მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში
- 2490 სხვა გრძელვადიანი ინვესტიციები

2500 არამატერიალური აქტივები

- 2510 ლიცენზიები
- 2520 კონცესიები
- 2530 პატენტები

2540 გუდვილი
2590 სხვა არამატერიალური აქტივები

2600 არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია

2610 ლიცენზიების ამორტიზაცია
2620 კონცესიების ამორტიზაცია
2630 პატენტების ამორტიზაცია
2640 გუდვილის ამორტიზაცია
2690 სხვა არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია
ვალდებულებები

გალდებულებები

3000 მიმღინარე გალდებულებები

3100 მოკლევადიანი გალდებულებები

3110 მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები
3120 მიღებული ავანსები
3130 გადასახდელი ხელფასები
3140 როიალტი
3150 საკომისიო გადასახდელები
3160 ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე
3170 ვალდებულებები მექავშირე საწარმოების წინაშე
3190 სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

3200 მოკლევადიანი სმსები

3210 მოკლევადიანი სესხები
3220 სესხები პარტნიორებისაგან
3230 გრძელვადიანი სესხების მიმდენარე ნაწილი
3300 საგადასახადო ვალდებულებები
3310 მოკლევადიანი მოგების გადასახადი
3320 გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი
3330 გადასახდელი დღგ
3340 გადახდილი დღგ
3350 გადასახდელი აქციზი
3360 გადახდილი აქციზი
3370 სოციალური გადასახადი
3390 სხვა საგადასახადო ვალდებულებები

3400 დარიცხული ვალდებულებები

3410 გადასახდელი პროცენტები
3420 გადასახდელი დივიდენდები
3430 ვალდებულება საგარანტიო მომსახურებაზე
3400 დარიცხული ვალდებულებები
3410 გადასახდელი პროცენტები
3420 გადასახდელი დივიდენდები
